სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



# ევროპულ - ქართული სამხედრო, პოლიტიკური და სამოქალაქო ურთიერთობების ასპექტები

# EUROPE-GEORGIA MILITARY, POLITICAL AND CIVIL RELATIONS ASPECTS

---

სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული

COLLECTION OF THE PAPERS OF SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

12.06.2019

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

# სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული

# COLLECTION OF THE PAPERS OF SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

# ევროპულ - ქართული სამხედრო, პოლიტიკური და სამოქალაქო ურთიერთობების ასპექტები

# EUROPE-GEORGIA MILITARY, POLITICAL AND CIVIL RELATIONS ASPECTS

2019

# სარედაქციო კოლეგია

**ხელმძღვანელი**

რამაზ კვარაცხელია — სამართლის დოქტორი, სტუ-ს პროფესორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე.

**სარედაქციო კოლეგია:**

გიორგი მეშველიანი — პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი, სტუ-ს დოქტორანტი.

არჩილ ჩაჩხიანი — თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვის რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი.

ალექსანდრე მიქაბერიძე — ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნიკა სამხარაძე — საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი.

როს ჰარისონი — ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის პროფესორი.

ედვარდ რაუპი — ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი.

ოთარ ჯანელიძე — ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ზურაბ აგლაძე — დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

**სარედაქციო ჯგუფი:** თარგმანი და რედაქტირება ინგლისურ და ქართულ ენაზე

ქეთევან ქურციკიძე
იზა ჯანიაშვილი

მარინა ძულიაშვილი — ტექნიკური უზრუნველყოფა

# საორგანიზაციო კომისია

**თავმჯდომარე**

მარიამ დარბაიძე — აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, მეცნიერებათა დოქტორი

**წევრები**

დავით რაზმაძე — აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების კურსის უფროსი

ვახტანგ პაიჭაძე — აკადემიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დაგეგმვის განყოფილების უფროსი

მიხეილ კვიციანი — აკადემიის ბიბლიოთეკის უფროსი

ზურაბ მჭედლიშვილი — აკადემიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო გეწაძე — აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი

ნინო ჩებიჩაშვილი — აკადემიის პროტოკოლის მთავარი სპეციალისტი



ISBN 978-9941-8-1381-8

# EDITIONAL BOARD

**EDITOR IN CHIEF**

RAMAZ KVARATSKHELIA (J.D), Professor GTU, Vice Rector of NDA Georgia

**EDITORIAL BOARD:**

GIORGI MESHVELIANI Lieutenant, Head of Baccalaureate, NDA Georgia;

ARCHIL CHACHKHIANI (PhD), Associate professor, acting head of Defense and Security Programme, NDA Georgia;

ALEXANDER MIKABERIDZE (PhD), Associate professor, LSU Shreveport;

NIKOLOZ SAMLHARADZE (PhD), Professor, Head of the Defence Analysis Master's Programme of the Command and Staff College, NDA Georgia;

ROSS HARRISON Researcher at The Middle East Institute, the faculty of the School of Foreign Service at Georgetown University;

EDWARD RAUPP (PhD), Professor emeritus, UG;

OTAR JANELIDZE (PhD), Professor, Gori State University;

ZURAB AGLADZE Associate professor, Defence Analysis Master's Programme of the Command and Staff College, NDA Georgia;

**EDITORIAL STAFF:**

KETEVAN KURTSIKIDZE
IZA JANIASHVILI Translation and proofreading English & Georgian

MARINA DZULIASHVILI Technical Support

# Organising Commission

**THE HEAD**

MARIAM DARBAIDZE Deputy Head of the Quality Assurance Service of the Academy, Doctor of Sciences

**MEMBERS**

DAVIT RAZMADZE Head of the Defence and National Security Course of the Command and Staff College of the Academy

VAKHTANG PAICHADZE Head of the Material and Technical Support Planning Department of the Academy Administration

MIKHEIL KVITSIANI The Head of the Library

ZURAB MCHEDLISHVILI Acting Head of Public Relations Department of the Administration of the Academy

NINO GETSADZE The Head of the International Relationships Department of the Academy

NINO CHEBICHASHVILI The Main Specialist of the Protocol of the Academy

# შინაარსი


**საფრანგეთის, როგორც ზესახელმწიფოს, თავდაცვის პოლიტიკა: ამბიციები და გამოწვევები** — 6
ომარ ბეგოიძე
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის მეთაურის მოადგილე

**გეოპოლიტიკური ინტერესების თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფა** — 11
პეტრე გელაშვილი
სსიპ სსსტც „დელტა“

**გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესი საქართველოში XX საუკუნის პირველ მეოთხედში** — 18
მამია ბალახაძე
საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

**ქართული იდენტობის ფორმირების პროცესი და ევროპის ნორმატიული ძალა** — 25
ლაშა მარკოზაშვილი
პროფესორი - ეროვნული თავდაცვის აკადემია

**სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული ორიენტაცია** — 30
ემილია ალავერდოვი
საქართველოს ტექნიკური უნივერიტეტის ასოცირებული პროფესორი

**რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია როგორც კრემლის პროპაგანდის მექანიზმი ევროპაში** — 36
ალექსანდრე კიკნაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საქართველოს ევროინტეგრაციის ხარისხი:**
**რა განსაზღვრავს ქვეყნის დასავლურ ინსტიტუტებთან სიახლოვის დონეს?** — 40
მარიამ გრიგალაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ. უნივერ., საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

**ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკა - საქართველოს ეროვნული ღირებულებები** — 48
თამარ კუპრეიშვილი
საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი
თორნიკე ოქროპილაშვილი
საქ. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საჯარო ადმინისტრირების პროგრამა, საჯარო მმართველობის მაგისტრანტი

**გიორგი-ლაშა და ჯვაროსანთა V ლაშქრობა** — 53
ნანა სადღობელაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**გერმანია-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები (1918 წ.)** — 60
შადიმან ბიწაძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობისსაქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის სამეთაურო - საშტაბო კოლეჯის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების  კურსის უფროსი ინსტრუქტორი
მამია ბალახაძე
საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

**საქართველო ისტორიული არჩევნი გზაგასაყარზე** — 66
დავით რაზმაძე
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო საშტაბო კოლეჯის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების კურსის უფროსი

**სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელობა და აუცილებლობა საქართველოში** — 70
ლერი სარაიდაროვი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

**ძირითადი გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე** — 76
ნიკა ჩიტაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობები/პოლიტიკა / მეცნიერებათა დოქტორი
გიორგი ქავთარაძე
ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტი / მაგისტრანტი

**ევროპულ-ქართული სამხედრო ურთიერთობის გავლენა ახალი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე** — 83
გვანცა მღვდელაძე
ივ. ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დოქტორანტი

**ევროკავშირის გაფართოების თეორიული ხედვები და მათი პრაქტიკული იმპლემენტაცია**
**საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებში** — 87
ნინო ფავლენიშვილი
ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებისა და  მეცნიერების ფაკულტეტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაია იაკობიძე,
პროტოკოლის განყოფილების უფროსი საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი

**ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელი** — 94
ლევან ოსიძე
პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,  სტუ სამართლისა და საერთაშორისო ურთერთობების
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

# CONTENT


FRENCH, AS A SUPERPOWER'S, DEFENSE POLICY: AMBITIONS AND CHALLENGES 6
OMAR BEGOIDZE
National Defence Academy of Georgia The Deputy Head of the Command and Staff College

MODERN TECHNOLOGICAL SUPPORT OF GEOPOLITICAL INTERESTS 11
PETRE GELASHVILI
LEPL STC Delta

GERMAN POLITICAL AND ECONOMIC INTEREST IN GEORGIA
IN THE FIRST QUARTER OF THE XX CENTURY 18
MAMIA BALAKHADZE
Lepl Georgian Technical University, Phd Student Doctoral Program in Law and International Relations

PROCESS OF GEORGIAN IDENTITY FORMATION AND THE NORMATIVE POWER OF EUROPE 25
LASHA MARKOZASHVILI
Professor - National Defence Academy

DIFFERENT ORIENTATION OF SOUTH CAUCASUS COUNTRIES 30
EMILIA ALAVERDOV
Associate Professor, Georgian Technical University

RUSSIA'S ORTHODOX CHURCH (ROC) AS KREMLIN'S PROPAGANDA MACHINE IN EUROPE 36
ALEXANDER KIKNADZE
LEPL - Georgian Technical University, PhD student Doctoral Program on Law and International Relations

QUALITY OF EUROPEAN INTEGRATION: WHAT DETERMINES THE PROXIMITY
LEVEL OF THE COUNTRY TO THE WESTERN INSTITUTIONS? 40
MARIAM GRIGALASHVILI
University: Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Program: Doctoral Program of International Relationships

NATO SECURITY POLICY – GEORGIAN NATIONAL VALUES 48
TAMAR KUPREISHVILI
Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, Assistant Professor
TORNIKE OKROPILASHVILI
Georgian Institute of Public Affairs (GIPA), Program of Public Administration, Master Student of PA

LASHA-GIORGI AND V CRUSADE 53
NANA SADGHOOBELASHVILI
Gori State Teaching University

DIPLOMATIC RELATIONSHIPS BETWEEN GERMANY AND GEORGIA (1918) 60
SHADIMAN BITSADZE
Academic Doctor of History, LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Senior Instructor of the Defence and National Security Course Command and Staff College
MAMIA BALAKHADZE
Lepl Georgian Technical University, Phd Student Doctoral Program in Law and International Relations

GEORGIA'S HISTORIC CHOICE AT THE CROSSROAD 66
DAVIT RAZMADZE
Head of the Defence and National Security Course of the Command and Staff College of the Academy

SIGNIFICANCE AND NECESSITY OF MANDATORY MILITARY SERVICE IN GEORGIA 70
LERI SARAIDANOVI
PhD student of the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University

MAIN CHALLENGES AND PERSPECTIVES ON THE WAY OF GEORGIA'S INTEGRATION
INTO EUROPEAN STRUCTURES 76
NIKA CHITADZE
International Black Sea University; International Relations/Politics / Ph.D. in Geography
GIORGI KAVTARADZE
The George Washington University; International Relations/Politics / Mastermind

THE IMPACT OF EUROPE-GEORGIA MILITARY RELATIONS ON THE ESTABLISHMENT OF
A NEW GEORGIAN MILITARY TERMINOLOGY 83
GVANTSA MGHVDELADZE
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctoral student

THEORETICAL VIEWS OF EU ENLARGEMENT AND THEIR PRACTICAL IMPLEMENTATION
IN GEORGIAN STATE INSTITUTIONS 87
NINO PAVLENISHVILI
Associate Professor Faculty of Art and Science Ilia State University
MAIA IAKOBIDZE
Head of Protocol Division Department for International Relations

THE MODERN MODEL OF GEORGIAN POLITICAL CULTURE 94
LEVAN OSIDZE
Associate Professor of Faculty of Law and International Relations

# საფრანგეთის, როგორც ზესახელმწიფოს, თავდაცვის პოლიტიკა: ამბიციები და გამოწვევები

**ომარ ბეგოიძე**
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის მეთაურის მოადგილე

**აბსტრაქტი**

სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა ასახავს ძირითად პრინციპებს, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და ღირებულებების დაცვასთან. გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის უსაფრთხოების და სტაბილურობის წინაპირობას წარმოადგენს რეგიონალური და მსოფლიო სტაბილურობის დამყარება. ნატო-სა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, მათ შორის ე.წ. ზესახელმწიფოებს, გარდა საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარებისა, მოეთხოვება ადეკვატური ძალისხმევის გაწევა კოლექტიური თავდაცვის და უსაფრთხოების ამოცანების შესრულებისთვის, რაც დაკავშირებულია უზარმაზარ ფინანსურ და ადამიანურ რესურსთან.

ნატო-სა და ევროკავშირის წევრობის მიუხედავად, საფრანგეთის, როგორც ზესახელმწიფოს, საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებულობით და ემყარებოდა დე გოლის პრინციპებს. ამ მიდგომამ 1966 წელს გამოიწვია ქვეყნის გამოსვლა ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებიდან. თუმცა, ცივი ომის დასრულების შემდეგ, საფრანგეთი კვლავ დაბრუნდა ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში და მისი სამხედროები მონაწილეობენ ალიანსის ოპერაციებში. პარალერულად, საფრანგეთი აქტიურად ლობირებდა ევროკავშირის საერთო თავდაცვის იდეას. 2009 სლიდან, როდესაც ჩამოყალიბდა ევროკავშირის საერთო თავდაცვის პოლიტიკა (Common Security and Defense Policy-CSDP), საფრანგეთი გახდა ევროკავშირის მისიების უმსხვილესი კონტრიბუტორი. გარდა ამისა, ქვეყანა მონაწილეობს სხვა საერთაშორისო მისიებში. ყველაფერი ეს დაკავშირებულია მუდმივი მზადყოფნის, ძლიერი და მობილური საექსპედიციო ძალების შენახვა/განვითარებასთან.

საფრანგეთის, როგორც გლობალური მოთამაშის გეოპოლიტიკური ამოცანების თანხვედრა თავდაცვის რესურსებთან, ქვეყანაში მუდმივი დისკუსიის თემაა. პრეზიდენტ მაკრონის ინიციატივით 2019-2025 წლების საბიუჯეტო ციკლში თავდაცვის სისტემისთვის გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ხარჯები. იგეგმება გადაიარაღებისა და მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი პროგრამები. ამრიგად, საფრანგეთი არა მხოლოდ ინარჩუნებს, არამედ აძლიერებს მსოფლიო ერთერთი ლიდერის და გლობალური უსაფრთხოების გარანტის როლს. თუმცა, ბიუჯეტის რეალიზაციასთან დაკავშრებულმა პროცედურულმა საკითხებმა და შიდა პოლიტიკურმა ფაქტორებმა შესაძლოა გარკვეული სირთულეები გამოიწვიოს გაჟღერებული ამბიციური გეგმების განხორციელებაში.

# FRENCH, AS A SUPERPOWER'S, DEFENSE POLICY: AMBITIONS AND CHALLENGES

OMAR BEGOIDZE
National Defence Academy of Georgia
The Deputy Head of the Command and Staff College

ABSTRACT

State's defense and security policy reflects main principles related to protection of national interests and values. Precondition for the state's internal security and stability in the era of globalization, is the promotion of the regional and global security. It is strongly required from the NATO and EU member states, including so-called superpowers, to apply adequate efforts in fulfillment of the collective defense and security tasks in parallel with the promotion of their own national interests. This requirement is obviously demanding the mobilisation of the important financial and human resources.

Despite of NATO and EU membership, foreign and defense policy implemented by France, as a superpower, was always distinguished by its particularity based on de Gaulle's principles. This approach led to the country's withdrawal from the Alliance military structures in 1966. However, after the end of Cold War, France fully reintegrated into the NATO military structure and assigns its forces for Alliance operations. In the same time, France was always actively supporting the Europe's common defense idea. Since 2009, when European Common Security and Defense Policy (CSDP) was established, France has become the major contributor to EU peace and stability operations. Besides, France is involved in other international missions. All this requires the sustainment and development of powerful and mobile expeditionary forces.

The adequacy of the defense expenditures to the global player's geopolitical objectives, remain the discussion subject in the French society. Based on President Macron's initiative, the significant resources are allocated to the defense in the 2019-2025 state budget cycle. Important rearmament and modernization projects are planned for implementation in the mentioned period and beyond. Though, France is not only preserving, but also reinforcing its role of one of the global leaders and security guarantors. However, the budget implementation procedures and some internal political factors can cause certain difficulties in the declared ambitious plans' implementation process.

სახელმწიფოს თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა ასახავს ყველა იმ ძირითად პრინციპს, რომლითაც ხელმძღვანელობს ქვეყანა საკუთარი ეროვნული ინტერესების და ღირებულებების დაცვისას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე საზღვრებს გარეთ. აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით და ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებზე და გამოწვევებზე საპასუხოდ ყალიბდება და ვითარდება სახელმწიფოს ძალოვანი სექტორის შესაძლებლობები. ნებისმიერი ქვეყნის, მიუხედავად ზომისა, ეკონომიკური სიძლიერისა და საერთაშორისო ამბიციებისა, თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის უნივერსალური ამოცანაა  პირდაპირი გარე აგრესიისგან და სხვა მტრული მოქმედებებისგან დაცვა, აგრეთვე შიდა წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. გლობალიზაციის პირობებში საკუთარი უსაფრთხოება არ შემოიფარგლება სახელმწიფო საზღვრებით, ხოლო შიდა სტაბილურობის წინაპირობას წარმოადგენს რეგიონალური და მსოფლიო სტაბილურობის დამყარება. ცნობილია, რომ რიგი ქვეყნების, ე.წ. ზესახელმწიფოების,  ეროვნული ინტერესები ვრცელდება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონზე. გარდა ამისა, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციები, როგორებიცაა ნატო და ევროკავშირი, მოითხოვენ ყველა წევრის ადეკვატურ ძალისხმევას საერთო ამოცანების შესრულებისთვის, რაც დაკავშირებულია უზარმაზარ ფინანსურ და ადამიანურ რესურსთან.

საფრანგეთი წარმოადგენს ერთერთ ზესახელმწიფოს, ნატო-ს და ევროკავშირის გავლენიან წევრს, რომელიც ორივე ორგანიზციის დამფუძნებელთა შორის ერთერთი ყველაზე აქტიური იყო. მიუხედავად ამისა, ქვეყნის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებულობით და ემყარებოდა დე გოლის პრინციპებს. ამ პრინციპებიდან ერთერთი მთავარი იყო სრული დამოუკიდებლობა საგარეო და თავდაცვის პოლიტიკაში, რომელიც ეყრდნობოდა საკუთარ ბირთვული შეკავების ძალებს. შესაბამისად, 1966 წელს საფრანგეთმა დატოვა ნატო-ს სამხედრო სტრუქტურები, რაც არ გამორიცხავდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლით სარგებლობას. გოლიზმის აღნიშნული პრინციპით ხელმძღვანელობდა საფრანგეთის ყველა მთავრობა, როგორც მემარჯვენეების, ასევე სოციალისტების. ვითარება შეიცვალა ცივი ომის დასრულების შემდეგ. 1995 წლიდან საფრანგეთმა დაიწყო ნატო-ს სამხედრო-სამეთაურო პოზიციებზე დაბრუნების პროცესი. 2009 წლიდან, პრეზიდენტ სარკოზის გადაწყვეტილებით,  საფრანგეთი სრულად არის წარმოდგენილი ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში, მაგრამ რამდენიმე დათქმით, მაგალითად საფრანგეთი ინარჩუნებს ეროვნული ბირთვული ძალების ნატო-სგან დამოუკიდებლობას და ფრანგი ოფიცერი უნდა იკავებდეს ნატო-ს ერთ-ერთ უმაღლეს სამეთაურო პოზიციას (ნატო-ს ტრანსფორმაციის სარდალი, ქ.ნორფოლკი, აშშ). თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ 2009 წლამდე საფრანგეთი არ იყო ჩართული ალიანსის სამხედრო ოპერაციებში. პირიქით, ფრანგული ქვედანაყოფები, სხვა მოკავშირეებთან ერთად, 2001 წლიდან ასრულებდნენ საკვანძო ამოცანებს ნატო-ს მისიაში ავღანეთში. სწორედ ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში მოქმედებდა ავღანეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ასეული 2009-2013 წლებში.

მიუხედავად ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებში რეინტეგრაციისა, ფრანგული საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ნაწილში კვლავ არსებობს გარკვეული სკეპტიციზმი ამ საკითხთან დაკავშირებით. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს სოციალისტი კანდიდატის, ფრანსუა ოლანდის ერთ-ერთი დაპირება იყო სარკოზის გადაწყვეტილების რევიზია და ავღანეთიდან ფრანგული კონტინგენტის გამოყვანა, რამაც გამოიწვია მოკავშირეების კრიტიკა და უკმაყოფილება, თუმცა მოუტანა მას ფრანგი ამომრჩევლების ხმების დიდი ნაწილი. გამარჯვების შემდეგ, ოლანდმა დაავალა თავის თანაპარტიელს მოხსენების მომზადება („ვედრინის მოხსენება“) ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებში ქვეყნის ყოფნის მიზანშეწონილობის შესახებ და გასცა ფრანგი ჯარისკაცების ავღანეთიდან დაჩქარებული ტემპით გაყვანის ბრძანება. რაც შეეხება მოხსენებას,  მისი დასკვნები, რომლებიც გამოქვეყნდა 2012 წლის ნოემბერში, ადასტურებდნენ ალიანსში სრული რეინტეგრაციის აუცილებლობას და ამის შემდეგ საკითხი პოლიტიკური დღის წესრიგში არ დამდგარა. ნატო-ში წევრობის მიზანშეწონილობა აღარ იყო აქტუალური არც 2017 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, თუმცა ეს სულაც არ გამორიცხავს, რომ ფრანგები  მომავალში დაუბრუნდებიან ამ თემის განხილვას, როგორც ეს პერიოდულად ხდებოდა. პრეზიდენტ მაკრონის და პრეზიდენტ ტრამპის პოზიციების სიახლოვე რუსეთის და ასადის რეჟიმის მიმართებაში, ისევე როგორც დიდ ბრიტანეთთან ერთსულოვნება უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით,  ადასტურებენ საფრანგეთის პრეზიდენტის მყარ განზრახვას გააძლიეროს ევროატლანტიკური კავშირები და საფრანგეთის როლი ალიანსში.

ევროატლანტიკური სკეპტიციზმის პარალერულად, საფრანგეთი ყოველთვის აქტიურად ლობირებდა ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის შექმნის და განვითარების იდეას. ეს

მიდგომა აგრეთვე დე გოლის საგარეო პოლიტიკის ერთერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენდა. 2009 წლიდან, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა (Common Security and Defense Policy-CSDP), საფრანგეთი გახდა უმსხვილესი კონტრიბუტორი ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში. მეტიც, ის ხშირად ასრულებს "ჩარჩო ქვეყნის" როლს ამ ოპერაციებისთვის, უზრუნველყოფს ძალების ბირთვს და სამეთაურო-საშტაბო კომპონენტს. მაგალითად, ცენტრალურ აფრიკაში ფრანგული სამხედრო კონტინგენტი წარმოადგენდა გაერო-ს მანდატით 2014 წლიდან მოქმედ ევროკავშირის ძალების ბირთვს. აღსანიშნავია, რომ სწორედ საფრანგეთი ახორციელებდა და დღემდე უზრუნველყოფს ცენტრალურ აფრიკაში ევროკავშირის ძალების შემადგენლობაში მოქმედი ქართული კონტინგენტის ლოგისტიკურ მხარდაჭერას.

გარდა ევროკავშირის მისიებისა (მალი, ცენტრალური აფრიკა, ინდოეთის ოკეანე), ფრანგული სამხედრო კონტინგენტები განლაგებულია აღმოსავლეთ, დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე (ჯიბუტი, კოტ-დივუარი, გაბონი, სენეგალი), სხვადასხვა მისიებში ახლო აღმოსავლეთში (ლიბანი, სირია, ერაყი, არაბთა გაერთიანებულ საემიროები). ამას ემატება ფრანგული არმიის ქვედანაყოფები საფრანგეთის ე.წ. ზღვისიქითა ტერიტორიებზე ატლანტის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეებში. სულ მეტროპოლიის ტერიტორიის გარეთ ერთდროულად განლაგებულია ათასობით ფრანგი სამხედრო, ათობით ხომალდი, თვითმფრინავი და ვერტმფრენი, სხვადასხვა ტიპის მძიმე ტექნიკა და შეიარაღება, ლოგისტიკური შესაძლებლობები და სხვა.

როგორც ჩანს, საფრანგეთი კვლავ ინარჩუნებს ზესახელმწიფოს და გლობალური სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტის ამბიციას, რაც დაკავშირებულია მუდმივი მზადყოფნის ძლიერი და მობილური საექსპედიციო ძალების შენახვა/განვითარებასთან. გარდა ამისა, ტერორისტული საფრთხის ზრდამ, გამოიწვია უსაფრთხოების ოპერაციებში არმიის ჩართულობის აუცილებლობა თვით საფრანგეთის ტერიტორიაზე. ფრანგულ ქალაქებში პატრულირებაში და პოლიციის დამხმარ ოპერაციებში მუდმივად მონაწილეობს 13 ათასი ფრანგი სამხედრო. ეს კი ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების და სხვა ლოგისტიკური შესაძლებლობების მობილიზაციას.

გეოპოლიტიკური ამოცანები და მათი რეალიზაციისთვის აუცილებელი თავდაცვის რესურსების თანხვედრა მუდმივი კამათის თემაა დასავლეთში. არ წარმოადგენს გამონაკლისს საფრანგეთიც. სამხედრო ხარჯები ყოველთვის ხდება დისკუსიის საგანი პოლიტიკოსებსა და სამხედროებს შორის. აღნიშნულ დისკუსიებში მონაწილე ფრანგი სამხედროების განცხადებების ლაიტმოტივი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დასმული სამხედრო ამოცანების ეფექტიანი შესრულება პირდაპირ დამოკიდებულია თავდაცვისთვის გამოყოფილ ფინანსურ რესურსებზე. საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, თავდაცვის საბიუჯეტო დაგეგმვის ციკლი მრავალწლიანია. ბოლო კანონი „სამხედრო პროგრამირების შესახებ" მიიღეს 2014 წელს და ის მოიცავს პერიოდს 2019 წლამდე, თუმცა ეს არ გამორიცხავს გარკვეული ცვლილებების შეტანას ყოველწლიურ თავდაცვის ბიუჯეტში. ბოლო ასეთი კორექტირება მოითხოვა პრეზიდენტმა მაკრონმა, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ. პრეზიდენტმა განაცხადა რომ 2017 წლის თავდაცვის ბიუჯეტს დააკლდებოდა 850 მილიონი ევრო, რამაც გამოიწვია გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ დე ვილიეს დაუფარავი აღშფოთება და პოსტის დატოვება. ექსპერტების ვარაუდით ეს გახდა პრეზიდენტ მაკრონის რეიტინგის ვარდნის ერთ-ერთი მიზეზი. ფრანგული არმიის ელიტა და უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ მზარდ და მრავალსახოვან საფრთხეებთან გამკვლავება როგორც საზღვრებს გარეთ, ისე ქვეყნის ტერიტორიაზე, ითხოვს დამატებით თავდაცვის პერსონალს და მისი სამსახურებრივი და სოციალური პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე სამხედრო შესაძლებლობების მოდერნიზაციას და გაძლიერებას. ეს ყველაფერი კი შეუძლებელია თავდაცვის ხარჯების მკვეთრი ზრდის გარეშე. გასათვალისწინებელია ნატო-ს საბიუჯეტო მოთხოვნებიც, რომელთა შესრულებას მოკავშირეებისგან დაჟინებით ითხოვს პრეზიდენტი ტრამპი: ალიანსის წევრის თავდაცვის ბიუჯეტი უნდა შეადგენდეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მინიმუმ 2%-ს. ამ ყველაფრის ფონზე, პრეზიდენტმა მაკრონმა მიიღო გადაწყვეტილება თავდაცვის ხარჯების გაზრდის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 2018 წლის დასაწყისში. მიმდინარე საბიუჯეტო ციკლის ჯამური ხარჯები შეადგენს 190 მილიარდ ევროს, ხოლო ახალი „სამხედრო პროგრამირების შესახებ" კანონის პროექტის მიხედვით, 2019-2025 საბიუჯეტო გეგმაში გათვალისწინებულია სულ 295 მილიარდი ევრო.

2025 წლის ბოლომდე დაგეგმილ ხარჯებიდან 112,5 მილიარდი ევრო გათვალისწინებულია გადაიარაღების და მოდერნიზაციის პროგრამებისთვის. როგორც საზღვაო ზესახელმწიფო, საფრანგეთი განაგრძობს მნიშვნელოვან ინვესტირებას ფლოტში. იგეგმება 4 ახალი Barracuda-ს ტიპის წყალქვეშა ნავის შესყიდვა, დაიწყება ახალი ბირთვული ავიამზიდის შექმნის კვლევითი პროგრამა. თანამედროვე კონვენციურ ომში საჰაერო უპირატესობა გადამწყვეტ როლს თამაშობს, შესაბამისად, ფრანგული არმია განახორციელებს საჰაერო ძალების მნიშვნელოვან მოდერნიზაციას. იგეგმება 28 ერთეული Rafale-ის ტიპის მოიერიშე თვითმფრინავის, 6 ერთეული მსუბუქი სადაზვერვო თვითმფრინავის (ISR) და 6 ერთეული საბრძოლო უპილოტო თვითმფრინავის (Reaper) შეძენა, ხოლო 55 ერთეული მოიერიშე თვითმფრინავი Mirage 2000D იქნება სრულად მოდერნიზებული. უნდა დასრულდეს წლეების განმავლობაში მიმდინარე ჯავშანტექნიკის ჩანაცვლების პროგრამა „სკორპიონი“, რის შედეგად ფრანგული არმია მიიღებს ახალ ჯავშანტრასპორტიორებს Jaguar, საბრძოლო ჯავშანმანქანებს Griffon და მსუბუქ ჯავშანმანქანებს VBMR. დაიწყება კვლევები ახალი ფრანგული ტანკის შექმნასთან დაკავშირებით. ამავე პერიოდში იგეგმება გადაიარაღების სხვა პროექტების დაწყება, რომლებიც დასრულდება 2025 წლის შემდგომ პერიოდში. გარდა ამისა, პირველად მრავალი წლის შემდეგ, უნდა გაიზარდოს პერსონალის რიცხოვნობა (2005-2015 წლებში თავდაცვის პერსონალი შემცირდა 60.000 მოსამსახურით). 2025 წლამდე არმიას დაემატება 6.000 საშტატო ერთეული. აგრეთვე, განცხადებული იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაწილობრივი აღდგენის გეგმები.

პროგრამული გეგმების არასრული ჩამონათვალიდან ჩანს, რომ პრეზიდენტი მაკრონი შეუპოვარია საფრანგეთის, როგორც მსოფლიო ერთერთი ლიდერის და გლობალური უსაფრთხოების გარანტის როლის შენარჩუნებაში და გაძლიერებაშიც კი. ახალი საბიუჯეტო პროექტები ამყარებენ ამ განზრახვებს. მიუხედავად ამისა, გაჟღერებული ამბიციური გეგმების განხორციელება შეიძლება წააწყდეს გარკვეულ სირთულეებს, რაც გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით. 2019-2025 წლების „სამხედრო პროგრამირების შესახებ“ კანონის პროექტში ხარჯების მთავარი ნაწილი გათვალისწინებულია მაკრონის საპრეზიდენტო ვადის დასრულების, ანუ 2022 წლის, შემდეგ. დოკუმენტში მითითებულია, რომ ბიუჯეტის ზრდა დამოკიდებულია მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. შესაბამისად, თუ აღნიშნული მაჩვენებლები დაბალი იქნება, თავდაცვის პროგრამები შეიკვეცება. თავდაცვის ხარჯების მატებამ შესაძლოა გამოიწვიოს საფრანგეთის საბიუჯეტო დეფიციტის და სახელმწიფო ვალის ზრდა. გარდა ამისა, 2021 წელს მთავრობა გადახედავს კანონს და გადაწყვეტს თუ რა ცვლილებები უნდა შევიდეს ყოველწლიურ ბიუჯეტირებაში 2025 წლამდე, რაც აგრეთვე არ გამორიცხავს გადაიარაღების ზოგიერთი პროექტის უფრო შორეულ მომავლისთვის გადადებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Moravcsik Andrew, „De Gaulle Between Grain and Grandeur: The Political Economy of French EC Policy, 1958–1970 (Part 1)“, „Journal of Cold War Studies“, Volume 2, Issue 2, 2000: p. 3-43

2. Moravcsik Andrew, „De Gaulle Between Grain and Grandeur: The Political Economy of French EC Policy, 1958–1970 (Part 2)“, „Journal of Cold War Studies“, Volume 2, Issue 3, 2000: p. 4-68

3. Loi de programmation militaire 2019-2025 https://www.defense.gouv.fr/fre/portail/enjeux2/la-lpm-2019-2025/les-actualites2/loi-de-programmation-militaire-2019-2025-textes-officiels

4. Chassany Anne-Sylvaine, France to increase military spending, “Financial Times”, 08/02/2018 https://www.ft.com/content/fede4e5a-0cb0-11e8-8eb7-42f857ea9f09

5. France to hike defence spending by over 40 percent, AFP, 08/02/2018 https://www.france24.com/en/20180208-france-hike-defence-military-spending-over-40-percent-nato

# გეოპოლიტიკური ინტერესების თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფა

**პეტრე გელაშვილი**
სსიპ სსსტც „დელტა“

**აბსტრაქტი**

დღესდღეობით თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა კრიტიკულად სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინეს როგორც სახელმწიფოების, ისე ცალკეული ორგანიზაციების და კერძო ინდივიდების ყოველდღიურ საქმიანობაში. განუზომელად დიდია მათი როლი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მიმართულებითაც [1]. მათი გამოყენება შესაძლებელია სამიზნე ჯგუფებისათვის დიდი ზიანის მისაყენებლად - კონფიდენციალური ინფორმაციის და პერსონალური მონაცემების ფარულად დაუფლება, დეზინფორმაცია, დისკრედიტაცია და ა.შ. [2].

უკანასკნელ პერიოდში თანამედროვე ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების ყველაზე გახმაურებულ მაგალითს წარმოადგენენ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ კონტროლირებადი ჰაკერული პლატფორმები APT28 და APT29 (APT - advanced persistent threat, განვითარებული მდგრადი საფრთხე, იგივე მიზანმიმართული კიბერშეტევა), რომლებიც ასევე ცნობილი არიან როგორც Cozy Bear, Fansy Bear, Grizzly steppe, Grizzlygate და ა.შ., რომლებმაც 2015-2016 წლებში განახორციელეს მასობრივი კიბერშეტევები სერვერებზე აშშ-ში (იხ. ნახ. 1, 2) [3].

მსოფლიოში თავისი პოზიციების გასამყარებლად და გავლენის გასაფართოვებლად რუსეთი ყველა რესურს იყენებს, მათ შორის, როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ტექნოლოგიებს, ახორციელებს იდეოლოგიურ, კულტურულ-რელიგიური და ეკონომიკურ ექსპანსიას.

საინფორმაციო ომების სფეროს ექსპერტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთის თანამედროვე სტრატეგიის, რომელიც ემყარება ტოტალური ომის იდეას და ერთ სივრცეში ათავსებს ომს და პოლიტიკას, როგორც ფილოსოფიური ისე ტექნიკური თვალსაზრისით, ყველაზე ნათელი გამოხატულებაა გენერალ ვალერი გერასიმოვის (Герасимов Валерий) სტატია - Ценность науки в предвидении Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий [4, 5]. აღნიშნული სტატია ასევე გერასიმოვის დოქტრინადაც მოიხსენება [5]. აქვე უნდა აღინიშნოს რომ თანამედროვე რუსული პოლიტიკისათვის ნიშანდობლივია ერთგვარი სიმბიოზი ოფიციალურ უწყებებს, კერძო სექტორს, საეჭვო ან აშკარად კრიმინალური რეპუტაციის დაჯგუფებებს და რელიგიურ წრეებს შორის, რომლებიც საერთო მიზნებს ემსახურებიან და კოორდინირებულად მოქმედებენ, რაც ასევე გერასიმოვის დოქტრინასთან მოდის თანხვედრაში.

# MODERN TECHNOLOGICAL SUPPORT OF GEOPOLITICAL INTERESTS

PETRE GELASHVILI
LEPL STC Delta

ABSTRACT

Nowadays modern information technologies have acquired a crucial vital importance in the everyday activities of the states, as well as individual organizations and private individuals. Their role is tremendously large in terms of providing national security. They can be used to damage large groups of target groups - confidential information and personal data, misinformation, disinformation, discrediting etc.

The most prominent example of the recent use of modern technology is the hacker platforms controlled by Russian special services APT28 and APT29 (APT - advanced persistent threat, developed sustainable threat, the same targeted cyber attack), also known as Cozy Bear, Fancy Bear, Grizzly Steppe, Grizzlygate Etc., which in the years 2015-2016 have carried out a mass Reeve cyber attacks on servers in the United States.

Russia uses all resources to strengthen its positions and expand its influence, including both traditional and modern technologies, implements ideological, cultural, religious and economic expansion.

A large part of the information sphere expert thinks that the modern strategy of Russia, which is based on the idea of total war and in one space, puts war and politics as a philosophical and technical point of view, the most obvious expression is the article by General Valerie Gerasimov (Герасимов Валерий) Ценность науки в предвидении Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий. This article is also referred to as Gerasimov's doctrine . It should also be noted that modern Russian politics is characterized by some kind of symbiotic official agencies, private sector, suspicious or obviously criminal reputation groups and religious circles that serve common goals and coordinate, which also comes with Gerasimov's doctrine.

## შესავალი

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირში დემოკრატიულ რეფორმებზე მიმართული ე.წ. „გარდაქმნის" (Перестройка) პოლიტიკის გატარება, დასავლეთთან ურთიერთობების დათბობა და კონსტრუქციული თანამშრომლობის დაწყება მსოფლიოში დემოკრატიის საბოლოო ტრიუმფად იქნა აღქმული, რამაც გამოხატულება ჰპოვა იაპონური წარმოშობის ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ფრენსის ფუკუიამას (Yoshihiro Francis Fukuyama) ნაშრომებშიც [6]. სულ მალე „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი"-ში გაკეთებულმა პროგნოზმა სრული კრახი განიცადა, რამაც თავის მხრივ „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის შეცვლა"-ზე ჰანთინგტონისეული (Samuel Phillips Huntington) ხედვის წინა პლანზე წამოწევა გამოიწვია [7]. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ კონცეფციასაც თავის დროზე მსოფლიო იდეოლოგთა მნიშვნელოვან ნაწილში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, როგორც მრავალპოლარული ისე ჰომოგენური მოდელის მომხრეებში. ფილოსოფიური საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა უილიამ მაკბრაიდმა (William McBride) ჰანთინგტონისეული მიდგომა კაცობრიობის არასახარბიელო მომავლის ორ ვერსიად წარმოაჩინა [8]. მაკბრაიდის მიხედვით, ერთის მხრივ ეს არის პოსტმოდერნისტული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლების (ჟ. ლიოტარი (Jean-François Lyotard) და სხვები) მიერ სხვადასხვა მსოფლიო აღქმის არათანაზომადობის შესახებ ჩამოყალიბებული ხედვის ნაკლებად ფილოსოფიური და ვულგარული გამოხატულება. მეორეს მხრივ კი „ცივილიზაციათა შეჯახება" გამახოტავს კიდევ ერთ არასახარბიელო პროგნოზს, რომლის თანახმადაც მსოფლიო ტრანსნაციონალური კულტურის (რომელშიც დომინირებს უპირველესად ამერიკული და ნაკლებად - დასავლეთევროპული ელემენტები) ჰეგემონიის პირობებში ჩამოყალიბებული მონოლითია, წინააღმდეგობის რამდენიმე კერით, რომლებიც უნდა გაქრეს [9]. ჰანთინგტონის პოზიცია, რელიგიური ფაქტორის ზედმეტად აქტუალიზაციის საბაბით, არ გაიზიარა ასევე გერმანელმა მეცნიერმა დიტერ სენგაასმა (Dieter Senghaas), რომლის აზრითაც სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები კონფლიქტების წარმოშობისას უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რელიგიური. გარდა ამისა გერმანელი მეცნიერის მტკიცებით გამყოფი მიჯნები კულტურებს/ცივილიზაციებს შორის და მათ შიგნით სოციალურ-ეკონომიკური და არა გეოკულტურული ხასიათისაა. ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ შეჯახებები უფრო ხშირად კულტურების/ცივილიზაციების წიაღში ხდება, და არა მათ შორის [10]. კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტებთან მიმართებაში ჰანთინგტონისეულ მოსაზრებებს, როგორც სტერეოტიპული მიდგომებით ანალიზის გამარტივების მცდელობას, აგრეთვე ნაციონალიზმისა და ეროვნული ინტერესების კომბინაციასთან შედარებით რელიგიურ-ცივილიზაციური დაპირისპირებისათვის უპირატესობის მინიჭების გამო, მოწინააღმდეგე გამოუჩნდა შვედი მეცნიერის სვანტე კორნელის (Svante E. Cornell) სახითაც [11], ხოლო ოქსფორდის უნივერსიტეტის წმ. ანას სახელობის კოლეჯის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის პროფესორმა, საერთაშორისო კვლევების ოქსფორდის ცენტრის დირექტორმა ნილ მაკფარლეინმა (Neil MacFarlane) სუბრეგიონალური თანამშრომლობისათვის ამგვარი ხედვების საფრთხისშემცველობას გაუსვა ხაზი [12].

თანამედროვე ეტაპზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ისტორიულ და ნაწილობრივ იდეოლოგიურ მემკვიდრედაც რუსეთი გვევლინება, რომელიც მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ავტორიტარულ პოსტ-მოდერნულ იმპერიად მოიაზრება და დემოკრატიული სტაბილურობისათვის საფრთხის შემცველ ძალად მიიჩნევა. ამ მოსაზრებას საბჭოთა კავშირის ფორმალური დაშლიდან მოყოლებული დღემდე (განსაკუთრებით ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდგომ) თავად რუსეთის მიერ გატარებული სამეზობლო პოლიტიკაც ამყარებს. რუსეთის მხრიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში განხორციელებული აგრესიული ნაბიჯები (განსაკუთრებით დასავლეთისგან მხარდაჭერილი ფერადი რევოლუციების ტალღის შემდგომ) ძირითადად ახალგაზრდა დემოკრატიებისკენაა მიმართული, თუმცა უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება განვითარებული ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის მცდელობებიც, რომელთაგან ყველაზე დიდი ხმაური 2016 წელს აშშ-ში გამართულ არჩევნებში რუსეთის შესაძლო ჩარევამ გამოიწვია.

## ძირითადი ნაწილი.

ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში შესწავლილი იქნა ის ანომალიები და დარღვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აშშ-ში (განსაკუთრებით ფლორიდას შტატში) 2000 და 2004 წლებში გამართული ელექტრონული არჩევნებისას. გამოძიებამ გამოავლინა ამერიკის ელექტრონული საარჩევნო სისტემის მოწყვლადობა [13]. 2015-2016 წლებში სერვერებზე განახორციელებული მასობრივი კიბერშეტევები კი უკვე აშშ-ს სამართალდამცავების თვალთახედვის სფეროში მოექცნენ და გატარებული ოპერატიულ-სამძებრო, აგრეთვე საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გამოიკვეთა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ კონტროლირებადი ჰაკერული პლატფორმები APT28 და APT29 (APT - advanced persistent threat, განვითარებული მდგრადი საფრთხე, იგივე მიზანმიმართული კიბერშეტევა), რომლებიც ასევე ცნობილი არიან როგორც Cozy Bear, Fansy Bear, Grizzly steppe, Grizzlygate და ა.შ.(იხ. ნახ. 1, 2) [3].

ნახ. 1 სამიზნე სისტემებში შესაღწევად APT28 და APT29 მიერ გამოყენებული ტაქტიკა და მეთოდები.







ნახ. 2 სამიზნე სისტემებში შესაღწევად APT28 იყენებს მოპარულ ანგარიშებს (სააღრიცხვო, პერსონალურ მონაცემებს).

ზემოთ ხსენებული მასობრივი კიბერშეტევების გამოძიებისას აღმოჩენილი იქნა კიდევ ერთი ტექნოლოგიური სიახლე, რაც რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლების მხრიდან ანონიმურობის შენარჩუნებისთვის კრიპტოვალუტის გამოყენებას გულისხმობს. რუსეთის ხელისუფლებასთან თავისი კავშირის დასამალად, საქმის ფიგურანტები ყალბ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის ა.შ.შ.-ში, არსებულ კომპიუტერულ ქსელს და ინფრასტრუქტურას იყენებდნენ, ხოლო ამ ყველაფრისათვის ანგარიშსწორებას კრიპტოვალუტით ახდენდნენ [14].

უნდა აღინიშნოს, რომ კიბერშეტევების დროს, როგორც სადაზვერვო-დივერსიული ხასიათის სხვა აქტივობის შემთხვევებში, ძალზედ მნიშვნელოვანია არამართლზომიერად მოპოვებული პირადი ხასიათის, კონფიდენციალური თუ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საჯარო სივრცეში გავრცელების თავისებურება, რომელიც ხსენებული ცნობების ლეგალიზებაში მდგომარეობს. ამ კუთხით რუსეთის სპეცსამსახურებმა შექმნეს კლონი სახელწოდებით „გუჩიფერ 2.0" (Gucci-fer 2.0), რომელსაც რუსული ჰაკერული ჯგუფისათვის ერთგვარი ფასადის (საფარის) როლი უნდა შეესრულებინა. ეს სახელწოდება გადმოკოპირებული იყო ცნობილი რუმინელი ჰაკერისგან მარსელ ლეხელისგან (Marcel Lazăr Lehel), რომელმაც სახელი გაითქვა ცნობილი ადამიანების, მათ შორის ჯორჯ ბუშის (უმცროსის) დის ელექტრონული საფოსტო ყუთების გატეხვით. მიუხედავად იმისა, რომ ლეხელმა ჰილარი კლინტონის საფოსტო ყუთის გატეხვაც თავის თავზე აიღო, მან ამის დამტკიცება ვერ შეძლო და საქმის ძირითად ფიგურანტებად კვლავ რუსი ჰაკერები დარჩნენ.

ლეგალიზების მეორე ნაბიჯად გამომცემლობა WikiLeaks-ი მიიჩნევა [15], რომლის დამფუძნებელიც ჯულიან ასანჟი (Julian Paul Assange) წლების განმავლობაში თავს აფარებდა ლონდონში მდებარე ეკვადორის საელჩოს და 2019 წლის 11 აპრილს მისი დაკავების შემდგომ კრემლმა გამოთქვა იმედი, რომ ასანჟის უფლებები დაცული იქნება [16]. თანამედროვე რუსული პოლიტიკის სპეციფიკის (სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფების კორდინირებული მოქმედება) გათვალისწინებით, ყურადსაღებია ის ფაქტიც რომ ეკვადორის საელჩოში ყოფნისას ასანჟთან გახშირებულ ვიზიტებს ახორციელებდა ცნობილი რუსი ოლიგარქის ოლეგ დერიპასკას (Оле́г Влади́мирович Дерипа́ска), ლობისტი ადამ უოლდმენი (Adam Waldman) [17]. აქვე უნდა აღინიშნოს რომ დერიპასკას კავშირებში ე.წ. „რუსული გამოძიების" ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი, ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად მსჯავრდებული პოლ მანაფორტიც (Paul John Manafort Jr) მოიაზრება.

როგორც სჩანს რუსეთის სპეცსამსახურების კიბერაქტიურობით ევროპაშიც არიან შეწუხებული. ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ჯერემი ხანთმა (Jeremy Richard Streynsham Hunt) შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ კიბერშეტევებს, როგორც მინიმუმ, შეუძლიათ საარჩევნო პროცესის საეჭვო ღონისძიებად გადაქცევა. ხანთის თქმით ავტორიტარული რეჟიმები დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიულ არჩევნებს მათ აქილევსის ქუსლად განიხილავენ. დიპლომატმა აგრეთვე აღნიშნა რომ ავტორიტარულ რეჟიმებს თავისუფალი ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოების უამრავი შესაძლებლობა გააჩნიათ, რომლისაც წარსულის დიქტატორებს შეშურდებოდათ. ამასთანავე ჯერემი ხანთმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არ არის იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ვინმენ წარმატებით განახორციელა ჩარევა ბრიტანეთში მიმდინარე საარჩევნო პროცესში [18]. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მედიასაშუალებებში ვრცელდება ინფორმაცია „Brexit"-ის მთავარი სპონსორად წოდებული გავლენიანი ბრიტანელი ბიზნესმენის აარონ ბენქსის (Arron Fraser Andrew Banks) რუსული კავშირების შესახებ [19].

რუსული კიბერშეტევების მსხვერპლნი სხვადასხვა დროს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიც იყვნენ, მათ შორის ესტონეთი და საქართველო (2008 წელს რუსეთთან ომის დროს, მხოლოდ დასავლელი პარტნიორების დახმარებით მოხერხდა ჩვენი სატელეკომუნიკაციო სივრცის გადარჩენა სრული განადგურებისაგან). მიმდინარე წლის მაისში კი უკრაინის უშიშროების ორგანოების მიერ ქ. ლვოვში აღკვეთილი იქნა სამხედრო და სამოქალაქო უწყებების სატელეკომუნიკაციო სისტემებში არასანქციონირებული შეღწევის ფაქტი [20].

კიბერშეტევებსა და პროპაგანდაზე ნაკლებად ცნობილი და შესწავლილია ე.წ. აკუსტიკური შეტევის მეთოდი, რომელიც სავარაუდოთ გამოყენებული იყო ამერიკის საელჩოების თანამშრომლების მიმართ კუბასა და ჩინეთში 2018 წლის ივნისში. მედიაში გაჟონილი მონაცემების თანახმად, რომლებზეც აშშ-ს საგამოძიებო უწყებები კომენტარს არ აკეთებენ, ამ შეტევების უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან.

ამ ტექნოლოგიური ნოჰაუს დამაზიანებელი ეფექტის ამსახველ სიმპტომებში შედის: სმენის დაზიანება, ხმაური ყურებში, თავბრუსხვევა, თავის ტკივილი და სისუსტე. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით ყველაფერი ეს თავის ტვინის მსუბუქ ტრამვულ დაზიანებას წააგავს [21].

## დასკვნები და რეკომენდაციები

რუსეთის დესტრუქციული აქტივობის ძირგამომთხრელი ხასიათი მხოლოდ კიბერშეტევებსა და მონაცემების არასანქციონირებულ მოპოვებაში არ გამოიხატება, მასთან აფილირებული ძალები ცდილობენ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას, ეწვიან პროპაგანდას, ახორციელებენ ყალბი ახალი ამბების შექმნა-გავრცელებას, მიმართავენ ე.წ. „ტროლინგს" და ა.შ. თავისუფალი სამყაროს საზოგადოებრივი-პოლიტიკურ სირცეში მათი აქტიური ჩარევა დაფიქსირებულია, როგორც აშშ-ში, ისე ევროპის ქვეყნებში და პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში. აღსანიშნავია რომ ამ მეთოდების ერთგვარი პროტოტიპების აპრობაცია პირველად მოხდა საქართველოში (ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციისა და გამსახურდიას მთავრობის შეცვლის მიზნით), როდესაც ინფორმაციის გაცვლის მსოფლიო გლობალური ქსელი საერთოდ არ არსებობდა [22, 23, 24]. აღნიშნულ ვითარებაში ძალზედ მნიშვნელოვანია ჰიბრიდული საფრთხეების დროული და საფუძვლიანი შესწავლა, დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით კიბერუსაფრთხოების ზომების გააქტიურება და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, თანამედროვე რუსეთის რეალური პოლიტიკის ირგვლივ მოსახლეობის მუდმივი არგუმენტირებული ინფორმირება, დასავლეთან ინტეგრაციის აქტივობის შენარჩუნება და ამ პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერა და სვა.

## გამოყენებული ლიტერატურა.


1. კუპრაშვილი ჰ. ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა. თბილისი. საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი". 2012. ISBN 978-9941-20-073-1.

2. Disinformation resielence in central and eastern europe: Eurasian States in Transition Research Center (EAST Center) - Foreign Policy Council "Ukrainian Prism", kyiv: July 2018. 340 p.
ხელმისაწვდომია: http://prismua.org/wp-content/uploads/2018/06/DRI_CEE_2018.pdf
უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

3. GRIZZLY STEPPE – Russian Malicious Cyber Activity, JOINT ANALYSIS REPORT, Reference Number: JAR-16-20296A December 29, 2016, ხელმისაწვდომია: https://www.us-cert.gov/sites/default/files/publications/JAR_16-20296A_GRIZZLY%20STEPPE-2016-1229.pdf
უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

4. Молли Маккью (MOLLY K. MCKEW), Доктрина Герасимова, ხელმისაწვდომია: https://inosmi.ru/politic/20170907/240217819.html?fbclid=IwAR0vVOsT7mYS1YO7jMaxBLLkiZ3Y20LEYo0q6SzTFKJjHCCU10SpWrIf-PM4 უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

5. Герасимов Валерий Ценность науки в предвидении Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий 26 февраля 2013, ხელმისაწვდომია: https://www.vpk-news.ru/articles/14632. უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

6. Фукуяма Ф. Конец истории и последний человек. — М., ООО «Издательство АСТ: ЗАО НПП «Ермак», 2004.- 588) с.

7. Хангтингтон С. Столкновение цивилизаций и преобразование мирового порядка. — М., ООО «Издательство АСТ», 2003.- 603 (5) с.

8. Макбрайд У. Глобализация и межкультурный диалог. - В журн.: Вопросы философии, М., 2003, № 1, с. 82.

10. Dieter Senghaas. The Clash within Civilizations (Coming to terms with cultural conflicts). Routledge. London-N. Y. 2002, p. 74. 138 იქვე, გვ. 75.

11. კორნელი ს. რელიგიის ფაქტორი კავკასიის კონფლიქტებში. - ჟურნ.: ცივილიზაციური ძიებანი, თბ., 2003, 1, გვ. 60-74.

12. მაკფარლეინი ნ. „ცივილიზაციათა შეჯახება": კრიტიკული ხედვა. - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ბიულეტენი, 11 (20), თბ., 1999, გვ. 11-14.

13. Hacking Democracy, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=iZLWPleeCHE უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

14. Стало известно, на чем прокололись обвиненные США ГРУшники - Новости мира, ხელმისაწვდომია: https://inforesist.org/stalo-izvestno-na-chem-prokololis-obvinennyie-ssha-grushniki-novosti-mira/?fbclid=IwAR2bjIYmYTscIuR0DUuiZwcM9SrGfqUnKRyTS-l4duteQZW2UKeNVHf4Ai8 უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

15. Wikileaks Dismantling of DNC Is Clear Attack by Putin on Clinton _ Observer ხელმისაწვდომია: https://observer.com/2016/07/wikileaks-dismantling-of-dnc-is-clear-attack-by-putin-on-clinton/ უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

16. Надеемся, что права Ассанжа будут соблюдены__ Кремль об аресте основателя WikiLeaks ხელმისაწვდომია: https://tsargrad.tv/news/nadeemsja-chto-prava-assanzha-budut-sobljudeny-kreml-ob-areste-osnovatelja-wikileaks_194079?fbclid=IwAR1-BYPSqvjRwjw8tA5hHrh0EC_QUogumg9UnkThPoDI17c5TvO19qXHMIQ უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

17. US lobbyist for Russian oligarch visited Julian Assange nine times last year _ Media _ The Guardian ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/media/2018/jun/20/us-lobbyist-for-russian-oligarch-visited-julian-assange-nine-times-last-year
უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

18. Глава МИД Британии_ кибератаки угрожают западным демократиям - BBC News Русская служба. ხელმისაწვდომია: https://www.bbc.com/russian/news-47480941?fbclid=IwAR35fiVJOmgwQiYFO0KEj-kP1wZ0AaviFUjBTNV2qgrXBMH6Fd2hzYt_wzA. უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

19. Документы подтвердили связь главного спонсора Brexit с Россией ხელმისაწვდომია:https://inforesist.org/dokumentyi-podtverdili-svyaz-glavnogo-sponsora-brexit-s-rossiey/?fbclid=IwAR3omv6lpedGZA13GCFKVYZ3LtqPWTpjT9Bxyr1wbULA3ld2N1yTnYSAOgA უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

20. Во Львове устанавливали софт, позволивший РФ украсть секретные данные военных и госпредприятий _ Новости Украины, ხელმისაწვდომია: https://inforesist.org/vo-lvove-ustanavlivali-soft-pozvolivshiy-ukrast-iz-rf-sekretnyie-dannyie-voennyih-i-gospredpriyatiy/?fbclid=IwAR3Ge6atd5b4Gfoa9QfucOTLAZNi0sSehNeK6_3IJHowAWxpiQrdG2PPHy4 უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

21. NBC_ Россия – главный подозреваемый в акустических атаках на дипломатов США, ხელმისაწვდომია: https://www.golos-ameriki.ru/a/russia-main-suspect-us-diplomats-illnes-in-cuba/4567131.html?fbclid=IwAR2bjIYmYTscIuR0DUuiZwcM9SrGfqUnKRyTS-l4duteQZW2UKeNVHf4Ai8 უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

22. Русский след_ у Цукерберга есть доказательства, ხელმისაწვდომია:http://by24.org/2018/07/19/zukerberg_told_in_interview_about_russian_trace/?fbclid=IwAR3omv6lpedGZA13GCFKVYZ3LtqPWTpjT9Bxyr1wbULA3ld2N1yTnYSAOgA. უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

23. Русские тролли мутят воду перед выборами в Швеции _ Политика _ ИноСМИ - Все, что достойно перевода, ხელმისაწვდომია: https://inosmi.ru/politic/20180603/242355404.html?fbclid=IwAR0vkGqIo4wcMuXfrkJ0y9usn8CkJkA4B84ijLRThQmn4oAT95FwaHMAZu4 უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

24. დოკუმენტური ფილმი „ტროლები", სტუდია კრედო, 2018 წელი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=uLwjIhQGHYo&feature=share&fbclid=IwAR0AnCXkM26RHtR-pddGKBpxgiOitC9ETmB0ktxGFjQpfHtsv6af5bfswjQ უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019

# გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესი საქართველოში XX საუკუნის პირველ მეოთხედში


მამია ბალახაძე
სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი.
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა


### აბსტრაქტი


მეოცე საუკუნის დასაწყისიდან კაპიტალიზმის განსაკუთრებულად განვითარებიდან გამომდინარე ევროპაში დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგობა იზრდებოდა, განვითარებულ მრეწველობას და ეკონომიკას უფრო მეტი წიაღისეული ნედლეულის  ამოსაღები ბაზები და პროდუქციის გასაღების ბაზრები ესაჭიროებოდა. მსოფლიო უკვე კარგა ხნის გადანაწილებული იყო, ხოლო განვითერბულ გერმანიას უკვე აღარ ყოფნიდა გავლენის საზღვრები, რომლითაც იგი სარგებლობდა, ამიტომ მისი მზერა ახალ ქვეყნების დაპყრობაზე და მსოფლიოს ახლებურ გადანაწილებისკენ იყო მიმართული, რაც საბოლოოდ სარაევოს საბედისწერო გასროლით და ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მკვლელობით, პირველ მსოფლიო ომში გადაიზარდა. ეს ომი თავისი ბუნებით მტაცებლური ომი იყო, რომელმაც დაანგრია რამოდენიმე იმპერია, ათეულობით მილიონი ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია, ამავდროულად წარმოქმნა ახალი სახელმწიფოები, ახალი საზღვრებით და ახლებური რეალობით, მათ შორის საქართველომ 1918 წელს, 117 წლის განმავლობაში დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოახერხა.  მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფომ სამი წელი იარესება და ბოლშევიკური რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმიის ოკუპაციის მსხვერპლი გახდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა პირდაპირ კაიზერული გერმანიის მხარდაჭერასთან არის დაკავშირებული.


# GERMAN POLITICAL AND ECONOMIC INTEREST IN GEORGIA IN THE FIRST QUARTER OF THE XX CENTURY


MAMIA BALAKHADZE
Lepl Georgian Technical University, PHD Student Doctoral Program in Law and International Relations


### ABSTRACT


From the beginning of the twentieth century, because of the development of capitalism,the resistance of the great states of Europe was growing. The developed industry and the economy needed more fossil raw materials and the market for the products. The world has long been distributed, and the boundaries of influence that developed Germany enjoyed were not enough anymore. Thus, Germany's focus was on the conquest of new states and the new distribution of the world, which eventually led into World War I triggered by the fatal shooting in Sarajevo and the assassination of the successor of the Austria-Hungarian monarchy. This war was a predatory war by its nature, which destroyed several empires, caused tens of millions of victims, at the same time, new states were emerged with new borders and new reality, including Georgia that managed to restore lost statehood in 1918 after 117 years. In spite of the fact that this state had existed for three years and become a victim of occupation by the Russia's 11-the Red Army, it played a significant role in the history of Georgia. The restoration of the Georgian statehood is directly related to the support of the German Empire.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან კაპიტალიზმის განსაკუთრებულად განვითარებიდან გამომდინარე ევროპაში დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგობა იზრდებოდა, განვითარებულ მრეწველობას და ეკონომიკას უფრო მეტი წიაღისეული ნედლეულის ამოსაღები ბაზები და პროდუქციის გასაღების ბაზრები ესაჭიროებოდა. მსოფლიო უკვე კარგა ხნის გადანაწილებული იყო, ხოლო განვითერბულ გერმანიას უკვე აღარ ყოფნიდა გავლენის საზღვრები, რომლითაც იგი სარგებლობდა, ამიტომ მისი მზერა ახალ ქვეყნების დაპყრობაზე და მსოფლიოს ახლებურ გადანაწილებისკენ იყო მიმართული, რაც საბოლოოდ სარაევოს საბედისწერო გასროლით და ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მკვლელობით, პირველ მსოფლიო ომში გადაიზარდა. ეს ომი თავისი ბუნებით მტაცებლური ომი იყო, რომელმაც დაანგრია რამოდენიმე იმპერია, ათეულობით მილიონი ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია, ამავდროულად წარმოქმნა ახალი სახელმწიფოები, ახალი საზღვრებით და ახლებური რეალობით, მათ შორის საქართველომ 1918 წელს, 117 წლის განმავლობაში დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფომ სამი წელი იარესება და ბოლშევიკური რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმიის ოკუპაციის მსხვერპლი გახდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა პირდაპირ კაიზერული გერმანიის მხარდაჭერასთან არის დაკავშირებული.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების პერიოდში საქართველო და მისი მოსახლეობა ენთუზიაზმით ჩაება საბრძოლო მოქმედებებში, კავკასიის ფრონტი გერმანია ავსტრია-უნგრეთის მოკავშირე თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც საქართველოსთან ისტორიულ მტრულ დაპირისპირებაში იყო ყოველთვის, ამიტომაც მეფის რუსეთმა მოახერხა და პირველ მსოფლიო ომში 300000-ზე მეტი ქართველის მობილიზაცია შეძლო საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის, რაც ისტორიულად უპრეცედენტო იყო. საქართველოს სამიათას წლიანი სახელმწიფოებრიობის განმავლობაში ამდენი ქარველი არ წასულა (მითუმეტეს სხვის) ომში, რაც პირველ მსოფლიო ომის მიმდინარეობისას პირველად დაფიქსირდა. ქართველმა ოფიცრობამ და რიგითმა ჯარისკაცებმა დიდი გმირობის მაგალითები აჩვენეს როგორც დასავლეთის ასევე კავკასიის ფრონტებზე. მაგრამ ომის მიმდინარეობის პერიოდში რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობა როგორც ევროპაში, ასევე რუსეთში და საქართველოშიც. ომმა დიდი გაჭირვება და უბედურება მოიტანა, დაიღუპა უამრავი ადამიანი, დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ძალზე გაუარესდა, ამ ფონზე ხალხის მასებში ძალზე პოპულარული ხდება სოციალიზმის იდეოლოგია, მარქსის და ენგელსის მოძღვრება. გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები, მათი ბრძოლა რუსეთის იმპერიის მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც საბოლოო ჯამში რუსეთში 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციით, მეფის ხელისუფლების დამხობით დასრულდა, ქვეყნის სათავეში დროებითი მთავრობა მოვიდა სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთით. იმავე წელს რუსეთში ოქტომბრის თვეში, სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკების სამხედრო გადატრიალება მოხდა, რომლის ძალითაც დიქტატურა დამყარდა ლენინის, ტროცკის და სტალინის მეთაურობით. ამ პროცესების მიღმა რათქმაუნდა საქართველოც არ ყოფილა გამორჩენილი, თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ასევე რადიკალური ცვლილებები გამოიწვია საქართველოში, სოციალ-დემოკრატების მენშევიკური მიმდინარეობა ყოველთვის უფრო ძლიერი იყო ვიდრე ბოლშევიკურისა, აქედან გამომდინარე ნოე ჟორდანიას დროებითი მთავრობა მოექცა ქვეყნის სათავეში, რომლისთვისაც ეროვნული საკითხი და საქართველოს დამოუკიდებლობა არასდროს არ ყოფილა მთავარი პოლიტიკური ბრძოლის იდეა, უმთავრესი სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი იყო, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის სამხედრო გადატრიალებამ პეტროგრადში და ბოლშევიკების მოსვლა ლენინით სათავეში ძალზე შეაშფოთა საქართველოს ხელისუფალი, ამას ემატებოდა სამხედრო მდგომარეობის გართულება კავკასიის ფრონტზე. რუსეთის სამხედრო ნაწილებმა რევოლუციის შემდგომ თვითნებურად იწყეს საბრძოლო პოზიციების დატოვება და ფრონტის ხაზის მოშლა, რაც თურქეთს საშუალებას აძლევდა საბრძოლო მოქმდებები წარმატებით ეწარმოებინა და მნიშნელოვანი ტერიტორიების ოკუპაცია მოეხდინა, რომელიც ადრე რუსეთის არმიას ქონდა დაკავებული, თურქეთი ასევე საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს ემუქრებოდა. 1918 წლის აპრილში ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა შექმნეს სამოკავშირეო სახელმწიფო – ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა. ამ სახელწმიფოს არსებობა შეუძლებელი იყო მასში შემავალი ერების სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გამო. ქართველები გერმანულ პოლიტიკურ

ორიენტაციას აღიარებდნენ, სომხები – ინგლისურს, აზერბაიჯანელები – ოსმალურს. ყოველგვარი ცდა, ერთი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია შეემუშავებინათ, უშედეგო გამოდგა. თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიები კი ძალზე დიდი იყო, მას აჭარა და ოზურგეთი ოკუპირებული ქონდა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს და სამცხე-ჯავახეთს ითხოვდა, ხოლო ქართულ მხარეს მოლაპარაკებებში არალეგიტიმურად მიიჩნევდა, რადგან კავკასიის ტერიტორიას რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა, ვის წინააღმდეგაც საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა. ასეთ ვითარებაში, გერმანიის წარმომადგენელმა, გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ურჩია, დაეშალათ ამიერკავკასიის ფედერაციული სახელწმიფო და გამოეცხადებინათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ დამოუკიდებლობის გარანტი კი იქნებოდა გერმანიის იმპერია. ქართველები ასეც მოიქცნენ. ჩვენი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით გამოცხადდა. გერმანიის იმპერია საქართველოს პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებდა, აღმოუჩინა სამხედრო დახმარებაც. საქართველოში შემოვიდა გერმანიის არმიის ერთ-ერთი ელიტური ბავარიის დივიზია.[1]

გერმანიას საქართველოში რათქმაუნდა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა, პირველ ეტაპზე, გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა და აღმოსავლეთის ოპერაციების მეთაური ლუდენდორფი  მხარს უჭერდა კავკასიაზე და ბაქო-ბათუმის ნავთობსადენზე პირდაპირ თურქული გავლენის დამყარებას. ამ იდეას ეწინააღმდეგებოდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფონ კიულმანის მეთაურობით, რომელიც თვლიდა, რომ კავკასიის ქრისტიანულ ნაწილზე თურქეთის გავლენა პირდაპირი საფრთხის შემცველი იქნებოდა გერმანიისთვის, რადგან შეიძლებოდა რეგიონი ინგლისელთა ხელში აღმოჩენილიყო. აპრილის თვეში ლუდენდორფის მიდგომა საკითხისადმი თანდათან შეიცვალა, რაშიც თავისი წვლილი გერმანელი კოლონისტების კავკასიაში ყოფნამაც შეიტანა. ლუდენდორფი კავკასიიდან მოელოდა სამ რამეს:

1. ომისათვის საჭირო ნედლეულის მიღებას (ბაქოს ნავთობი და ჭიათურის მანგანუმი).
2. ქართული არმიის ჩამოყალიბებას, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში უნდა ებრძოლა გერმანელების მხარეზე და უზრუნველეყო წესრიგი ადგილზე.
3. გეოგრაფიული ტრამპლინის მოპოვებას სამომავლოდ თურქესტანსა და ინდოეთში ინგლისელების წინააღმდეგ ომის საწარმოებლად.[2]

ამასთან ერთად გერმანიას საქართველოს მიმართებაში თავისი ეკონომიკურ-ფინანსური ინტერესიც ამოძრავებდა, რაც  ფოთის ხელშეკრულებაში გამოიხატა. 1918 წლის 28 მაისს ქალაქ ფოთში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მესამე დღეს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკასა და გერმანიის იმპერიას შორის, სადაც საქარველომ აღიარა გერმანიის პროტექტორატი და მისი მფარველობა. ხელშეკრულების მიხედვით გერმანიას ქონდა:

• საქართველოს რკინიგზის შეუზღუდავი გამოყენების უფლება და შეეძლოთ საქართველოს პორტებში თავისი გემების შეუზღუდავი შესვლა.
• გერმანული საექსპედიციო ძალებით სტრატეგიული წერტილების ოკუპაციის უფლება.
• გერმანული ვალუტის თავისუფალი მიმოქცევის უფლება.
• ერთობლივი ქართულ-გერმანული სამთო კორპორაციის შექმნა.
• დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების გაცვლა.

საიდუმლო დამატებითი წერილით ფონ ლოსოვი პირდებოდა დახმარებას საქართველოს საერთაშორისო აღიარებაში და მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში.

---

[1] ოთარ ჯანელიძე. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“. თბილისი 2018წ გვ.78
[2] გიორგი ასტამაძე. „ქართულ გერმანული ურთიერთობები 1918-1921 წლებში“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/5

ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ საქართველოს მხრიდან პრემიერ მინისტრი ნოე რამიშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი ხოლო გერმანიის მხრიდან ოტო ფონ ლოსოვი.[3]

გერმანიის ერთ-ერთი ეკონომიკური მოტივაცია ბაქოს ნავთობი იყო, რომელიც მეცხრამეტე საუკუნიდან აქტიურად ექსპორტირებოდა მსოფლიო ბაზარზე, ეს კარგად აწყობილი ნავთობ ინდუსტრია იყო, რომელიც ჯერ აზერბაიჯანიდან კასრებით გადმოქონდათ შავ ზღვამდე, შემდგომში სარკინიგზო ხაზის აშენებისა ნავთობის ტვირთბრუნვამ რკინიგზაზე გადმოინაცვლა, ხოლო ბოლოს აშენებულ იქნა პირველი ბაქო ბათუმის ნავთობსადენი, რომლის მეშვეობით დიდი რაოდენობით ნავთი ბათუმში ჩაედინებოდა, საიდანაც ტანკერების მეშვეობით მსოფლიო ბაზარზე გადიოდა.(ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის სტრატეგიული მნიშვნელობა გამოჩნდა ასევე შემდგომ პერიოდში, როდესაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. ლენინი კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა თურქეთის დიდი მოთხოვნისდა მიუხედავად ბათუმის გადაცემაზე, რისი მიზეზიც სწორედ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ფინანსურად დიდი მოგების მომტანი ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი იყო) იყო პერიოდი როდესაც მსოფლიო ნავთობის მოხმარების 40% ბაქოს ნავთობზე მოდიოდა, აქედან გამომდინარე საქართველოს, მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე თავისი ნავთობის სატრანზიტო ფუნქციით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, იმ ფონზე როდესაც პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ტექნიკური პროგრესი ძალზე წინ იყო წასული, გამოგონებულ იქნა შიდა წვის ძრავა, ავტომობილი, თვითფრინავი, წყალქვეშა ნავი, ტანკი და სხვა ტექნიკა, რომელსაც ნავთობპროდუქტი ესაჭიროებოდა, ნავთობის მოხმარება ძალზე გაიზარდა, ომის წარმატებაც ნავთობრესურსებზე გახდა დამოკიდებული, აქედან გამომდინარე ნავთობმაც და მასზე წვდომის გზებმაც სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა.

1918 წლის 23 სექტემბერს დიდვეზირ თალაათ ფაშასთან გაფორმებული ფარული შეთანხმების შემდეგ გერმანიის იმპერიამ ზეგავლენა დაამყარა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენზე და საქართველო უკვე ოსმალეთის აღიარებითაც გერმანიის მფარველობაში გადავიდა.[4]

გერმანიისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა ქონდა კავკასიის რკინიგზას, მისი ტვირთების გადასაზიდად და სამხედრო ნაწილების გადასაყვანად. ეკონომიკური- პოლიტიკური მოგების მიღება შეუძლებელი იქნებოდა რკინიგზის გარეშე. საქართველოს ამ დროისათვის კარგად განვითარებული სარკინიგზო მაგისტრალები გააჩნდა, რაც ასევე კავკასიაში სომხეთის და აზერბაიჯანისთვისაც მთავარი სატრანსპორტო არტერია იყო. გერმანიისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამ ძირითადი სატრანსპორტო ქსელის კონტროლი, რადგან მისი გეგმები კავკასიაში უფრო შორს მიდიოდა ვიდრე საქართველო, მისი მიზანი აზერბაიჯანის და ბაქოს ნავთობის შემდგომ, ირანის მიმართულებით გაჭრა და ინდოეთის ოკეანეში დამკვიდრება წარმოადგენდა, საიდანაც ერთი ხელის გაწვდენაზე მდებარეობდა ინდოეთი და ჩინეთი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო-სამრეწველო ძირითად ბაზას წარმოადგენდა, ეს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში სრული კონტროლი იყო, რაც უზარმაზარ შემოსავლებს და კაიზერული გერმანიის ძლიერებას განაპირობებდა.

რკინიგზის ფუნქციონირება წარმოუდგენელი იქნებოდა საზღვაო პორტების გარეშე, ბათუმისა და ფოთის საზღვაო სატვირთო პორტები კავკასიის მთავარი კარიბჭეები იყვნენ. გერმანიისთვის ამ საკომუნიკაციო საშუალებებთან თავისუფალი წვდომა მნიშვნელოვანი იყო. პორტების კონტროლი გერმანიას საშუალებას მისცემდა სრულად გაეკონტროლებინა კავკასიის რეგიონში ტვირთბრუნვა და ეკონომიკური აქტივობა, მსოფლიო ბაზარზე ბაქოს ნავთობის მიწოდების ინტენსივობა, ასევე სრული კონტროლი დაემყარებინა კავკასიის ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სამხედრო სიტუაციაზე. იმ დროს როდესაც გერმანიაში გამოშვებულ პროდუქციას ესაჭიროებოდა გასაღების ბაზრები, სატრანსპორტო მნიშვნელოვანი კვანძი როგორიც არის საზღვაო პორტი და რკინიგზა კავკასიაში,

---

[3] გიორგი ასტამაძე. „შულენბურგი და საქართველო 1911-1921წ“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/36

[4] გიორგი ასტამაძე.“ ქართულ გერმანული ურთიერთობები 1918-1921წლებში“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/5

რომლითაც გზა იხსნებოდა სხვა უზარმაზარი ბაზრებისკენ ძალზე მნიშვნელოვანი იყო. გერმანული საექსპედიციო ძალებით სტრატეგიული წერტილების ოკუპაციის უფლებაც სწორედ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი წერტილების დაცვას და კონტროლს ისახავდა მიზნად. გერმანიას ომის მიმდინარეობის პერიოდში დივერსიებისაგან დასაცავად და თავისუფალი გამოყენებისთვის ესაჭიროებოდა ისეთი ობიექტების დაცულობა, როგორიც იყო რკინიგზა, ხიდები, პორტები, საწყობები, ნავთობსადენი, ომის საჭიროებისათვის მნიშვნელოვანი ფაბრიკა-ქარხნები, წიაღისეულის საბადოები.

გერმანული ვალუტის თავისუფალი მიმოქცევის უფლებაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ეს ნიშნავდა გერმანული ვალუტის და ფინანსების თავისუფალ მიმოქცევას საქართველოს საბანკო სისტემაში, რაც ქვეყნის ეკონომიკური ათვისებისთვის, ინვესტიციების ჩასადებად და გერმანული კაპიტალის მოსაზიდად მეტად აუცილებელი იყო, ეს ნაბიჯი ეკონომიკურად მეტად დაახლოვებდა გერმანიას და საქართველოს, რაც ორივე მხარისთვის მომგებიანი იყო. აქედან გამომდინარე გერმანია ცდილობდა საქართველოს და შემდგომში კავკასიის რეგიონის ფინანსურ ათვისებას, გერმანული კაპიტალის დამკვიდრებას და საწარმოო ძალებში ფულის დაბანდებას, რაც საქართველოსთვისაც მეტად მომგებიანი იქნებოდა, ეს ნიშნავდა უფრო გაზრდილ ეკონომიკას, შექმნილ სამუშაო ადგილებს, განვითარებულ იფრასტრუქტურას, აქედან გამომდინარე ცხოვრების დონის ამაღლებას. აღსანიშნავია ისიც, რომ გაცვლითი კურსი ამ პერიოდისთვის ყოველთვის ერთ დონეზე იყო შენარჩუნებული.[5]

ერთობლივი ქართულ-გერმანული სამთო კორპორაციის შექმნა გერმანიისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო რადგან აქ ძირითადად საუბარია ჭიათურის მარგანეცზე რომლის მოპოვება მეცხრამეტე საუკუნიდან დაიწყო და საქართველოს ერთერთი სტრატეგიული ნედლეული იყო. მარგანეცის ექსპორტი რკინიგზისა და ქართული პორტების მეშვეობის ხორციელდებოდა და მსოფლიო ბაზარზე ზოგიერთ პერიოდში 50% შეადგენდა. მარგანეცი ფერადი მეტალურგიისთვის უმთავრესი ნედლეულია და გერმანია სასიცოცხლოდ დაინტერესებული იყო ამ ნედლეულთან წვდომისკენ, ომის საჭიროება და წარმატება ხომ მეტალურგიის განვითარებაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ ქართულ სამთო წარმოება გერმანიის ეკონომიკურ პოლიტიკური ინტერესის ერთერთი ძირითადი მომენტი იყო. ერთია რომ შენ გეძლევა საშუალება მსოფლიოში მნიშვნელოვანი მეტალურგიული რესურსით სარგებლობის საშუალებისა და მეორეა ის, რომ შენს მოწინააღმდეგეს აღარ გააჩნია საშუალება ამ სასიცოცხლო ნედლეულზე წვდომა, რაც სტრატეგიულად დიდად მომგებიანი იყო. საქართველოში ასევე მოიპოვებოდა სპილენძი, ქვანახშირი, ოქრო და სხვა სასარგებლო წიაღისეული რაც ბუნებრივია გერმანულ მხარეს აინტერესებდა რაც შესაბამისად ფოთის ხელშეკრულებაში იქნა ასახული. გერმანული მხარე ასევე აპირებდა ჭიათურის მაღაროების გადაიარაღებას და მისი საწარმოო სიმძლავრეების გაზრდას.[6]

გერმანიისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ლონდონი-თბილისის-კალკუტას სატელეგრაფო ხაზი, რომლის საერთო სიგრძე 10000 კილომეტრს აღემატებოდა, რომელიც ძმები სიმენსების აშენებული იყო და მისი მთავარი საკვანძო ქვესადგური თბილისში მდებარეობდა. ეს საკონტინენტო კავშირგაბმულობის მსოფლიო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა იყო, რაც იმდროისათვის ყველაზე თანამედროვედ ითვლებოდა და სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა. ვალტერ სიმენსი, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, მისი ძმა ოტო (ფირმის დამფუძნებლის ვერნერ სიმენსის უმცროსი ძმები) თბილისში ფირმის წარმომადგენლები და ამავდროულად ჩრდ. გერმანიის კავშირის კონსულები იყვნენ ამიერკავკასიაში. ძმები ვალტერ და ოტო სიმენსები თბილისში არიან დაკრაძალულნი, თუმცა მათი საფლავები დაკარგულია.[7]

დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების გახსნა სწორედ ამ თანამშრომლობის კონტროლს და გაძლიერებას ემსახურებოდა. მუდმივად აქ მყოფი გერმანელი დიპლომატები და

---

[5] ოთარ ჯანელიძე. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები". თბილისი 2018წ გვ.84
[6] ოთარ ჯანელიძე. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები". თბილისი 2018წ გვ.102
[7] დღვილავა მამია, საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი 1996წ.

სახელმწიფო მოხელეები ყოველდღიურ კონტროლს გაუწევდნენ გერმანია-საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებების სიცოცხლეში განხორციელებას და გაფართოვებას.

გერმანია საქართველოს სავაჭრო ეკონომიკურ თანამშრომლობას ძალიან დიდი წარსული ჰქონდა ჯერ კიდევ 1817 წელს საქართველოში მეფის რუსეთმა გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება დაიწყო, მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის მათი რაოდენობა რამოდენიმე ათეულ ათასს წარმოადგენდა. გერმანელები აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. 1817 წელს გერმანელი ვიურტემბერგელი კოლონისტების პირველი ჯგუფი თბილისის ახლოს, სართიჭალასთან, პირველ გერმანულ კოლონიას - მარიენფელდს - აარსებს. მერე მას ნოიტიფლისი, ალექსანდერსდორფი, კატარინენფელდი, ელიზაბეტთალი, პეტერსდორფი მოჰყვა. გერმანელები ხსნიან პირველ აფთიაქს, პირველ ლუდსახარშს, პირველ ლუთერულ ეკლესიას, მათ პირველად შემოიტანეს საქართველოში კარტოფილი. იხსნება კავკასიის მუზეუმი, გაჰყავთ ტელეგრაფის ხაზი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობილი ფირმა „სიმენსის“ მოღვაწეობა, რომელმაც 1858 წლიდან მთელ საქართველოში შექმნა სატელეფონო ხაზების ხშირი ქსელი. 1920 წლისათვის გერმანელებმა განაახლეს ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოსთან, რაც, ძირითადად, მანგანუმის იმპორტით გამოიხატა.

1922 წელს თბილისში ცხოვრობდა 2457 გერმანელი. 1926 წელს მათი რაოდენობა 3156 გახდა. ამა-ვე პერიოდში ქვემო ქართლში მცხოვრებ გერმანელთა რაოდენობამ 6000 მიაღწია. პირველი სახელმწიფო, რომელთანაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საერთაშორისო ურთიერთობა დაამყარა, კაიზერული გერმანია იყო. გერმანიამ იხსნა საქართველო თურქეთის ოკუპაციის საფრთხისაგან და ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა, აღედგინა 117 წლის წინ გაუქმებული ეროვნული სახელმწიფოებრიობა. მართალია, ვილჰელმ მეორეს საქართველოსთან მიმართებაში საფუძვლიანი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ეს ინტერესები არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს, არ ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ მისწარაფებებს. 1918 წელს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური დელეგაცია ჩადის გერმანიაში.

1918 წლის აგვისტოს დამდეგიდან ყველა ფრონტზე მოვლენები გერმანიისთვის საბედისწეროდ განვითარდა. ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რესურსებითა და რეზერვებით შეიძლება ითქვას აჯობეს გერმანის და საბრძოლო მოქმედებების ბედი თავის მხარეს გადაწონეს. გერმანიის სამხედრო მანქანა ჯერ კიდევ ბრძოლისუნარიანი იყო, მაგრამ გერმანიაში დაწყებულმა რევოლუციამ საბოლოოდ დაუსვა ყველაფერს წერტილი. გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა – 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ ანტანტის წინაშე კაპიტულაციის აქტზე მოაწერა ხელი. 1918 წლის დეკემბერში ბავარიის დივიზიამ საქართველო დატოვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირის გარეშე დარჩა.[8] ამის შემდგომ საქარველოში ინგლისის საუოკუპაციო ძალები შემოდიან, ხოლო 1921 წლის თებერვალში რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმიის მიერ ხდება ჩვენი ქვეყნის დაპყრობა და საბჭოთა კავშირში ძალდატანებით გაერთიანება.

საქართველოსა და გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიართობა ამით შეწყდა, მაგრამ ამჟამად გერმანია დამოუკიდებელი საქართველოს პარტნიორი და მისი ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭარი სახელმწიფოა, სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით კი საქართველოს მეექვსე სავაჭრო პარტნიორია.

---

[8] დღვილავა მამია, საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი 1996წ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ოთარ ჯანელიძე. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“. თბილისი 2018წ გვ.78

2. გიორგი ასტამაძე.“ ქართულ გერმანული ურთიერთობები 1918-1921წლებში“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/5

3. გიორგი ასტამაძე. „შულენბურგი და საქართველო 1911-1921წ“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/36

4. გიორგი ასტამაძე.“ ქართულ გერმანული ურთიერთობები 1918-1921წლებში“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/5

5. ოთარ ჯანელიძე. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“. თბილისი 2018წ გვ.84

6. ოთარ ჯანელიძე. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“. თბილისი 2018წ გვ.102

7. დღვილავა მამია, საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი 1996წ.

# ქართული იდენტობის ფორმირების პროცესი და ევროპის ნორმატიული ძალა

ლაშა მარკოზაშვილი
პროფესორი - ეროვნული თავდაცვის აკადემია

აბსტრაქტი

თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს იდეის ფორმირება 90-იანი წლებიდან დაიწყო, თუმცა ნაციონალური ნარატივი, რომელიც ეროვნული მოძრაობის დროს შეიქმნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ შესუსტდა. 2003 წლის შემდეგ ევროპის ნორმატიული ძალის გავლენით, ქართულ იდენტობაში ჩნდება ევროპელობის იდეა, რაც საზოგადოების პოლიტიკური ორიენტაციის განმაპირობებელ ძალად იქცა.

# PROCESS OF GEORGIAN IDENTITY FORMATION AND THE NORMATIVE POWER OF EUROPE

LASHA MARKOZASHVILI
Professor - National Defence Academy

ABSTRACT

The idea of Georgian statehood is being shaped since early 90s. However, the national narrative that largely derived from the independence movement was proved ineffective after the state gained its independence. After 2003 with the influence of EU's normative power the sense of Europeanness became a decisive factor for political orientation for the Georgian Society.

## შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ახალი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო. თუმცა, პროცესი მნიშვნელოვანი გართულებებით წარიმართა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. მათგან უმთავრესი ეროვნული იდენტობის არარსებობა იყო, - ქართული საზოგადოება ვერ შეთანხმდა, იმაზე, თუ რა მიმართულებით და ფორმით უნდა განვითარებულიყო ქვეყანა. მეორე მიზეზი ადრეულ 90-იანებში საერთაშორისო მხარდაჭერის ფაქტობრივი არარსებობის ფონზე, კრემლის აქტიური ძირგამომთხრელი საქმიანობა იყო.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყანა ევროპული ინტეგრაციის გზას დაადგა და ამავდროულად ევროკავშირის საგრძნობი მხარდაჭერა მოიპოვა. წინამდებარე ესსეს მიზანი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოს ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესის ჩვენება და ამ პროცესში ევროპეიზაციის როლის დადგენა იქნება.

## იდენტობის ტიპები და სახელმწიფოს იდეა

ბარი ბუზანის აზრით, სახელმწიფოს მშენებლობისთვის სამი კომპონენტის არსებობაა აუცილებელი, ესენია მატერიალური საფუძველი, ინსტიტუციური სტრუქტურა და „სახელმწიფოს იდეა“. ეს უკანასკნელი მისი თქმით, უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ამ გზით, მოქალაქეები აღწევენ კონსესუსს იმის შესახებ, თუ

რას წარმოადგენს მათთვის სახელმწიფო. (Buzan 1983, 44-53) აღნიშნული კონსენსუსი, ყალიბდება ისტორიული გამოცდილების შედეგად კონსტრუირებული პოლიტიკური ნარატივების ნორმატიული კოდირებით და მათი არტიკულაციით, როგორც ციკლური სოციალიზაციაში, ისე პოლიტიკური პროცესებში.

ალექსანდრ ვენდტი, სახელმწიფო აქტორების (1) „კორპორაციულ" და (2) „სოციალურ იდენტობებს" ასხვავებს. (Wendt 1996) პირველი იმ არსებით თვისებებს აღნიშნავს, რომლებიც ადგენენ აქტორის ინდივიდუალურობას და მის საბაზისო ინტერესებს აერთიანებენ.[1] მეორე, სოციალური იდენტობა, არის მნიშვნელობათა წყებები (როლები), რომლებსაც რომელთაც აქტორი საკუთარ თავს არგებს სხვებთან ურთიერთობისას.[2] ამ ორი იდენტობის ურთიერთქმედება, ბუზანისეულ „სახელმწიფოს იდეაში" გადამწყვეტ როლს თამაშობს.

პოლიტიკური ურთიერთობების სოციალური ბუნების მიუხედავად, მატერიალური შესაძლებლობები და საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, ხშირ შემთხვევაში საზღვრავს იმ „დოზას", რომელიც (1) – (2) - ს სახელმწიფო იდენტობაში უკავია. რაც უფრო მყარია სახელმწიფოს პოზიციები საერთაშორისო სისტემაში, მით უფრო მაღალია კორპორაციული იდენტობის წილი მთლიანში და პირიქით, რაც უფრო დაბალია სახელმწიფოს გავლენა, მით მაღალია სოციალური იდენტობის როლი. მაგალითად, ზე-სახელმწიფოები, რომლების საერთაშორისო სისტემის ბუნებას დიდწილად განსაზღვრავენ, ნაკლებად მიდრეკილნი იქნებიან საკუთარ იდენტობაში, იმ როლებით განპირობებული ელემენტები ჩაიბეჭდონ, რომლებისაც ისინი სხვებთან ურთიერთობაში ირგებენ (პირიქით, ისინი საკუთარი კორპორატიული იდენტობის კომპონენტების დიფუზიას სხვების სოციალური როლების ცვლილების წყალობით ახდენენ). პოლიტიკურ სივრცეში ყოფილა საუბრები ამერიკანიზაციაზე, ევროპეიზაციაზე და ა.შ, მაგრამ ამ დისკურსში გავლენის კერად პატარა ქვეყნის მოხვედრა წარმოუდგენლად რთული იქნებოდა.[3]

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ პატარა ან/და ახალი ქვეყნების „სახელმწიფოს იდეა" დიდ წილად იმ სოციალური როლის მიხედვით დგინდება, რომელსაც ისინი საერთაშორისო სისტემაში ირგებენ.

## სახელმწიფოს იდეის გაჩენა დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში

1989 წლის 9 აპრილის ღამეს, საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის მოწოდებაზე, მოახლოვებული საფრთხის გამო დაეშალათ შეკრება და სალოცავად ეკლესიაში გადასულიყვნენ, მომიტინგეებმა უარი განაცხადეს. აღნიშნული უარი, მიზეზთა გამო სიმბოლურია. 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობა რელიგიური შინაარსით დატვირთული ნაციონალური ნარატივის შექმნით, ხალხის პოზიტიური კონსოლიდაციას ეცადა. აღნიშნულ ნარატივში, რელიგია ეროვნულობის იდეის შემავსებელი იყო, თუმცა, არა უპირატესი მასზე. ამდენად, მომიტინგეთა გადაწყვეტილება „ღმერთის" მოწოდების სანაცვლოდ, „კეისრის გზა" აერჩიათ, სეკულარული ნაციონალიზმის საუკეთესო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ. ნაციონალიზმის იმდროინდელი ფორმა დგინდებოდა არა კონკრეტული ღირებულებითი ჩარჩოთი, არამედ პროცესით, რომელშიც მისი აქტუალიზება ხორციელდებოდა.[4] უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონის", ერთ-ერთ ეპიზოდში, კუნძულზე მარტო დარჩენილი ბავშვები ტერიტორიას ქედიდან გადახედავენ და გაუხარდებათ, რომ „ეს ყველაფერი მათია" და დიდებისგან თავისუფლად შეუძლიათ იცხოვრონ. ისინი ეცადნენ მართვის გარკვეული სისტემა შეექმნათ, თუმცა

---

[1] ეს ინტერესები, ავტორის მიხედვით, არის ფიზიკური უსაფრთხოება, ონტოლოგიური უსაფრთხოება, სხვების მიერ აქტორად აღიარების სურვილი, განვითარება.

[2] აქტორის ქცევა დამოკიდებულია კონტექსტზე და იმ პირებზე, რომლების მონაწილეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია.

[3] ასევე გაგვიგია ე.წ „სინგაპურიზაცია", როგორც წარმატებული ეკონომიკური მოდელის გადმოღების მცდელობა, ან „ფინლანდიზაცია", როგორც მცირე ქვეყნის მიერ, ფორმალური დამოუკიდებლობის შენარჩუნების სანაცვლოდ, დიდი ქვეყნისთვის ოპონირებაზე უარის თქმა და ა.შ, თუმცა ეს ცნებები, სისტემურ კანონზომიერებებს არ ასახავს.

[4] იგულისხმება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თავისუფლებისთვის ბრძოლა.

შესაბამისი „ორგანიზაციული ქმედების თეორიის“[5] არქონის გამო, ჯერ ჯგუფებად დაიყვნენ, ხოლო შემდგომ, ფატალურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბოლოს, ბრძოლისგან დაღლილები „დიდებმა იპოვნეს“ და გადაარჩინეს ისინი.

ეს ლიტერატურული მაგალითი, კარგად ასახავდა 90-იანების დასაწყისის საქართველოს ყოფას. ვინაიდან პროცესი, - საბჭოთა კავშირთან ბრძოლა, - დასრულდა, აუცილებელი გახდა ახალი მეტა-ნარატივის შექმნა იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ქართველი ხალხი და რა იყო მათი ორგანიზაციული ქმედების თეორია (მისია, მიზნები, სტრატეგიული კულტურა და ა.შ). თვითკმარი დამოუკიდებლობის იდეა და ისტორიისთვის ტიპური კითხვის „რა ხდება რევოლუციის [ან მიტინგის] შემდეგ?“ პასუხის გაცემა, შეურიგებელ დაპირისპირებაში შევიდა ერთმანეთთან. ამ ჭიდილში დამაზიანებლად გამოიყურებოდა მერაბ მამარდაშვილის შეძახილი: „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“,[6] ვინაიდან იმ დროისთვის ჭეშმარიტება ერთი არ იყო, ხოლო „ჭეშმარიტებებმა“ გააჩინა მათი დამცველი მრავალი ჯგუფი (ბევრი მათგანი შეიარაღებული). სახელმწიფოებრიობის იდეა თითქმის გაქრა და თუ სადმე შემორჩა, ისევ ისტორიულ კონტექსტში არსებულ ილია ჭავჭავაძის „ქართველობის“ გაგებაში.[7] (Gamkrelidze 2019, 4)

კანონიერი ხელისუფლების განდევნისა და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სახელმწიფოს იდეა კიდევ უფრო დაზიანდა. ვინაიდან არსებული არშემდგარი სახელმწიფო, ფაქტობრივი ანტიპოდი იყო სახელმწიფოს იმ იდეალური ტიპისა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში იქმნებოდა. მსგავს შემთხვევებში, იმედგაცრუებული ხალხის შემდგომი ქმედება დამოკიდებულია მათ პოლიტიკური კულტურაზე. თუ რონალდ ინგლჰარტისა და სხვათა ტიპოლოგიას გამოვიყენებთ (Inglehart 2004), საქართველოს მსგავსი საზოგადოებები გადარჩენის მცდელობისას არა დემოკრატიული განახლების, არამედ ტრადიციული ინსტიტუტების, მათ შორის რელიგიისკენ მიბრუნების გზას ადგება (იხ. რუკა i).

ღირებულებათა რუკა i




[5] ინგ. Theory in use - შეიძლება იყოს, იდეოლოგია, იდეალები, მისია და ა.შ
[6] თუნდაც ფრაზა სრულიად უკონტექსტოდ ვიხმაროთ.
[7] მამული, ენა, სარწმუნოება.

სწორედ ეკლესიისკენ დრამატული მიბრუნება შეიძლება ჩაითვალოს 90-იანების მეორე ნახევრის საქართველოს უმთავრეს სოციალურ მოვლენად. მეტიც, ვინაიდან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გაცილებით უფრო ეფექტური სტრუქტურა გააჩნდა ვიდრე სახელმწიფოს[8] პოლიტიკური ელიტა ნაცვლად სეკულარული პოლიტიკური სფეროს შექმნისა, აქტიურად მიეტმასნა საპატრიარქოს, ხოლო მოქალაქეები ამ პირობებში, სწორედ ეკლესიის წიაღში ნახულობდნენ შვებას (Markozashvili 2014, 197).

კორპორაციული იდენტობის ფორმირება ფაქტობრივად ვერ მოხერხდა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძემ დააფიქსირა დასავლური ინტეგრაციის სურვილი ქვეყნის სოციალური როლი საერთაშორისო სისტემაში ბუნდოვანი იყო. მართალია რეგიონული კონტექსტის განმსაზღვრელი რუსული პოლიტიკა იყო, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ რუსეთთან ურთიერთობის პირობებში, საქართველომ მის მიერ ნაკარნახევი ღირებულებების „სახელმწიფოს იდეაში" ინტეგრირება მოახდინა.

## ვარდების რევოლუცია - ევროპული ინტეგრაციის ნორმატიული შედეგები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად საქართველოს რუსული გავლენის სფეროში ყოფნისა, არ მომხდარა რუსული ნორმების ქართულ სივრცეში ინტეგრირება. სხვა მიზეზებს შორის, ერთ-ერთი მთავარი, იმ დროის კრემლის „ხისტი" იდენტობა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რუსეთი, როგორც იმპერიის მემკვიდრე ჯერ კიდევ ტოტალიტარულ ბოროტებასთან ასოცირდებოდა. ამავდროულად, ქართული საზოგადოება კარგად აცნობიერებდა იმ „წვლილს", რაც ბორის ელცინის ხელისუფლებამ 90-იანების ტრაგიკულ მოვლენებში ითამაშა.

რუსეთისგან განსხვავებით, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, მთლიანად გაერთიანების მიმზიდველობის აქტიურ ხაზგასმას ეფუძნება. გარდა იმისა, რომ ორგანიზაციას გააჩნია თანდაყოლილი „რბილი" შესაძლებლობები, მისი კოორდინირებული საგარეო პოლიტიკა ე.წ „ნორმატიული ძალის" კონტექსტში ვითარდება. იან მანერსის განსაზღვრებით, როცა აქტორს გააჩნია ნორმატიული ძალა ე.ი მას ძალუძს სხვებისთვის განსაზღვროს, თუ რა არის „ნორმალური" პოლიტიკურ ყოფიერებაში. ევროკავშირის კონტექსტში, „ნორმატიული ძალის" გამოყენება მისი ნორმების სამეზობლოში გაბნევას და ამ გზით პოლიტიკური, კულტურული და სოციალური გავლენის მოპოვებას გულისხმობს (Manners 2002). როგორც ცნობილია, საკუთარი ღირებულებების რეგიონული „ნორმალიზებით" (დამკვიდრებით), ბრიუსელი „მეგობრების რკალის"[9] შეკვრას ცდილობს (Moltke 2019), რაც ლიბერალური თანამშრომლობის ლოგიკის თანახმად, განგრძობადი მშვიდობის გარანტიაა.

„ნორმატიული ძალის" გამოყენება ვენდტისეული რაციონალური კონსტრუქტივიზმის ჩარჩოს მიხედვით, სამეზობლოს ქვეყნებთან მიმართებაში, ევროკავშირის კორპორაციული იდენტობით გათვალისწინებული ინტერესების, აქტიურ სოციალურ არტიკულაციას ნიშნავს. პოლიტიკის წარმატების განმსაზღვრელად, სახელმწიფო იდენტობებში ამ ნორმების ინტეგრირების მაღალი დონე უნდა ჩაითვალოს.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ, საქართველომ ღიად პრო-დასავლური კურსი აიღო, რაც ევროკავშირსა და ნატოში ქვეყნის ინტეგრაციას გულისხმობს. ამ დროიდან მოყოლებული, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ნარატივი ორი ძირითადი მიმართულებით ვითარდება და იგი (1) საქართველოს ევროპულ იდენტობაზე ხაზგასმით, (2) რუსულ ღირებულებებთან რადიკალურ განშორებას ეფუძნება. გამყრელიძე სწორედ აღნიშნავს, რომ ევროპული პროექტის (ევროპაში დაბრუნება) ეროვნული იდენტობის ნაწილად ქცევა „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებას, გახლეჩილი საზოგადოების კონსოლიდირების ეფექტური გზად მიაჩნდა (Gamkrelidze 2019).

---

8 როგორც იდეოლოგიური, ისე მატერიალური თვალსაზრისით
9 ინგ. Ring of friends

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად, სააკაშვილის ხელისუფლებამ ინსტიტუციური მართვის მექანიზმების შემუშავება შეძლო. თუმცა, როგორც სხვაგან აღვნიშნავ, ნაციონალური მოძრაობის მთავრობის პოლიტიკა 2006 წლის შემდეგ სულ უფრო ხშირად ივიწყებდა დემოკრატიას, რეჟიმის ეფექტურობის სანაცვლოდ (Markozashvili 2014).

მზარდი ავტორიტარიზმის პირობებში, არსებობდა ალბათობა იმისა, რომ საზოგადოების პრო-ევროპელობა, ელიტის მიერ თავსმოხვეული დისკურსის შედეგი და არა მოქალაქეების შეგნებული ღირებულებითი არჩევანი გამხდარიყო. ასევე, რამდენიმეჯერ გაჩნდა საფრთხე, რომ მთავრობასთან მიმართებაში არსებული ხალხის ნეგატიური განწყობები, „ევროპული პროექტის“ მისამართითაც გავრცელებულიყო. ეს ასე არ მოხდა, ვინაიდან ევროპასთან გაკეთებული ტრანზაქციების სიხშირემ (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული) და ამ კონტექსტში გაერთიანების „ნორმატიული ძალის“ ქმედებამ თავისი შედეგი გამოიღო.

დღეს უკვე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს კორპორაციული იდენტობით დადგენილი ინტერესები პირდაპირ კავშირშია ევროპულ ინტეგრაციასთან. სწორედ ამიტომ არის, რომ კრემლი ქართულ საზოგადოებაში, დასავლეთის კულტურული სივრცის დემონიზებისთვის აქტიურ საინფორმაციო კამპანიებს ატარებს. რუსული ნარატივი ცდილობს, ევროპული ინტეგრაცია „ქართველობის დაკარგვის“ პროცესად წარმოაჩინოს და კონსერვატორულ საზოგადოებას გაუჩინოს საკუთარი იდენტობის გაქრობის უსაფუძვლო შიში. მიუხედავად ამისა, „ევროპული პროექტის“ საქართველოს მოქალაქეებში მაღალ მხარდაჭერას ინარჩუნებს.

## დასკვნა

წინამდებარე ესსეს მიზანი, ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის ფორმირების პროცესის და ამ პროცესში ევროპული ინტეგრაციის როლის ჩვენება იყო.

ეროვნული მოძრაობის შედეგად ჩამოყალიბებული იდენტობის გაგება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ შესუსტდა. ამის ილუსტრაცია 90-იანებში განვითარებული მოვლენები და სახელმწიფოს უუნარობით გამოწვეული რელიგიური აპათია იყო. 2003 წელს გააქტიურებულმა ევროპულმა ინტეგრაციამ კარი ევროპულ ნორმებს გაუხსნა, ხოლო პოლიტიკურმა ნარატივმა საზოგადოებას მკაფიოდ ევროპული ორიენტაცია შესძინა.

წარმოდგენილი თეორიული ჩარჩოს შესაბამისად, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ქვეყნის სოციალურმა იდენტობამ (როლმა) საერთაშორისო სიტემაში და ევროკავშირის კორპორაციულმა ინტერესებმა გამოხატულმა მისნორმატიულ ძალაში, თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრობის გააზრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

## გამოყენებული ლიტერატურა.


1. Buzan, Barry. 1983. People, States and Fear: National Security Problem in International Relations. Wheatsheaf Books.
2. Gamkrelidze, Tamar. 2019. “The project of Europe: a robust attempt to redefine Georgian identity.” East European Politics 1-21.
3. Inglehart, Ronald. 2004. “Sacred and Secular Religion and Politics Worldwide.” Cambridge.
4. Manners, Ian. 2002. “Normative Power Europe: A Contradiction in Terms?” JCMS.
5. Markozashvili, Lasha. 2014. “Transition toward democracy – Georgian problems.” Political Science Review 185-202.
6. Moltke, Joris von. 2019. “The EU and it’s neighborhood: a ‘ring of friends.” EU-28 Watch.
7. Wendt, Alexander. 1996. “Identity and Structural Change in International Politics”.” In The Return of Culture and Identity in IR Theory, by Friedrich Kratochwil Yosef Lapid, 47-65. Lynne Rienner Publishers.

# DIFFERENT ORIENTATION OF SOUTH CAUCASUS COUNTRIES


### EMILIA ALAVERDOV
Associate Professor, Georgian Technical University


#### ABSTRACT


South Caucasus is considered as one of the most complex, combustible and unstable region in the former Soviet Union space. It seems that all the three countries have the same problems and challenges – territorial integrity problem. Since the independence 1991 Georgia has changed its governance four times. But we can claim that all of them were and still is Western oriented. The first president of Georgia Zviad Gamsakhurdia and later on Mikheil Saakashvili were at times radically anti-Russian, while current leaders are modest and more diplomatic; but this does not change the overall picture of Georgia being persistently pro-western. So, the country pursues the European path. The war of 2008 gave more impact to the country to become a member of western organizations.

As for its neighbors unlike Georgia they are not sure about their way yet. Azerbaijan tries to somehow play between Russia and West and balances to keep friendly relations with both. In Armenia the situation is seemed to be unclear nowadays. Before it was totally pro- Russia, as it prevents Baku to start war with Armenia and take back its 20 % territories. After the victory of Nikol Pashinyan, according to his some pro-Western claims, there was a thought of the changes. But as it appeared it gave nothing to the country and the situation still is unchangeable.


# სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული ორიენტაცია


### ემილია ალავერდოვი
საქართველოს ტექნიკური უნივერიტეტის ასოცირებული პროფესორი


#### აბსტრაქტი


სამხრეთ კავკასიის რეგიონი ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველაზე რთული, ფეთქედადი და არასტაბილური რეგიონია. მთელ რეგიონს თითქოს და ერთნაირი გამოწვევები და პრობლემები აქვთ - ტერიტორული მთლიანოს პრობლემა. 1991 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოში მმართველობა ოთხ ჯერ შეიცვალა. მაგრამ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ყველა იყო და არის პრო დასავლური. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მერე სააკაშვილი იყვნენ რადიკალურად ანტი რუსული განწყობის, ხოლო რაც შეეხება ეხლანდელ მმართველობას ის უფრო მოკძალებულად და დილომატიურად გამოხატავს თავის აზრს, მაგრამ ეს საქართველოში არსებულ სურათს რადიკალურად არ ცვლის, ის კვლალ მისდევს პრო დასავლურ კურსს. 2008 წლის ომმა ქვეყანა უფრო პრო ვესტერნულ გზით წაიყვანა და მის ორგანიზაციების წევრობისკენ უფრო უბიძგა.

რაც შეეხება ჩვენ მეზობლებს, იმათ ჯერ არ გაუკეთებიათ მკაფიო არჩევანი. აზერბაიჯანი ცდილობს ლოვირებას რუსეთისა და დასავლეთს შორის და შეინარჩნოს მეგობრული ურთიერთობები ორივესთან. ოლო რაც შეეხება სომხეთს, აქ სიტუაცია თიტქოს და ბუნდოვანია. ფაშინყანის მოსვლამდე ქვეყანა სრულიად პრო რუსული ორიენტაციის იყო. ძუსტად ეს არის მიზეზი იმასა რომ დღეს დღეობით ბაქო ვერ იბრუნებს თავისი ტერიტორიის 20%-ს. არსებობდა აზრი იმისა, რომ ნიკოლ ფაშინიანის მოსვლიდან სომხეთი შეიცლვლიდა ორიენტაციას, ეს გამოიხატებოდა მისი პრო დასავლური და ხანდახან ანტი რუსული ნათქვამებიდან. მაგრამ ამან ქვეყანას დიდი ცვლილებები არ მოუტანა და სიტუაცია რჩება უცვლელი.

## INTRODUCTION

Georgia is a small post-colonial state surrounded by great powers, Russia to the north and Turkey and Iran to the south. It is no different today and the geopolitical and geo-economics constraints on Georgia are some of the most powerful variables in Georgian foreign policy decisions. Having specific geographic location, it situates at the crossroads of Europe, Asia and the Middle East. The country has a very deep historical trauma, and bad experience of Soviet-era. It is shown in its economic mismanagement, corruption, social problems, weak institutions, conflicting tendencies towards authoritarianism and reform, inter-ethnic disharmony, border disputes and last but not least, several low-intensity (or 'frozen') conflicts. Georgia has always taken the national security interests of its larger neighbors into account.

Another important point of country's geographic location is that it is located strategically on the coast of the Black Sea. We have to highlight that it was a 'failed state' for at least the first half of the 1990s and then underwent a peaceful and democratic 'Rose' Revolution in 2003. It has a staunchly pro-Western foreign policy orientation and desires NATO and EU membership. However, we have to admit the fact that Georgia does not have significant Diaspora community, like its neighbor Armenia. (The South Caucasus: drama on three stages, James Nixey)

## ORIENTATION OF GEORGIA SINCE IT INDEPENDENCE (1991)

Georgia is the second republic, after Lithuania, to declare independence from the Union of Soviet Socialist Republics (in April 1991). Georgia was also the first republic in which the Communist party virtually disappeared as an organization.

Since the independence 1991 Georgia has changed its governance four times. We can tell that all of them were Western oriented. From Zviad Gamsakhurdia, first President of Georgia, to the current one Georgia's foreign policy was pro-Western. Indeed, Gamsakhurdia and later on Mikheil Saakashvili were at times radically anti-Russian, while current leaders are modest; but this does not change the overall picture of Georgia being persistently pro-western.

However, the second president of Shevardnadze had more balanced relations with Russia. It is true that Shevardnadze's radical opponents have accused his government of pro-Russian policies – joining the CIS in 1993, the signing of a Georgian–Russian friendship treaty in 1995, tolerance of Russian peacekeeping forces (PKF) in Abkhazia, agreement on Russian military bases in the rest of Georgia, and support for Russian intervention in Chechnya. Others suggest that Shevardnadze's policies simply reflect Georgian interests – and are a sophisticated game that all small states must play with powerful neighbors. (The role of cultural paradigms in Georgian foreign policy)

According to the Alexander Rondeli's, president of the Georgian Foundation for Strategic and International Studies words, Mr Shevardnadze was "An outstanding politician". He says: "He played a very important role in the last days of the Soviet Union during perestroika (restructuring), in improving relations with the West, in re-uniting Germany and in finishing the war in Afghanistan," "Georgia was not a sweet home at that time. Georgia was in a disastrous situation, it was practically a failed state." He also says, "Mr Shevardnadze came to help his country and he did his best and did what he knew."

## THE TURMOIL REGION

While speaking about Georgia I cannot avoid the topic of whole South Caucasus, which is considered as the most troubled region of post Soviet territory. The region is considered the trouble region as it has three so called frozen conflicts— Abkhazia, South Ossetia and Nagorno-Karabakh. However, the 2016 Four-Day War between Armenia and Azerbaijan—the bloodiest confrontation the two countries

have seen since the 1994 ceasefire—highlights that these conflicts are anything but frozen. By the time the Soviet Union fell apart in 1991, war had already broken out in the South Caucasus. (Eugene Rumer, Richard Sokolsky, and Paul Stronski)

No region of the former Soviet Union has seen more turmoil than the South Caucasus. With three frozen conflicts - in Nagorno-Karabakh, Abkhazia, and South Ossetia - and the ever-present possibility of renewed fighting across the fragile ceasefire lines, the region is likely to remain tense and volatile for the foreseeable future. The presence of these so called frozen conflicts since the earliest days of the region's independence, and in some instances even before the Soviet Union broke up, is the most salient feature of the entire South Caucasus security landscape. The longest-running conflict in the territory of the former Soviet Union—between Armenia and Azerbaijan over the enclave of Nagorno-Karabakh—erupted as Moscow's grip on the region gradually loosened in the late 1980s. But Nagorno-Karabakh was not the only conflict that broke out with the easing of Soviet-era political and security restraints. (Eugene Rumer, Richard Sokolsky, and Paul Stronski) It seemed the entire Caucasus region had exploded with long–bottled up destructive energies.

## THE FOREIGN POLICY OF CAUCASUS COUNTRIES

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის ბადე 7 კომპონენტზე დაყრდნობით



## გამოყენებული ლიტერატურა.


1. Audretsch David b., “The Knowledge Spillover Theory of Entrepreneurship and Economic Growth”, in G.T. Vinig, R.C.W. Van Der Voort (ed.) The Emergence of Entrepreneurial Economics (Research on Technological Innovation, Management and Policy, Volume 9) Emerald Group Publishing Limited, pp.37 – 54, 2005

2. Civil Georgia. 2017b. “U.S. State Department Approves Sale of Javelin Missiles to Georgia.” Accessed August 22, 2018. https://old.civil.ge/eng/article.php?id=30649

3. Geostat, 2019. საქართველოს იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებში (1995-2018) ქვეყნების, წლების და თვეების მიხედვით”, წვდომა 30 მაისი, 2019, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/120/methodologia-sagareo-ekonomikuri-urtiertobebi

4. Geostat. 2019. „საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში (1995-2018) ქვეყნების, წლების და თვეების მიხედვით”, წვდომა 30 მაისი, 2019. http://pcaxis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database__External%20Trade__Exports__By%20countries/2._Export_Countries_1995-2018.px/?rxid=99d1aa93-b56e-4f5c-a827-35f42a0a5ce7

5. GIP, ლებანიძე,ბ. გრიგალაშვილი,მ, ინტეგრაციის რეგიონული სირთულეები: საქართველო ურთიერთგადაჯაჭვული გავლენების ბადეში, 2018, ხელმისაწვდომია: http://gip.ge/ge/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83-%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%98/

6. Levitsky, S., & Way, L. A. Linkage versus Leverage. Rethinking the International Dimension of Regime Change. Comparative Politics, 38(4), 379. doi:10.2307/20434008, 2006.

7. Levitsky, Steven & Lucan Way (2005). (n.d.). Retrieved from https://www.scribd.com/document/254515911/Levitsky-Steven-Lucan-Way-2005

8. National Bank of Georgia. 2018. “Statistical Data, Money Transfers by Countries.” წვდომა 29 მაისი, 2019. ხელმისაწვდომია:https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

9. Tolstrup, Jakob, “Black knights and elections in authoritarian regimes: Why and how Russia supports authoritarian incumbents in post-Soviet states.” Eur J Polit Res, 2015, n/a-n/a. doi:10.1111/1475-6765.12079

10. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, 2019, ხელმისაწვდომია: http://www.dcfta.gov.ge/ge/about
იმედი, 2019. უვიზო მიმოსვლით საქართველოს 600 ათასზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/saqartvelo/101063/uvizo-mimosvlit-saqartvelos-600-atasze-metma-moqalaqem-isargebla

11. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, ფულადი გზავნილები, წვდომა 29 მაისი, 2019, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

# ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკა - საქართველოს ეროვნული ღირებულებები

**თამარ კუპრეიშვილი**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი**

**თორნიკე ოქროპილაშვილი**
**საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საჯარო ადმინისტრირების პროგრამა, საჯარო მმართველობის მაგისტრანტი**

## აბსტრაქტი

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არჩევანი გააკეთა დემოკრატიისაკენ, რაც თავისთავად გულისხმობს პატარა სახელმწიფოსათვის დიდ სირთულეებს, რისკებს, გამოწვევებს, საფრთხეებს და ადეკვატურ რეაგირებას.  ქვეყნის შიდა პოლიტიკური პროცესები დამოკიდებულია საერთაშორისო არენაზე ვითარების ცვლასთან. არსებულმა საფრთხეებმა და გამოწვევებმა აუცილებელი გახადა შექმნილიყო ფუნდამენტური დოკუმენტი - ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საქართველოს დემოკრატიულ კურსზე, ეროვნულ ღირებულებებზე და საკუთარი ხალხის უსაფრთხოების ეფექტიანი დაცვის მექანიზმების შემუშავებაზე.

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ვექტორი მიმართულია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებასა და ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ, საგარეო კავშირების განმტკიცებისაკენ, რისთვისაც ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიული მოქმედებები, უსაფრთხოების ოპერაციებში მონაწილეობა და ორმხრივი თუ მრავალმხრივი თანამშრომლობა, რაც ამცირებს პოლიტიკურ და სამხედრო რისკებს და კორელაციაშია ქვეყნის სუვერენიტეტთან, ტერიტორიულ მთლიანობასთან.

ნატო-სკენ სწრაფვა და საბოლოოდ, მისი წევრობა უზრუნველყოფს დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას. ალიანსში ინტეგრაციის გზაზე - ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის ფორმა, ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. საქართველო აღნიშნული მიზნის მისაღწევად ეტაპობრივად აუმჯობესებს ქვეყნის პოლიტიკურ გარემოს, რათა შენარჩუნებულ იქნას სტაბილურობა და მოხდეს კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიის ქვაკუთხედს.

# NATO SECURITY POLICY – GEORGIAN NATIONAL VALUES

**TAMAR KUPREISHVILI**
Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, Assistant Professor

**TORNIKE OKROPILASHVILI**
Georgian Institute of Public Affairs (GIPA), Program of Public Administration (PA),
Master Student of Public Administration

ABSTRACT

After gaining the independence Georgia has made a choice in favor of democracy, which implies a great difficulty, risks, challenges and threats to a small state and demands adequate responses. The internal political processes of the country depend on changing situation of the international arena. The existing threats and challenges made it necessary to establish a fundamental document - National Security Concept, which would be based on democratic course of Georgia, national values and the elaboration of effective security mechanisms for its own people.

The important vector of security policy of Georgia is directed towards the integration of the North Atlantic Alliance and the EU integration and strengthening of foreign relations, for which various strategic actions are undertaken such as participation in security operations and bilateral or multilateral cooperation that reduces political and military risks and correlates with the sovereignty and territorial integrity of the country.

Striving to NATO and finally its membership ensures the spread of democratic values and Establishment of the supremacy of law. On the way to the integration of the Alliance - the form of democratic arrangement of the state is one of the main prerequisites. Georgia is gradually improving the country's political environment in order to achieve this goal to maintain stability and to support the supremacy of law, which is the cornerstone of democracy.

საქართველო მდებარეობს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ზოლში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თავის მხრივ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით, რაც ზრდის ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების საკითხს.

1991 წელს საქართველომ საბჭოთა კავშირის კოლაფსიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დემოკრატისაკენ განაგრძო სვლა, რამაც გამოიწვია მეზობელი სახელმწიფოს ანექსიური პოლიტიკის გატარება და აუცილებელი გახადა ქვეყნისათვის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება. პირველი ნაბიჯები ამ კონცეფციის შემუშავებისაკენ გადაიდგა 2004 წელს, გ. ბეჟუაშვილს დაევალა შეექმნა დოკუმენტი, რომელიც იქნებოდა დაფუძნებული საქართველოს დემოკრატიულ კურსზე, ეროვნულ ღირებულებებზე და საკუთარი ხალხის უსაფრთხოების ეფექტიანი დაცვის მექანიზმების შემუშავებაზე, (საქართველოს პარლამენტის დადგენილება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავების შესახებ, №484–IIს, 2004 წლის 12 ოქტომბერი) თუმცა მისი საბოლოო სახით შემუშავება 2011 წელს უშიშროების საბჭოს აპარატის მეშვეობით სამინისტროებთან თანამშრომლობით მოხდა.

ეს ფუნდამენტური დოკუმენტი ასახავს უსაფრთხოების სფეროში მომხდარ ცვლილებებსა და გავლენას ქვეყანაზე, საფრთხეებს, რისკებს, გამოწვევებს და ადეკვატურ რეაგირებას.

საერთაშორისო არენაზე ვითარების ცვლას საქართველოს უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება და გავლენას ახდენს სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ პროცესებზე. დემოკრატიული სახელმწიფოს მონაპოვარს, რომელიც რეფორმების საშუალებით უნდა გაგრძელდეს განმტკიცება ესაჭიროება.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება თითოეულ სახელმწიფოსთან და სახელმწიფოთა გაერთიანებებთან, განსაკუთრებით, ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელიც ქვეყნის რეგიონულ სტაბილურობას მხარს უჭერს დემოკრატიის მოპოვების დღიდან.

ეროვნულ ღირებულებებს ექცევა დიდი ყურადღება, ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, თავისუფლება, დემოკრატია და კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება, კეთილდღეობა და მშვიდობა.

ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთიანი ეროვნული პასუხისმგებლობაა, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეროვნული ღირებულებების შესაბამისობა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ და სამხედრო სტრატეგიებთან. მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოს ეროვნული ღირებულებები ნატო-სთან თავსებადობის კუთხით. მოგეხსენებათ, რომ ალიანსისათვის უსაფრთხოების გამოწვევები პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, სწორედ ამიტომ ხდება შესაბამისი პროგრამების შემუშავება, რომელიც მორგებულია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებს.

ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა - საქართველოს ეროვნულ ღირებულებებში I ადგილზე დგას. მას შემდეგ, რაც 1991 წელს საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ქვეყანამ აირჩია პროდასავლური ვექტორი, რომელიც დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას ნიშნავდა. სწორედ, აღნიშნული პერიოდიდან იწყება საქართველოს საერთაშორისო არენაზე გამოსვლა, სადაც ქვეყანა სუვერენიტეტის გარანტიებს ეძებდა. 1992 წელს პრაღის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პირველად განაცხადა ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ. აღნიშნული დროიდან საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ნატო-სთან, რომელიც უზრუნველყოფილია ალიანსის მიერ შემოთავაზებული პროგრამებით. საქართველოს მისწრაფება, გახდეს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრი გამომდინარეობს უსაფრთხოების პოლიტიკიდან. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება მუდმივი გამოწვევების წინაშე დგას, რომელსაც საფრთხეს უქმნის რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკა. ნატოსკენ სწრაფვა და ალიანსის მიერ შემოთავაზებული სპეციალური პროგრამები ამცირებს პოლიტიკურ და სამხედრო რისკებს, რომელიც კორელაციაშია ქვეყნის სუვერენიტეტთან და ტერიტორიულ მთლიანობასთან.

თავისუფლება - რიგით მეორე ეროვნულ ღირებულებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტრიაში და ხასიათდება რთული დინამიკით. მოგეხსენებათ, რომ საქართვლოს თვისუფლების ისტორია 1991 წლიდან არ იწყება და მას უფრო ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია.

სწორედ თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენდა 1949 წელს ნატო-ს ჩამოყალიბების წინაპირობას, რომელიც მიმართული იყო საბჭოთ კავშირის ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ნატოს გაფართოების პოლიტიკას თან ახლდა საბჭოთა მარწუხებიდან გამოთავისუფლებული ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შენარჩუნება. სწორედ ნატო გახდა გარანტი - გამოთვისუფლებული ქვეყნების დამოუკიდებლობისა, რომელიც უზრუნველყოფილია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლით. რაც შეეხება პოლიტიკურ თავისუფლებას, ნატოსათვის ფუნდამენტური ღირებულება დემოკრატია და თავისუფლებაა, რომელიც გამოხატულია კანონის უზენაესობაში. თითოეული ინდივიდის თავისუფლება ნატო-ს წევრ სახელმწიფოებში კონსტიტუციური გარანტიაა.

დემოკრატია და კანონის უზენაესობა - ნატო-სკენ სწრაფვა და საბოლოოდ, მისი წევრობა უზრუნველყოფს დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას. ალიანსში ინტეგრაციის გზაზე ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის ფორმა, ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. საქართველო აღნიშნული მიზნის მისაღწევად ეტაპობრივად აუმჯობესებს ქვეყნის პოლიტიკურ გარემოს, რათა შენარჩუნებულ იქნას სტაბილურობა და მოხდეს კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიის ქვაკუთხედს. საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს ხელსაყრელი გარემოს შექმნას და შენარჩუნებას ქვეყნის მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარებისათვის და ეროვნული ინტერესებისმაქსიმალურიგანხორციელებისათვის,ასევეთითოეულიმოქალაქისფიზიკურიუსაფრთხოების, მათი უფლებების და თავისუფლებების და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის. ალიანსის ინიციატივები, რომელიც უკავშირდება დიდ სტრატეგიულ უსაფრთხოებას, გაჯერებულია დემოკრატიული მშვიდობის თეორიით, რომლის მიხედვითაც დემოკრატები ერთმანეთში არ ომობენ და საყოველთო სიკეთე მიიღწევა 3 ძირითადი პრინციპის საფუძველზე: დომინანტობა, ნაცვალგება და იდენტურობა.

უსაფრთხოება - გრძელვადიანი სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ალიანსი საქართველოში ახორციელებს პროგრამებს, რომელიც მორგებულია ქვეყნის მდგომარეობას. მარტინ ედმონდისეული განმარტება ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შესახებ, ყველაზე მეტად წარმოაჩენს ნატოს პროგრამების მასშტაბურობას. მისი განმარტებით, ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ოპერატიულ ფუნქციებს ასრულებენ შეიარაღებული ძალები, პოლიცია, მათთან ფუნქციურ კავშირში მყოფი რიგი საჯარო ინსტიტუტები, (სახანძრო დაცვა, სასაზღვრო დაცვა, საბაჟო). ამის გარდა, უსაფრთხოების სისტემა მოიცავს გადაწყვეტილების მიმღებ და ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე ინსტიტუტებს: მთავრობა ან მისი სპეციალური კომიტეტები (Edmonds, 2004). ნატო საქართველოში ახორციელებს საგანმანათლებლო ტრენიგებს, როლმელიც მიმართულია თავდაცვის და სხვა უსაფრთხოების სფეროში დასაქმებული პირების განვითრებისაკენ. ასევე, აღსანიშნავია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად განხორციელებული პროგრამები და მათი კავშირი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ნატოსთან დაახლოების და საბოლოოდ, მასში გაწევრიანების პროცესი უსაფრთხოების გარანტიების გარდა, ხელს უწყობს: კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, რისკებისა და გარე ეფექტების შემცირებას, ეკონომიკურ განვითარებას, რაც, თვის მხრივ უზრუნველყოფს სტაბილურობას.

კეთილდღეობა - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა მოამზადა ანგარიში, სადაც განხილულია „ნატოს ეფექტი". ანგარიშში გაანალიზებულია უცხოური გამოცდილება და პოტენციური ნატოს ეფექტი.

- მშპ - დაუყონებლივ გაიზარდა დაახლოებით 1.5-ჯერ.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - გაიზარდა დაახლოებით 3-ჯერ.
- უმუშევრობა - შემცირდა დაახლოებით 3-ჯერ.
- სიცოცხლის ხანგრძლივობა - გაიზარდა საშუალოდ 5 წლით.
- რეგიონალური ინტეგრაცია - ექსპორტი და იმპორტი გაორმაგდა.

ერის ეკონომიკური ეფექტურობა დამოკიდებულია გრძელვადიანი უსაფრთხოების უზრუნვეყოფასა და სტაბილურობაზე. ნატოს წევრობა უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, რაც ფინანსური სტაბილურობის წყაროა და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

მშვიდობა - პოლიტიკური რისკის შემცირება და საბოლოოდ, მისი აღმოფხვრა, რომელიც თან ახლავს ნატოს და უზრუნველყოფს მშვიდობის შენარჩუნებას. ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-2 მუხლში ნათქვამია „მხარეები ხელს შეუწყობენ მეგობრული და მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების

განვითარებას დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერებით, ამ ინსტიტუტების საბაზისო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებითა და სტაბილურობისა და კეთილდღეობის განმტკიცების ხელშეწყობით. მხარეები მიისწრაფვიან, აღმოფხვრან წინაღობები თავიანთ საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობას“.

ნატო-საქართველოს ურთიერთობა და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა გასაკუთრებული გამოწვევებით ხასიათდება საქართველოში. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ქვეყანამ კრიზისი, რომელიც განსაკუთრებული სიმძიმით ხასიათდებოდა. მოგეხსენებათ, რომ 2008 წლის შემდეგ საქართველოს მიმართ ხორციელდებოდა ფარული ემბარგო და საერთაშორისო არენაზე გავხდით საინფორმაციო ომის მსხვერპლი. რუსეთი გამუდმებით ცდილობს საქართველო დაადანაშაულოს ომის დაწყებაში და გენოციდში, ასევე ცდილობს წარმოჩინოს საქართველო, როგორც-არადემოკრატიული სახელმწიფო. თუმცა, 2014 წლის რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, ნატოს ფოკუსმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა.

ნატოც და ევროკავშირიც საკუთარი პოლიტიკის გადახედვას და აგრესიის შესაკავებლად კოლექტიური თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნება/გაძლიერებას ახორციელებს. დასავლურ სახელმწიფოს ესმის ის რისკები, რომლებსაც რუსეთის აგრესიული პოლიტიკა დემოკრატიულ იდეოლოგიებს უქმნის. გარდა ამისა, ნატო რუსეთის შესაკავებლად, აფართოებს თანამშრომლობას პარტნიორ სახელმწიფოებთან, რათა ხელი შეუწყოს მათი ალიანსში ინტეგრაციის პროცესს. აღნიშნულ პროცესს შესაძლოა ვუწოდოთ ახალი ტრუმენის დოქტრინა, რომელიც ისევდაისევ რუსეთის ექსპანსიური მიზნების შეკავებას ემსახურება და მიმართულია ნატოს მოკავშირე სახელმწიფოების გასაძლიერებლად.

## დასკვნა

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკაზე. სწორედ ნატოსთან თანამშრომლობის შედეგად გაუმჯობესდა საქართველოს უსაფრთხოების გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია ალიანსის სპეციალური პროგრამებით. ასევე, ნატოსკენ სწრაფვა საქართველოსათვის წარმოადგენს შეკავების პოლიტიკას, რომელიც განისაზღვრება რუსეთის მხრიდან შესაძლო პოტენციური სამხედრო აგრესიის არარსებობით. ასეთ პირობებში საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა უზრუნველყოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით გათვალისწინებული ღირებულებების შენარჩუნება და თვდაცვისუნარიანობის ამაღლება. როგორც უკვე ავღნიშნეთ, უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთიანი ეროვნული პასუხისმგებლობაა და ნატო არის საქართველოს საიმედო პარტნიორი ქვეყნის მშენებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნების პროცესში.

## გამოყენებული ლიტერატურა.

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf;

2. „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010 – 2013 წწ. დოკუმენტი“, თბილისი, 2010 - https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/TAD-GEO.pdf

3. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), „ნატოს ეფექტი ახალი წევრი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე და მოსალოდნელი შედეგები საქართველოსთვის“, თბილისი, 2016

4. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავების შესახებ, №484–IIს, თბილისი, 2004 წლის 12 ოქტომბერი

5. Edmonds A., National Security Policy, USA, 2004 ინტერნეტ-რესურსი:

6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველო ნატო-ს ურთიერთობები - http://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%

# ლაშა-გიორგი და ჯვაროსანთა V ლაშქრობა

**ნანა სადღობელაშვილი**
**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

**აბსტრაქტი**

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მიმდინარეობის პერიოდში(1217-1223),ევროპელები ძლიერ მოკაშირეებს ეძებდნენ,რათა მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლა გაადვილებოდათ და თავისი დასახული მიზნებისათვის მიეღწიათ. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის საერთო ხელმძღვანელად პაპ ჰონორიუს III-ის ლეგატი,კარდინალი პელაგიუსი მოისაზრებოდა.მან კავშირი გაბა საქართველოს მეფე ლაშა-გიორგისთან (1213-1222) ბუნებრივია აღმოსავლეთში საქართველოს სამეფო მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნებოდა მუსლიმებთან საბრძოლველად.ამიტომ რომის პაპმა განიზრახა კავშირი დაემყარებინა საქართველოსთან,მალე მან ეპისტოლე გამოუგზავნა ლაშა-გიორგის და მოიწოდა წმინდა მიწის განთავისუფლებისაკენ.ჯვაროსანთა პოზიციები ლევანტში საკმაოდ შერყეული გახლდათ.ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში კვლავ გაცოცხლდა მითი იოანე-ხუცესის შესახებ,რომელიც ევროპელთა ცნობიერებით ლაშა-გიორგის დაუკავშირდა.ევროპელები მართლაც იმედს ამყარებდნენ საქართველოზე და მის მეფეზე,რაზედაც დე ბუას წერილიც მკაფიოდ მეტყველებს.იგი ამბობს,რომ:,,[ქართველები] წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ’’.ლაშა-გიორგი მზად იყო ,,წმინდა ომის’’ დასაწყებად,მას პალესტინის ერთ-ერთი გამაგრებული ციხესიმაგრის აღებაც კი უკისრია.საბოლოო ჯამში საქართველომ ვერ შეძლო ევროპელთა დახმარება,რადგან მის საზღვრებთან მონღოლები გამოჩნდნენ,რომლებმაც ჩაშალეს მეფის გეგმები.ცუდი დღე დაადგა ჯვაროსნებსაც.დამიეტის აღების მიუხედავად ისინი დამარცხდნენ.მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპელთა სრული ფიასკოთი დასრულდა.ამას გარდა 1220 ან 1221 წელს გიორგი IV დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად პალესტინაში ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მართლაც ემზადებოდა იერუსალიმის სელჩუკთაგან გასათავისუფლებლად, მაგრამ ამ დროს საქართველოს საზღვრებს მოულოდნელად მონღოლები მოადგნენ და ეს გეგმა ჩაიშალა. გიორგი IV მონღოლებთან ბრძოლაში დაიჭრა, დასნეულდა და გარდაიცვალა.

# LASHA-GIORGI AND V CRUSADE

**NANA SADGHOOBELASHVILI**
**Gori State Teaching University**

**ABSTRACT**

George IV, also known as Lasha Giorgi (1191–1223), of the Bagrationi Dynasty, was a king of Georgia from 1213 to 1223. A son of Queen Regnant Tamar and her consort David Soslan, George was declared as a coregent by his mother in 1207. George IV continued Tamar’s policy of strengthening of the Georgia feudal state. He put down the revolts in neighbouring Muslim vassal states in the 1210s and began preparations for a large-scale campaign against Jerusalem to support the Crusaders in 1220. However, the Mongol approach to the Georgian borders made the Crusade plan unrealistic. The first Mongol expedition defeated two Georgian armies in 1221–1222 and left through Inner Caucasus. Georgians suffered heavy losses in this war and the King himself was severely wounded. Pope Innocent had managed to secure Georgia’s participation in the crusade. Georgia’s largely isolationist policies had allowed it to accumulate a powerful army and a very large concentration of knights. However, the reconnaissance force under the Mongols Jebe and Subutai destroyed the entire Georgian army in two successive battles, most notably the Battle of Caucasus Mountain. After the death of Georgian King George IV Lasha, his sister Queen Rusudan wrote to the Pope informing him that Georgia was unable to fulfill its promise to assist in the Crusade because its army had been destroyed by unknown savages.

გიორგი-ლაშას (1213-1223წწ.) საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯვაროსნებთან ურთიერთობას.

V ჯვაროსნული ლაშქრობის მიმდინარეობის პერიოდში (1213-1221) ევროპელები მუსლიმებთან საბრძოლველად ძლიერ მოკავშირეებს ეძებდნენ. რათა ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლა გაადვილებოდათ და თავისი დასახული მიზნებისათვისაც მიეღწიათ. V ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურებმა ყურადღება მიაპყრეს საქართველოს სამეფოს და აქტიური მიმოწერა გააჩაღეს ლაშა-გიორგისთან. ამ მხრივ გამოირჩეოდა პაპ ჰონორიუს III-ის ლეგატი კარდინალი პელაგიუსი, რომელიც მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის საერთო ხელმძღვანელი გახლდათ. მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავს,რომ ეგვიპტის ერთ-ერთი ქალაქის დამიეტას აღების შემდეგ (1220) ქართველებს წერილი მიუწერიათ ჯვაროსნებისათვის, სამხედრო მზადების დასრულება უცნობებიათ და თავიანთ თავზე პალესტინის ერთ-ერთი ძლიერი და გამაგრებული ციხესიმაგრის აღებაც უკისრიათ,რათა თავიანთი წვლილით,რომელიც მათ ,,წმინდა ომის" მიმდინარეობაში უნდა შეეტანათ, არ ჩამორჩენილიყვნენ ჯვაროსნებს. aქედან გამომდინარე საქართველოს მეფე გიორგი IV მზად ყოფილა ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყებად და ეგვიპტის სასულთნოზე შეტევის განსახორციელებლად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ დროს მოადგნენ საქართველოს მონღოლთა მბრძანებლის ჩინგიზ ყაენის ურდოები ცნობილი დუმან ნოინების - ჯებესა და სუბუდაი ბაღათურის მეთაურობით. ამ გარემოებამ საქმეთა მიმდინარეობას სულ სხვა მიმართულება მისცა.[1] ჯვაროსანთა ლაშქრობის ინიციატორებმა ძირითადადი დარტყმა ეგვიპტეში დამიეტას წინააღმდეგ მიმართეს და პირველ ხანებშივე ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს. ეგვიპტის სულთანი მალიქ-ალ ქიმილი იძულებული გახდა ჯვაროსნებს დიდ დათმობებს შეჰპირებოდა, თუ უკანასკნელები დამიეტას თავს დაანებებდნენ, მაგრამ ჯვაროსანთა მთავარსარდლის კარდინალ პელაგიუსის დაჟინებით დამიეტას აღება ბოლომდე იქნა მიყვანილი (1219 წ.). ამის შემდეგ იწყება განხეთქილება ჯვაროსანთა წრეებში, რომელთა ერთი ფრთაც აშკარად წინააღმდეგია პელაგიუსის სამხედრო გეგმისა და მიზნად ისახავს ეგვიპტის შუაგულში შეჭრას. მიუხედავად იმისა,რომ პელაგიუსი ბოლომდე ენერგიულად ახორციელებს თავის გეგმას, რისთვისაც ახალ მოკავშირეებს ეძებს და საამისოდ, სხვათა შორის, ჩინგიზ ყაენთანაც კი ცდილობს მოლაპარაკების გაბმას.

საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან პირდაპირი ურთიერთობის ამსახველი ცნობები მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობამდე თითქმის არ გვაქვს. თუმცა ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის შეხების წერტილები დროდადრო მაინც არსებობდა, უპირველეს ყოვლისა, ისევ წმინდა მიწაზე. ევროპელებს არ შეიძლება მხედველობიდან გამორჩენოდათ ქართველების აქტიურობა ქრისტიანული სიწმინდეების მუსლიმანთა ხელიდან გამოხსნისათვის იმავე რეგიონში, თუნდაც სალაჰ ად-დინის დროს, როდესაც თამარ მეფე მიზანმიმართულ პოლიტიკას ახორციელებდა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. ლაშა-გიორგის მემატიანის ნათქვამში (თამარმა „საბერძნეთისა მთაწმინდისა, იერუსალიმისა და შავ-მთისა საყდარნი და ეკლესიანი, რომელნიმე დარღვეულნი აღაშენა, რომელიმე მათითა საფასითა დაიხსნა ხარკისაგან უცხო თესლთათა"[2]) დარღვეული და უცხოთა ხელში მოხვედრილი ტაძრების აღდგენასა და დახსნაში იერუსალიმის სავანეები უნდა ვიგულისხმოთ, რაც, ალბათ, სალადინის სიკვდილის შემდეგ, სულთნების¬_ალ-აზიზის, ალ-მანსურისა და ალ-ადილის დროს მოხდა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თამარის თანამოღვაწის, გამოჩენილი ნიკოლოზ გულაბერიძის დაბრუნება იერუსალიმში და მისი გარდაცვალება 1210 წლის ახლო ხანებში ჯვრის მონასტერში.[3]

იერუსალიმში ქართველთა გავლენა და ევროპის ქვეყნებისთვის საქართველოს სამხედრო ძალის მნიშვნელობა ნათლად გამოჩნდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. აქვე ჩანს გიორგი-ლაშას მიერ თავისი დედის, თამარ მეფის საგარეო პოლიტიკური კურსის გაგრძელება. იგი ცდილობს

---

1 ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ III, თბ., 2012, გვ. 12-13

2 ქართლის ცხოვრება I,ს.ყაუხჩიშვილი,გვ:368,თბილისი,1955 წელი.

3 ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 716,თბილისი,1963 წელი.

ჯვაროსნებთან დაახლოებას და მათთან ერთად მუსლიმანთა წინააღმდეგ საერთო ფრონტით გამოსვლას,რაც აისახა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობების ამსახველ წყაროებში.

როგორც ცნობილია, ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქობა მიზნად ისახავდა მეოთხე ლაშქრობის (1202-1204) თავდაპირველი გეგმის განხორციელებას, რაც ეგვიპტეში შეჭრას და იქიდან იერუსალიმზე გალაშქრებას გულისხმობდა, მაგრამ მეოთხე ლაშქრობა ბიზანტიის იმპერიის მოსპობით, ე.წ. ლათინთა იმპერიის (1204-1261) დაარსებით დასრულდა.

ამჯერად, ჯვაროსნები მართლაც სირიიდან ეგვიპტეში შეიჭრნენ და 1218 წლის 30 მაისს ალყა შემოარტყეს დამიეტას.ალყა წელიწადნახევარს გაგრძელდა, სულთანმა ალ-ქამილმა (1218-1238) ჯვაროსნებს შესთავაზა დამიეტასთვის თავი დაენებებინათ და სანაცვლოდ იერუსალიმს დაუთმობდა. ჯვაროსნებმა ამ წინადადებაზე უარი თქვეს. პალესტინის, ტრანსიორდანიის, ცენტრალური სირიის და დამასკოს გამგებელმა ალ-მალიქ ალ-მუზამმა იერუსალიმის გალავნის დანგრევა ბრძანა. მისი აზრით, ჯვაროსნები იერუსალიმში თუ შევიდოდნენ და იქ გამაგრდებოდნენ, მაშინ ისინი სირიის დაპყრობასაც შეძლებდნენ. 1219 წ. 19 მარტს აიუბიანებმა სალადინის მიერ გამაგრებული იერუსალიმის გალავნისა და სხვა საფორთიფიკაციო ნაგებობების ნგრევა დაიწყეს. ქალაქის გარშემო არსებული თხრილი ნანგრევებით ამოავსეს და თავდაცვის ყოველგვარი საშუალება მოსპეს. იერუსალიმის საფორტიფიკაციო ნაგებობების დანგრევის მიზანშეწონილობას, როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგეები ჰყავდა. იერუსალიმელი ქართველები თავიდანვე ამ იდეას განხორციელების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მომხდარმა ფაქტმა მათი გულისწყრომა გამოიწვია. დაუცველ იერუსალიმში მათი სიცოცხლე და ქონება (ალბათ, მხოლოდ მონასტრები და მათი ქონება არ უნდა ვიგულისხმოთ) დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ისინი დამასკოს გამგებელს დაემუქრნენ, როგორც ამას გვამცნობს თანამედროვე აკრის არქიეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი. ის თავის „იერუსალიმის ისტორიაში" გვაძლევს ქართველების დახასიათებას, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქართველების მდგომარეობასა და პოლიტიკურ გავლენაზე წმინდა მიწაზე მეცამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში...უფლის საფლავთან მოსალოცად მომავალნი (ქართველები - ე.მ.) წმინდა ქალაქში დროშა გაშლილნი შემოდიან და ხარკს არავის უხდიან. სარკინოზები წყენინებას ვერ უბედავენ, რადგანაც შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სხვა სარკინოზებზე... ქართველები ძალზე აღშფოთდნენ და დაემუქრნენ დამასკოს გამგებელ კორადინს, რადგანაც მან არად ჩააგდო მათი სურვილი და იერუსალიმის კედლების განგრევა ინება იმ დროს,როდესაც ლათინებს დამიეტასთვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული..."[4] ჟაკ დე ვიტრის თხზულებიდან ამონარიდის ბოლო ფრაზას თუ გავიზიარებთ, მაშინ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: ვინ იყვნენ ის ქართველები, რომლებსაც იმდენი ძალა შესწევდათ, რომ დამასკოს გამგებლისათვის დამუქრება გაებედათ? როგორც ზემოთ ითქვა, მაშინ დამასკოს გამგებელი იყო ალ-მალიქ-ალ-მუზზამი, რომელსაც ჟაკ დე ვიტრო კორადინს უწოდებს. იერუსალიმელი ქართველები მხოლოდ მონასტრების ბერ-მონაზვნები არ უნდა ყოფილიყვნენ. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ აკრის ეპისკოპოსი აუცილებლად აღნიშნავდა. ქართველთა მასაში სასულიერო პირების გარდა, კომერციით და სამხედრო საქმით დაკავებულ (დაქირავებულ) ქართველებსაც უნდა გულისხმობდეს. მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ ის ადამიანებიც, რომლებსაც მუდმივად საქმის კურსში ჰყავდათ საქართველოს სამეფო კარი იერუსალიმისა და, საერთოდ, პალესტინაში მიმდინარე ამბების შესახებ. რათქმაუნდა იერუსალიმელი ქართველების მუქარა შემაგრებული უნდა ყოფილიყო ლაშა-გიორგის პოზიციითა და გავლენით. მას ჯეროვან ანგარიშს უწევდნენ როგორც მუსლიმი ისე ქრიატიანი პოლიტიკური მესვეურნი მთელ ახლო აღმოსავლეთში. ამის გამო ქართველი მეფისა და მისი სახელმწიფოსადმი ინტერესი ევროპაშიც იზრდებოდა. არ შეიძლება იმ ამბავს, რომელზეც ქვემოთ ითქმევა, მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება არ მოეხდინა იერუსალიმით და იქ არსებული საეკლესიო და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ ევროპელებზე. იერუსალიმის გალავნის დანგრევა იმდენად უარყოფითი ფაქტი იყო ამ ქალაქის ცხოვრებაში, რომ იგი თანამედროვეების მიერ გაიგივებული იქნა მთელი ქალაქის

---

[4] Jescues deviltry of the Jerusalem.Traduit from the Original Latin by A.Stewart.Piligrims Text Society, XI,London,1896,83-84.ციტირებულია:ფერაძე გრ.,უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ,30.

დანგრევასთან, რასაც, მართლაც სერიოზული სავალალო შედეგი მოჰყვა. ლათინების თავდასხმის საშიშროების გამო, გალავანმორღვეული ქალაქის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. მუსლიმებმა ვინც გაქცევა ვერ შეძლეს, მეჩეთებს შეაფარეს თავი. ქალაქში დატოვილი მთელი ქონება გაიძარცვა.[5] საქართველო-აიუბიანთა ეგვიპტის ურთიერთობის და იერუსალიმის ქართული სახელმწიფოს მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის (1217-1221) დროინდელ ამბებში მონაწილეობის ამ ეპიზოდზე საინტერესო ცნობა შემოგვინახა „სამყაროს საკვირველებანის“ უცნობმა ავტორმა.თხზულება დაწერილია მეცამეტე საუკუნის 20-იანი წლების სპარსულ ენაზე. ანონიმი ავტორი გადმოგვცემს: „606 წლის შაბანს, როდესაც ურწმუნოთა „ქაფირ“ ხელთ ვიყავი, მელიქ აშრაფ ბ. ადილის მოციქული (რასულ) მოვიდა აბხაზის მეფესთან (მალიქ აბხაზ) და ფრანკთა (ფრანგ) გამოსვლის (ხორუჯ) ამბავს ჰყვებოდა. მისგან მოვისმინე, რომ ამბობდა: ქალაქი კუდსი დავანგრიეთ და მთელი კედლები ცხრილში ჩავყარეთ. მეჩეთი აკსა, კოშკი დაუდ წინასწარმეტყველისა _ მშვიდობა მასზე! _ და კუმამა დავტოვეთ იმ მიზეზით,რომ ფრანკთა გამოსვლამ შეგვაფიქრიანა. ჩვენ 10000 კაცი გვჭირდებოდა იმ ქალაქის დასაცავად და თუკი ლაშქარს იქ დავტოვებდით მათთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერ შევძლებდით. ახლა კი მოვიგეთ, რომ კუდსის დანგრევის გამო ნანობენ“.[6]

სამწუხაროდ, ანონიმი ავტორი ასე მოკლედ გადმოგვცემს საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის უაღრესად საინტერესო ეპიზოდზე. ალბათ, ეგვიპტის ელჩი იმისთვის არ მოვიდოდა საქართველოში, რომ მხლოდ ის ეთქვა ქართველი პოლიტიკოსებისათვის, რაც მათთვის ისედაც ცნობილი იყო. მაგრამ მისი მონათხრობის განხილვისას მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება,რომ ის (ანონიმი ავტორი), ვინც ეგვიპტის ელჩის შესახებ გვიყვება, ტყვედ იყო საქართველოში და მას ბუნებრივია, მწირი ინფორმაცია გააჩნდა.

ელჩის საქართველოში მოსვლის მიზანი უფრო ის უნდა ყოფილიყო, რომ ეგვიპტის მთავრობას იერუსალიმში დაზარალებული ქართველების პირადი და სამონასტრო კომპენსაციით შეეჩერებინა ის სამხედრო აქცია, რომლის განხორციელებასაც გიროგი-ლაშა გეგმავდა და ამის გამო გარკვეული მოლაპარაკებაც ჰქონდა რომის პაპ ჰონორიუს მესამესთან, რუსუდანის მიერ რომში გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „დამიეტში მყოფი თქვენი ელჩისაგან მივიღეთ თქვენი რჩევა და ბრძანება, რომე ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად, ისიც ამ ძრახვასა და წასვილის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში“.[7] ასეთივე, ჯვაროსნებისადმი დახმარების და წმინდა ადგილების მუსლიმთა ბატონობისაგან განთავისუფლების დიდი სურვილით, არის განმსჭვალული რუსუდანის მხედართმთავრის ივანე მხარგრძელის წერილიც. მასში ნათქვამია იმ უმთავრეს მიზეზზეც, რამაც შეუშალა ხელი გიორგი-ლაშას განზრახვის შესრულებაში.[8]

პაპმა ინოკენტი მესამემ ჯერ კიდევ 1211 წელს პალესტინაში ჯვაროსნების გაჭირვების ჟამს გიორგის სთხოვა დახმარებოდა იერუსალიმის ლათინთა მეფეს. სავარაუდოა, რომის პაპის ეპისტოლე ქართველი მეფისათვის გადაეცა მისიონერ იაკობ დე რუასანოს, დომინიკანელ ბერს,რომელიც 1211 წელს საქართველოში იმყოფებოდა.

არსებობს ცნობა, რომ გიორგი-ლაშამ რომის პაპის ინოკენტი მესამის ეპისტოლე მიიღო 1213 წელსაც, რომელიც თავდაპირველად გაიგზავნა ანტიოქიაში, რათა იქაურ ქართველბს ეპისტოლე ადრესატამდე მიეტანათ. მასში იყო ქართველი მეფისადმი თხოვნა, დახმარებოდა ჯვაროსნებს. გიორგი-ლაშა პაპის თხოვნის შემდეგ უნდა გასჩენოდა აზრი მოეწყო სამხედრო რეიდი წმინდა მიწაზე და იმავე დროს აღესრულებინა თავისი მეფე-დედის სურვილი მისი ნეშტის იერუსალიმში დაკრძალვის შესახებ.

---

5 ელდარ მაისთვალიშვილი,საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), ტ. IV, თბ., 2014, გვ:282.
6 ჯაფარიძე.,“აჯა იბ ად-დუნაი“ აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ერთი ეპიზოდის შესახებ,ქართული დიპლომატია,წელიწდეული,6,თბილისი,1999.
7 თამარაშვილი მ.,ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,ტფილისი,1902,7.
8 ტაბაღუა ი.,საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში,I,თბილისი,1984,178-179.

იერუსალიმის დამცველი კედლის დანგრევასთან დაკავშირებით წმინდა ქალაქში მცხოვრები ქართველებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ გამომჟღავნებულ რეაქციას, სავარაუდოა, დამასკოს გამგებლის მოქმედება ანტიქართულ ღონისძიებად ჩათვალეს საქართველოში და მუქარის წარმოშობის მიზეზი ეს უნდა ყოფილიყო. საქართველოს სამეფო კარის და იერუსალიმის ქართველი მოსახლეობის უკმაყოფილება იმდენად სერიოზული იყო, რომ ეგვიპტის სულთანმა ალ-მალიქმა გიორგი-ლაშას ელჩი გაუგზავნა და მომხდარის გამო სინანული გამოსთქვა.

იერუსალიმის მუსლიმი გამგებლის მოქმედებით, რაც გამოიხატა წმ. ქალაქის დამცველი კედლის განადგურებაში, უკმაყოფილო მეფე გიორგი-ლაშამ დამიეტასთან მდგარ ევროპელ ჯვაროსნების მეთაურის პაპის ლეგატ პელაგიუსის სამხედრო ძალით დახმარება შესთავაზა. ქართველი მეფის წერილი, დაწერილი უნდა იყოს არაუადრეს 1219 წლისა, რადგან საპასუხო წერილიდან ჩანს,რომ დამიეტა ჯვაროსნებს დაპყრობილი ჰქონდათ. პელაგიუსის წერილი გადასცა საქართველოს მეფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა _ ბერმა,რომელმაც დაწვრილებით მოუთხრო ქართული სახელმწიფოს სიმდიდრესა და სიძლიერეზე, ქართველი მეომრების სიმამაცესა და მუსლიმანების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ბერს ისიც უთქვამს, რომ ჯვაროსნებისადმი დახმარებასთან ერთად ლაშა-გიორგის განზრახული ჰქონდა თავისი დედის, თმარ მეფის ანდერძის სისრულეში მოყვანა, რაც ითვალისწინებდა მისი ნეშტის იერუსალიმში გადასვენებას და იქ დაკრძალვას.

ჟაკ დე ვიტრის გადმოცემით, ქართველი ბერის მონათხრობმა დიდად გაახარა კარდინალი და ჯვაროსანთა სხვა მეთაურები.პელაგიუსმა, იმავე ბერის ხელით მეფე გიორგი-ლაშას დაუყონებლივ გაუგზავნა წერილი. წერილში კარდინალი მეფეს უწონებდა განზრახვას ჯვაროსნებისთვის შეიარაღებული ძალით დახმარების შესახებ: „მისი უწმინდესობა პაპის ლეგატი პელაგიუსი, საქართველოს მეფე გიორგის“ და შემდგომ ასე გრძელდება: „ფრიად გავიხარეთ თქვენი წერილითა და ჩვენდამი ჩვენი დედა რომის ეკლესიისადმი ერთგულებით, რომლის წიაღში იმყოფებიან ყველა ქრისტიანები. გვახარებს თქვენი თავდადება ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მოძღვრებისადმი, რომელსაც იცავთ თქვენს ირგვლივ მყოფი უწმინდური მუჰამედის მსახურთაგან, ანათებთ მსგავსად სინათლის წყვდიადში და შროშანისა ეკლებში. დიდი იყო ჩვენი სიხარული, როცა შევიტყვეთ თქვენი გადაწყვეტილება ლაშქრობაში წასვლის შესახებ წმინდა ადგილებისა, სადაც ჩვენმა უფალმა და მეუფემ იესო ქრისტემ გამოუთქმელ სიყვარულში მიიღო სიკვდილი ჯვარზე მოყვასის ხსნისა და სამარადისო ცხოვრებისათვის. საქებარია თქვენი აღთქმა: მოწონებას იმსახურებს თქვენი განზრახვა აღასრულოთ ნეტარხსენებული დედის ანდერძი. აღიჭურვეთ სარაცინების წინააღმდეგ და შეაიარაღეთ თქვენი ლაშქარი, რათა ღვთის წყალობით შეძლოთ რომის ეკლესიის მიერ დალოცვილებმა მტრის დამარცხება სამღრთო ომში და უფლის საფლავის განთავისუფლება. ჩვენ უკვე მივაყენეთ წარმართებს ზარალი, შემოვუარეთ ზურგიდან და დავიკავეთ მათი მნიშვნელოვანი სიმაგრე და ქალაქი დამიეტა... ახლა ვემზადებით ახალი ლაშქრობისათვის, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ სარაცინები. იჩქარეთ ჯარის შეყრა და პირდაპირ გაემართეთ ურწმუნოთა წინააღმდეგ, ისარგებლეთ ჩვენი ახალი შეტევით და დაიპყარით პალესტინის ქალაქები. ღმერთის სახელით გისურვებთ სიმტკიცესა და სიმამაცეს ,რათა შეძლოთ, თქვენი საქებარი დაპირების თანახმად ღირსეულად ემსახუროთ ქრისტეს. თუ თქვენ და თქვენი გოლიათები გულიანად მოემზადებით ამ წმინდა საქმისთვის, ამისთვის ჩვენი ღმერთისაგან მიიღებთ უდიდეს საჩუქარს. თქვენს დიდებულებს ვაცნობებთ, რომ ვინც თვითონ მიიღებს მონაწილეობას ამ ურთულეს საქმეში, ან თავის მაგიერ გააგზავნის ვინმეს, ან შეეწევა ფულით ან იარაღით, მათ ყველას ვუბოძებთ ჩვენს სამოციქულო შეწყალებასა და ცოდვების მიტევებას,რადგან ისინი გულწრფელად მოინანიებენ. ამჯერად წაუკითხეთ მათ ყველას თქვენს ქვეშევრდომებს, რომლებსაც თქვენი საშუალებით ვუგზავნი ლოცვას და აღვუთქვამთ ჩვენს მფარველობას“.[9]

---

[4] Jacobi de Vitriaco Histtoria Hierosalymitana//Gesta Dei per Francos,sive,Orientalium et regni Francorum Hierosalomitani historia/es.J.Bongars.-Hannovie,1611-T.1.ციტირებულია: ელდარ მაისთვალიშვილი,საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), ტ. IV, თბ., 2014, გვ:288

კარდინალ პელაგიუსის წერილმა, როგორც ჩანს იმდენად სერიოზული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ხელისუფლებაზე, რომ დამიეტას კვლავ ეწვივნენ გიორგი-ლაშას ელჩები და მოლაპარაკება გამართეს კარდინალთან და ჯვაროსანთა სხვა მეთაურებთან. როგორც კარდინალი ოლივერ პადერბონელი აღნიშნავს, კარდინალმა პელაგიუსმა პაპის სახელით სთხოვა ქართველ ელჩებს საქართველოს მეფე ჯარით დახმარებოდა ჯვაროსნებს. ელჩებს თვის მხრივ გიორგი-ლაშას სახელით გამოუხატავთ მზადყოფნა ჯვაროსნებს დახმარებოდნენ სირიაში.[10]

ქართული სამეფო კარის განზრახვა, გაეგზავნა ჯარი იერუსალიმის წმინდა ადგილების დასაცავად, ცნობილი იყო მუსლიმანებისთვისაც. მითუმეტეს, რომ დამიეტას აღების შემდეგ (1219 წ.) ამ ქალაქში გიორგი-ლაშას ელჩები მივიდნენ და შეხვდნენ პაპის წარმომადგენელს კარდინალ პელაგიუსს. ჯვაროსნების მიერ დამიეტას აღებისადმი ქართველთა ემოციას განსხვავებულად გადმოგვცემს ვინსენ დე ბოვე: „დამიეტას აღებამ ისინი აღაფრთოვანა და გააოცა. ამ ქალაქის აღების შესახებ მთელ ქვეყანაში გავარდნილმა ხმამ ქართველებს უბიძგა,რომ ქრისტიანთა ბანაკში გაეგზავნათ წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: „ამ მოვლენამ მათი ხალხი აღავსო გულის ტკივილით ან კიდევ უფრო მეტად სასიკეთო სირცხვილით. როდესაც მათმა მეფემ მოუხმო მთავრებს, ხალხმა გადაწყვიტა და დაიფიცა, ალყა შემოერტყათ სარკინოზების რომელიმე განქმული ქალაქისთვის, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ქართველებისთვის სამარცხვინო იქნებოდა, თუ როგორ გადმოლახეს ფრანგებმა საშიშროებით განმსჭვალული უკიდეგანო ზღვა, მოვიდნენ ქვეყნის დასალიერიდან ხანგრძლივი ალყის შედეგ აიღეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი, როდესაც თვითონ, ვისთვისაც უფრო ადვილი იქნებოდა სპარსელებთან შებრძოლება, იარაღით აღჭურვილნი არ იპყრობდნენ დამასკოს ან რომელიმე სხვა ცნობილ ადგილს". როგორც ვინმე ვოლტერანო წერდა, ჯვაროსნების მიერ დამასკოს აღებით გამოწვეული აღფრთოვანებით ქართველებს გადაუწყვეტიათ თვითონაც შეეტიათ მუსლიმანებისთვის. ევროპელ ისტორიკოსს მხედველობაში უნდა ჰქონდეს გიორგი ლაშა მიერ 1219 წელს წამოწყებული ლაშქრობა ნახჭევანის, ხლათისა და კარნუქალაქის წინააღმდეგ, რომელიც წარმატებით დაასრულა, რაც ჯვაროსნების მიერ დამიეტას აღებასთან ერთად აღქმული იქნა ქრისტიანთა საერთო წარმატებად.

ხმა ქართველების განზრახვის შესახებ დახმარებოდნენ ჯვაროსნებს,როგორც იმავე პერიოდის ევროპული საისტორიო ლიტერატურიდან ჩანს, ფართოდ გავრცელდა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთ ევროპაში. ლათინურენოვანი ავტორისა და მოგზაურის, ამბების მოწმის, პადერბორნის წმ. საბინას კარდინალ-ეპისკოპოსის ოლივერიუსის მიხედვით, საქართველოს მეფემ მხურვალე სურვილი გამოსთქვა ჯვაროსნებს დახმარებოდა ფრანკთა სირიაში. „იმ ერმა მეტად აღშფოთებულმა და განრისხებულმა (წმინდა მიწასა და ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებით), გადაწყვიტა და დაიფიცა, მას შემდეგ რაც მათმა მეფემ დიდებულები შეყარა, დაეპყროთ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქი,და აგრეთვე თქვეს, რომ მათთვის სირცხვილი იმის ყურება თუ როგორ მოვიდნენ ფრანკები დიდი საშიშროებით სავსე ზღვის გავლით ზღვის გადაღმა მხარიდან, დედამიწის უკიდურეს განაპირას მდებარე ქყვეყნებიდან და აიღეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი (დამიეტა) ხანგრძლივი ალყის შემდეგ,როდესაც თვითონ, ვისთვისაც გაცილებით ადვილია ურწმუნოებთან ბრძოლა, არ იპყრობდნენ დამასკოს და სხვა რომელიმე განთქმულ ქალაქს".

[10] ელდარ მაისთვალიშვილი,საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), ტ. IV, თბ., 2014, გვ:288.

## გამოყენებული ლიტერატურა.


1. ელდარ მაისთვალიშვილი,საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), ტ. IV, თბ., 2014, გვ:282.

2. ელდარ მაისთვალიშვილი,საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), ტ. IV, თბ., 2014, გვ:288.

3. თამარაშვილი მ.,ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,ტფილისი,1902,7.

4. თვარაძე ალ.,საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში,143,თბილისი,2004.

5. ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 716,თბილისი,1963 წელი.

6. ტაბაღუა ი.,საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში,I,თბილისი,1984,178-179.

7. ქართლის ცხოვრება I,ს.ყაუხჩიშვილი,გვ:368,თბილისი,1955 წელი.

8. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ III, თბ., 2012, გვ. 12-13.

9. ჯაფარიძე.,"აჯა იბ ად-დუნაი" აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ერთი ეპიზოდის შესახებ,ქართული დიპლომატია,წელიწდეული,6,თბილისი,1999.

10. Jacobi de Vitriaco Histtoria Hierosalymitana//Gesta Dei per Francos,sive,Orientalium et regni Francorum Hierosalomitani historia/es.J.Bongars.-Hannovie,1611-T.1.ციტირებულია: ელდარ მაისთვალიშვილი,საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), ტ. IV, თბ., 2014, გვ:288

11. Jescues deviltry of the Jerusalem.Traduit from the Original Latin by A.Stewart.Piligrims Text Society, XI,London,1896,83-84.ციტირებულია:ფერაძე გრ.,უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ,30.

# გერმანია-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები (1918 წ.)

**შადიმან ბიწაძე**
**ისტორიის აკადემიური დოქტორი, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო - საშტაბო კოლეჯის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების კურსის უფროსი ინსტრუქტორი**

**მამია ბალახაძე**
სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი.
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

**აბსტრაქტი**

1918 წლის 28 მაისს ქალაქ ფოთში შეთანხმების მიხედვით საქართველომ გერმანიის იმპერიისაგან გარანტია მიიღო რომ ის დაიცავდა და პროტექციას გაუწევდა ახლადჩამოყალიბებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ხელშეკრულებას ხელს აწერდა პრემიერ მინისტრი ნოე რამიშვილი და გენერალი ოტო ფონ ლოსოვი.

საქართველოს ახლადჩამოყალიბებული მთავრობა კარგად ხვდებოდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მნიშვნელოვანი იყო პარტნიორობის დამყარება ძლიერ სახელმწიფოსთან. ქართველ პოლიტიკოსებს უკვე ჰქონდათ ურთიერთობა გერმანიის დელეგაციასთან, რომლის წარმომადგენლის, გენერალ ფრიდრიხ ფონ შულენბურგის დაჟინებული მოთხოვნით შედგა საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადება. გერმანიას სურდა პოზიციები გაემყარებინა კავკასიის რეგიონში და ამისთვის საქართველო კარგი არჩევანი იყო. შულენბურგი თვლიდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანი იყო იმისთვის, რათა მას კონკრეტულ სახელმწიფო სუბიექტზე ესაუბრა მოკავშირე თურქეთთან. დამოუკიდებლობის გამოცხადებით საქართველომ გერმანიის დახმარებით თურქეთი აიძულა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

გერმანიის დახმარებას შეტაკების გარეშე არ ჩაუვლია, 1918 წლის ზაფხულში თურქულ და გერმანულ ნაწილებს შორის შეიარარებული დაპირისპირება დაიწყო, შეტაკებები აჭარაში მიმდინარეობდა და მასში საქართველოში მცხოვრები გერმანელებიც იღებდნენ მონაწილეობას. სწორედ გერმანიის, გერმანელიხალხისა და მათთან თანამშრომლობის წყალობით გადაურჩა საქართველო თურქულ ოკუპაციას. მეტიც, გერმანელების წყალობით ოსმალეთის იმპერიამ აღიარასაქართველოს დამოუკიდებლობა და მისი საზღვრები.

# DIPLOMATIC RELATIONSHIPS BETWEEN GERMANY AND GEORGIA (1918)

SHADIMAN BITSADZE
Academic Doctor of History, LEPL – David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia
Senior Instructor of the Defence and
National Security Course Command and Staff College

MAMIA BALAKHADZE
Lepl Georgian Technical University, PHD Student Doctoral Program
in Law and International Relations

ABSTRACT

According to the agreement of May 28 of 1918 in Poti city, Georgia received a guarantee from the German Empire that it would protect the newly established Georgian Democratic Republic. The agreement was signed by Prime Minister of Georgia Noe Ramishvili and German General Otto von Lossow.

The newly formed government of Georgia was well aware that after the declaration of independence it was important to establish a partnership with stronger states. Moreover, politicians had already had a relationship with Germany and with the request of German delegation representative, General Friedrich Von Schulenburg the independence of Georgia had been declared. Germany wanted to strengthen positions in the Caucasus region and Georgia was a good choice for that. Schulenburg believed that Georgia's independence was important for him to talk about it as particular state subject with the allied Turkey. Through the declaration of independence, Georgia with the help of Germany forced Turkey to recognize the independence of Georgia.

The help from Germany had not passed without clashes. In summer of 1918 the armed confrontation began between Turkish and German troops. The clashes took place in Adjara and the Germans living in Georgia also took part in it. Right by the grace of Germany, German people and cooperation with them, Georgia escaped from the Turkish occupation. Moreover, thanks to the German pressure, the Ottoman Empire recognized Georgia's independence and its borders.

ქართულ-გერმანული ურთიერთობები სათავეს ჯვაროსანთა დროიდან იღებს. მართალია, დასავლეთევროპელებს ქართველები „ფრანკებს“ უწოდებდნენ, მაგრამ ასხვავებდნენ სხვადასხვა ხალხებს. თამარის ისტორიკოსი გერმანელისა და გერმანიის აღსანიშნავად იყენებს ფრანგულ ტერმინს „ალემანს“ და „ალემანიას“, წერს, რომ გიორგი III „სძუენობდეს და სძმობდეს“ მეფენი „ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი და პრომთანი“. როგორც ჩანს, გოდფრიდ ბუიონელის, ბალდუინ I, ბალდუინ II გერმანელებად მიჩნევას ლოთარინგული დინასტიისადმი მათ კუთვნილება განაპირობებდა. 1155 წელს აღაპების წიგნში ფრანგული სახელების გვერდით გერმანული „ფრიდრიხიც“ (ვრიდრიში) არის მოხსენიებული.

გერმანელებმა საქართველო მემატიანე ოტო ფრაიზინგელის 1142 წელს დათარიღებული ჩანაწერით გაიცნეს. მას მოჰყავს თქმულება იოვანე მეფე-ხუცესზე, იოვანე პრესვიტერზე,რომელმაც უკიდურეს აღმოსავლეთში დაამარცხა სპარსეთ-მიდიის მეფეები და შემდეგ გაეშურა საომრად, „რათა დახმარებოდა იერუსალიმის ეკლესიას“, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია, რადგან გემები არ ჰყავდა. მთელი XII საუკუნის განმავლობაში ჯვაროსნები ელოდებოდნენ იოვანესა და მის დახმარებას პალესტინაში სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ლეგენდა იმთავითვე დაედო მრავალრიცხოვან ვერსიებს ზღაპრულ მეფე-ბერ იოვანეზე, რომელსაც ხშირად „რექს დავითად“ იხსენიებენ. მასში იგულისხმება დავით აღმაშენებელი, რომელმაც ეკლესიის მეთაური პირველ მინისტრად გაიხადა და ამით ქვეყნის საერო და სასულიერო მეთაური გახდა. 1189 წელს დაწყებულ III ჯვაროსნულ ომში მონაწილე გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ II ბარბაროსა ქალაქ ფილიპოპოლში შეხვდა პეტრიწონის ქართული მონასტრის წინამძღვარს, ესაუბრა და პატივით გაისტუმრა. ცნობილია, რომ საქართველოს გარეთ არსებული მონასტრები ერთგვარ დიპლომატიურ კორპუსებს წარმოადგენდნენ. ცნობილია ისიც, რომ ფრიდრიხი თავის ერთ-ერთ ვაჟს თამარ მეფეს მეუღლედ და შტაუფენებთან დანათესავებას სთავაზობდა.

ლაშა-გიორგის წარმატებულმა ლაშქრობებმა და მზადებამ V ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ევროპელებს ხელახლა გაახსენა ზღაპრული მეფე-ბერი იოვანე, რომელსაც ისინი ამაოდ ელოდნენ XII საუკუნეში. ახლა მას ნამდვილ სახელს „დავით მეფეს“ უწოდებდნენ.

XII-XIII საუკუნეებში საქართველოზე შემონახულია ევროპელი მისიონერებისა და ელჩების მრავალრიცხოვანი რელაციები. ისინი უხვად შეიცავენ ცნობებს საქართველოზე. XIV-XV საუკუნეებში თურქ-ოსმალთა გაძლიერებამ შეაშფოთა ევროპა და მოკავშირეთა ძებნა დაიწყეს მტრის ზურგში. ევროპელი ელჩები ხშირად სტუმრობდნენ თემურ ლენგს, უზუნ-ჰასანს, შაჰ-აბასს. საქართველოც გზავნიდა ელჩებს ევროპაში და საქართველოზე მრავალი ახალი ცნობა იყრის თავს, გუტენბერგის საბეჭდი მანქანის წყალობით კი ევროპელი მკითხველისათვის ეს ცნობები ხელმისაწვდომი ხდება. ყველაზე ადრე, 1460 წელს აუგსბურგში გამოქვეყნებული ბავარიელი რაინდის, ი. შილტბერგის მემუარები, რომელიც 20 წელი ჯერ თურქების, შემდეგ თემურიდების ტყვეობაში იმყოფებოდა და თავის მბრძანებლებთან ერთად მცირე ხანი დაჰყო დასავლეთ საქართველოში, ევროპელებისათვის მნიშვნელოვანი ცნობებია. ის წერს, რომ ქვეყანა შედგება ცალკეული ნაწილებისაგან, ქრისტიან ქართველებს აქვთ თავიანთი ენა და ძალიან მამაცები არიან.

XV საუკუნეში ირან-ოსმალეთის ომებსა და საქართველოზე ცნობები აქვს გერმანელი ელჩის, ფონ ზიტცეტორფის მდივან სოლომონ შვაიგერს. 1579 წელს თურქეთში მოგზაურობის დროს მან კონსტანტინოპოლში გაიცნო ქართველები და მის თანმხლებ ბერ იოსებთან ერთად შეგროვილი მასალა და ქართული ნუსხა-ხუცური ანბანი 1608 წელს გერმანიაში თავისი მოგზაურობის აღწერაში გამოაქვეყნა. [1,25-26 ]

გერმანულ-ქართულ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს მტკიცე საფუძველი მხოლოდ მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ჩაეყარა, როდესაც 1918 წლის 26 მაისს დამფუძნებელმა კრებამ საქართველო დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. ამ დღიდან 1918 წლის მიწურულამდე გერმანია და საქართველო ბუნებრივ მოკავშირეებს წარმოადგენდნენ. ასე გარდაიქმნა 1914-1917 წლებში არსებული გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი გერმანია-საქართველოს სახელმწიფოთაშორის ალიანსად.

გერმანელების საქართველოთი დაინტერესება იმან განაპირობა, რომ რაიხის მესვეურნი ჩვენი ქვეყნის თავიანთი კავკასიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პლაცდარმად გადაქცევას ლამობდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას შეგნებული ჰქონდა, რომ ახლად

ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფო საწყის ეტაპზე მაინც უნდა დაყრდნობოდა რომელიმე მტკიცე ზესახელმწიფოს. სწორედ ამან უკარნახა საქართველოს მთავრობას, ორიენტაცია აეღო გერმანიაზე, რომელიც იმ დროისათვის აღმოსავლეთის ფრონტზე დიდ სამხედრო წარმატებებს აღწევდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა გერმანელთა საშუალებით სცადეს ოსმალეთის ექსპანსიონისტური ზრახვების მოთოკვა.

ძირითადი „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“, რომელიც დაიდო ფოთში გერმანიის საიმპერატორო მთავრობასა და - სამეფო-ბავარიის გენერალ-მაიორის ფონ-ლოსოვისა და ა.ჩხენკელის სახით, - სულ 5 მუხლისაგან შედგებოდა.

პირველი მუხლის მიხედვით, საქართველო გერმანიის იმპერიასთან ურთიერთკავშირის საფუძვლად აღიარებდა 1918 წ. 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის დადგენილებებს.

მე-2 მუხლით საქართველო ნებას რთავდა გერმანიის მთავრობას ომის დამთავრებამდე ესარგებლა საქართველოს სარკინიგზო ხაზით, ოთხთა კავშირის სახელმწიფოების ჯარებისა და სამხედრო მასალის გადასატანად. რკინიგზებზე კონტროლისათვის თბილსში იქმნება საგანგებო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით, რომელიც იმოქმედებს საქართველოს მთავრობასთან ერთად. გათვალისწინებულია, აგრეთვე, გერმანული რაზმების დაყენება რკინიგზის სადგურებსა და ფოთის ნავსადგურში.

მე-3 და მე-4 მუხლები ეხება საზიარო დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის შექმნას;

დაბოლოს, მე-5 მუხლი გვაუწყებს, რომ ეს შეთანხმება (რომელიც ძალაში შედის ხელმოწერისთანავე), რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს ოფიციალური ტრაქტატით მომლაპარაკებელ მხარეებს შორის, რამდენადაც არ დაიდება საერთო ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ოთხ მოკავშირე მთავრობასა (ე.ი. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის და ბულგარეთისა), და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობას შორის. რა თქმა უნდა, ამ (ძირითადი) შეთანხმების მთავარი ძალაა:

ა. გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობის ფაქტიური აღიარება, და

ბ. ომის პერიოდში საქართველოს სარკინიგზო ხაზზე გერმანიის კონტროლის დაწესება.

ამასთანავე, დაიდო ორი დამატებითი ხელშეკრულება. მათგან პირველი ეხება სამეურნეო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიაში სესხის აღებისათვის. ეს თითქოს, ამ სესხთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური შეთანხმების ერთგვარი პროგრამაა.

რადგან ფიქრობდნენ, რკინიგზისა და ფოთის ნავსადგურის შემოსავალს შეუძლია სესხის გადასახადის დაფარვაო, საქართველოს მთავრობა წინასწარ (1-ლი მუხლი) აცხადებდა, რომ საქართველოს სარკინიგზო ხაზი არის სახელმწიფოს საკუთრება. ფოთის ნავსადგური გადავა სახელმწიფო მმართველობაში, და მთავრობა თანახმაა, დაარსდეს ქართულ-გერმანული კომისია აღნიშნული გზებისა და ნავსადგურის ექსპლოატაციის კონტროლისათვის (თუ მათი შემოსავლით უზრუნველყოფილი იქნება სესხის დაფარვა).

მეორე მუხლი სახავს პარიტეტულ საწყისებზე ქართულ-გერმანული სამთო სამრეწველო საზოგადოების შექმნას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო გადასცემს წიაღის ექსპოლატაციისს განსაკუთრებულ უფლებას, მაგრამ საკანონმდებლო წესით წინასწარ იმტკიცებს მონოპოლიურ უფლებას სამთო მრეწველობაზე.

ამ საზოგადოებას სახელმწიფო გაუწევს ზედამხედველობას; არსებული სამთო საწარმოებისა და შეძენილი უფლებების ლიკვიდაცია მოხდება განსაკუთრებული კანონებით, შეთანხმების საფუძველზე. მოპოვებული მადნის ექსპორტს შეფერხება არ შეექმნება.

თუ აქ გადმოცემული სქემა სავსებით შეეფერება ომის პერიოდში განსაკუთრებული ძალით გაბატონებულ სახელმწიფო სოციალიზმისა და გაერთიანებული გეგმაზომიერი საქმიანობის იდეებს, მე-3 მუხლში გამომჟღავნდა გერმანიის დიდი ინტერესი ნედლეულისადმი, რომლის მთელი რაოდენობა, ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, შეეძლო შეეძინა და გაეზიდა გერმანიას.

მე-4 მუხლით გერმანია გვპირდებოდა მოეგვარებინა საქართველოსთან საზღვაო კავშირი და გაეადვილებინა საფაბრიკო საქონლის, ნახევარფაბრიკატებისა და სურსათის შემოტანა საქართველოში.

მეორე დამატებითი შეთანხმება (სულ ორი მუხლისაგან შემდგარი) ითვალისწინებდა გერმანელი კოლონისტების ინტერესებს, რომლებიც XIX ს. პირველ ნახევარში დაასახლა საქართველოში რუსეთის მთავრობამ; ეს იყო მათი პრივილეგიების შენარჩუნება, გერმანიაში თავისუფალი დაბრუნების უფლება და გერმანიის უფლება - მოსარჩლეობა გაეწია მათთვის.

ზემოხსენებული სამი შეთანხმების გარდა, რომლებიც ერთად შეადგენდნენ ქართულ-გერმანული ურთიერთდამოკიდებულების საფუძველს, ფოთში ხელი მოაწერეს კიდევ სამ ცალკეულ კონვენციას: გერმანიის ვალუტას, როგორც გადახდის საშუალების, დროებითი დაშვება ადგილობრივ ფულთან ერთად, განსაკუთრებული კურსით და ამ კურსის წესის დადგენა მთავრობათა შორის საგანგებო შეთანხმების საფუძველზე; საშუალებანი და ღონისძიებანი ტყვეების უსწრაფესი გაცვლის დასაჩქარებლად (ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულების დადგენილებათა დამატებად); საქართველოს პორტებში არსებული ტონაჟის გერმანიის ხელისუფლების განკარგულებაში გადაცემა.

ამ სპეციალურ კონვენციათაგან პირველის აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდებოდა საქართველოში მის მთავრობასთან დადებული შეთანხმებით, გერმანული ჯარის ნაწილების მომავალ ჩამოსვლას (ასეთივე კონვენციები დაუდო გერმანიამ თავის დროზე ბულგარეთს და რუმინეთს). მეორე არც კი საჭიროებს რაიმე განსაკუთრებულ განმარტებას, მესამეს მნიშვნელობა კი, საერთოდ ერთობ მცირე იყო.

ფოთის ხელშეკრულებები წყვეტდნენ ომიდან გამომდინარე საჭირბოროტო საკითხებს; მეორე მხრივ - ითვალისწინებდნენ გერმანიის, ე.ი. ძირითადად გერმანიის კაპიტალის დახმარებას საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და ეკონომიკის განვითერებაში. გერმანია უზრუნველყოფდა თავისთვის არცთუ მცირე უპირატესობას, განსაკუთრებით სამომავლოდ. მაგრამ საქართველოც ღებულობდა მოგებას, თანაც უშუალოს, ხელშეკრულებიდან.

ამ ხელშეკრულების წყალობით საქართველო თავიდან იცილებდა თურქეთის მხრიდან მოსალოდნელი ოკუპაციის უღელს, და არავის შეეძლო ამის გაკეთება, გარდა გერმანიისა. ყოველ შემთხვევაში 1918 წ. ზაფხულში, გერმანია აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმრქმელი - ამ დროს ამ როლის შესრულება ხელეწიფებოდა მხოლოდ მას. მისი მხარდაჭერით ეს საკითხი საერთაშორისო მნიშვნელობას იძენდა.

1918 წ. 28 მაისს გენერალი ფონ-ლოსოვი, ფოთში საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილი საიდუმლო წერილით ვალდებულებას იღებდა მიეღწია იმისათვის, რომ „გერმანიის მთავრობას გამოეცხადებია თავისი მზადყოფნა საქართველოს მხარდასაჭერად რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაში. საქართველოს რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან გასვლასთან დაკავშირებით, მისი გამოყოფის შემდეგ კი ეცნო საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“. გერმანიის რწმუნებული ასევე იღებდა ვალდებულებას, რომ „გერმანია დაეხმარებოდა საქართველოს საზღვრების უზრუნველყოფაში და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთკავშირის დამყარებაში“. [2, 86-89]

ზურაბ ავალიშვილის შეფასებით, „ფოთის ხელშეკრულების მეოხებით საქართველო განთავისუფლდა ოსმალეთის მიერ დაჭერის საშიშროებიდან და არავის, გარდა გერმანიისა, არ შეეძლო, 1918 წლის ზაფხულში მაინც, ეს მოემოქმედნა. გერმანია გამოვიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნათლიად და იმ წუთში მხოლოდ მას შეეძლო ეს როლი შეესრულებინა. მხოლოდ მისი დახმარებით საკითხმა მიიღო საერთაშორისო მნიშვნელობა.

ამიტომაც კვლავ განახლდა ბათუმის კონფერენცია და 1918 წლის 4 ივნისს იგი დასრულდა იმით, რომ დაიდო კიდეც „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება“ ოსმალეთსა (ჰალილ-ბეი, ვეჰიბ-ფაშა) და საქართველოს (ნოე რამიშვილი, გენ. ილია ოდიშელიძე, გიორგი გვაზავა, გრიგოლ რცხილაძე) შორის. მართალია, თავისი პირობებით იგი ბრესტლიტოვსკზე უფრო მძიმე იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკას მაშინ არ ჰქონდა, მითუმეტეს, საბოლოოდ იგი მაინც არ ყოფილა რატიფიცირებული. [3, 109]

პირველი მნიშვნელოვანი დახმარება საქართველოს გერმანიამ სწორედ ფოთში გამართული მოლაპარაკების შემდეგ აღმოუჩინა. 1918 წლის 10 ივნისს აღიარა რა „დე-ფაქტოდ" საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, უკრაინიდან საქართველოში შემოვიდა კავკასიის საექსპედიციო კორპუსი გენერალ-მაიორის ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის ხელმძღვანელობით.

მის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა 3 000 კადრის ოფიცერი და ჯარისკაცი-(ბავარიის მე-7 საკავალერიო ბრიგადა, ბავარიის 29-ე ფეხოსანთა პოლკი, მე-7 და მე-8 ეგერთა ბატალიონი).

ფონ კრეშენსტაინმა ამის გარდა შეძლო მობილიზაცია გაეკეთებინა და შეიარაღებინა საქართველოში მყოფი გერმანელი და ავსტრიელი ტყვეები და მათთან ერთად თბილისში და ცალკეულ გერმანულ დასახლებებში (ელიზაბეტტალი, ტრაუნენბერგი, მარიენფელდი...) მაცხოვრებელი მოხალისეები. გერმანელი ჯარისკაცები უპირატესად განლაგებულნი იყვნენ საქართველო-ოსმალეთის საზღვრის გასწვრივ და სარკინიგზო კვანძებისა და სტრატეგიულად საჭირო პუნქტების მიმდებარე ტერიტორიებზე.

13 ივნისს სადგურ სანაინთან მოხდა შეიარაღებული დაპირისპირება გერმანულ-ქართულ ნაწილებსა და ოსმალეთის კავკასიის მე-9 ფეხოსანთა დივიზიას შორის, რომელსაც დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხრიდან. ეს იყო „ოთხთა კავშირში" შემავალი ორი სახელმწიფოს შეჯახება, რომელშიდაც გერმანული მხარე საქართველოს ინტერესებს იცავდა.

11 ივლისს თბილისში მთავრობის სასახლის წინ ქართული და გერმანული სამხედრო ძალების ერთიანი აღლუმი ჩატარდა და სამივე სახეობის საჯარისო ნაწილებით - ქვეითი, კავალერია და არტილერია. ჯარებს მიესალმნენ და სიტყვით მიმართეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა და გერმანიის კონსულმა გრაფმა შულენბურგმა.

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს რუსეთის მხრიდან თავდასხმის (როგორც „თეთრი" ისე „წითელი"!) მოგერიების მიზნით სოხუმისა და სოჭის ოლქებში დისლოცირებული იყო გერმანული გარნიზონები. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ დენიკინის ე.წ. „მოხალისეთა არმია" აღნიშნულ ტერიტორიაზე 1918 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე იძულებით იცავდა „სტატუს ქვოს".

„1918 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია (ა. ჩხენკელი, ზ. ავალიშვილი, ნ. ნიკოლაძე) ორი ქვეყნის უფრო მეტად დაახლოების მიზნით გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობდა გერმანია-საქართველოს ახალი ხელშეკრულების ძირითად ტექსტზე, რომელიც 3 დეკემბერს ფაქტიურად მზად იყო ხელმოსაწერად, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ და კაპიტულაციის გამოცხადებამ ქართველი დიპლომატების ძალისხმევას ყოველგვარი აზრი დაუკარგა.

მართალია, გერმანიის დამარცხებამ უარყოფითი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტად ცნობის კუთხით, მაგრამ მიუხედავად ამისა, სწორედ გერმანულ-ქართული ურთიერთობების დროს ჩაეყარა საფუძველი საქართველოს დასავლურ ორიენტაციას, რომელიც დღეს წარმატებით ხორციელდება." [4, 26]

## გამოყენებული ლიტერატურა.


1. დაუშვილი რუსუდან, შოთა უტიაშვილი 2010, საქართველო - დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან; თბილისი, საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ;

2. ავალიშვილი ზურაბ 1990, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბილისი, გამომცემლობა „ნიამორი";

3. შარაძე გიორგი 2003, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო- საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება";

4. ბიწაძე შადიმან 2011, შუა ევროპის გეოპოლიტიკა და საქართველოს ევროპული ორიენტაცია, კრებული „მსოფლიო და კავკასია" (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომცემლობა „გეოიდი".

# საქართველო ისტორიული არჩევანი გზაგასაყარზე

**დავით რაზმაძე**
**ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო საშტაბო კოლეჯის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების კურსის უფროსი**

**აბსტრაქტი**

აღნიშნულ სტატიაში ვეცადე წარმომედგინა ის საკითხები და გამოწვევები რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურია და მნიშვნელოვანია, რაც აწუხებს და აღელვებს საზოგადოებას. განხულილი მაქვს მოკლედ საქართველოს ისტორიული წარსული. ხაზი გავუსვი საქართველო რუსეთის ურთიერთობას და იმ უთანხმოებას რაც ამ ორ ქვეყანას გააცნია, შევეცადე წარმომედგინა მისი პოლიტიკა და სტრატეგიული მიზენები თუ ზრახვები. ასევე გავამახვილე ყურადღება ჩვენს სტრატეგიულ მიზნებზე და მისწრაფებებზე როგორიცაა ევროპულ კავშირში გაწევრიანება.

# GEORGIA’S HISTORIC CHOICE AT THE CROSSROAD

**DAVIT RAZMADZE**
Head of the Defence and National Security Course of the Command and Staff College of the Academy

**ABSTRACT**

In this article, I tried to present the issues and challenges that are relevant to our country today and it is important to worry and worry about the public. I have a short history of Georgia’s historical past. I emphasized Georgia’s allegiance to Russia and the disagreements that made this two countries to try to imagine his policy and strategic goals or intentions. I will also pay attention to our strategic goals and aspirations such as joining the European Union.

საქართველოს რთული თუ სასარგებლო გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ისტორიის მანძილზე მუდამ ინტერესის არეალში იყო და ხშირად მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. ისტორიის მანძილზე ნებით თუ მის საწინააღმდეგოდ ყოველთვის უწევდა არჩევანის გაკეთება იმ პერიოდის ძლიერ სახელმწიფოებს შორის. იქნებოდა ეს ბიზანტია, ირანი, ოსმალეთი თუ სხვა იმპერია. 18 საუკუნის შემდგომ კი დიდი ხნის განმავლობაში აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში. მე-20 საუკუნის ბოლოს განვითარებული ისტორიული პროცესების შედეგად, ქვეყანა კვლავ დადგა ტრადიციად ქცეული დილემის წინაშე. პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბრუნების გამორიცხვის შემდეგ, არსებობს ერთი რეალური არჩევანის შესაძლებლობა, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და ევროპული კავშირი.

ცივი ომის დასრულების შემდეგ შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება, დაიხვეწა საერთაშორისო ურთიერთობის ფორმები. სამხედრო ფაქტორი და ძალის პოლიტიკა ჩაანაცვლა ერების თვითგამორკვევის უფლებამ, ქვეყნების თავისუფალმა არჩევანმა თვითონ გადაწყვიტონ რომელ პოლიტიკურ ორბიტაზე სურთ ყოფნა. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიშალა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიები, როდესაც მათ ნებით თუ უნებლიედ უარი თქვეს კოლონიებზე, ამ ახალ ეპოქას ასევე ეწოდა პოსტ კოლონიალური ეპოქა. მაგრამ ეს პრაქტიკაში ხშირად ვერ ხორციელდება, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერად მსოფლიო პოლიტიკის მსხვილი მოთამაშეები ამ პრინციპს უჭერენ მხარს. საქართველო ობიექტური შეფასებიდან გამომდინარე პატარა სახელმწოფოს წარმოადგენს. „პატარა სახელმწიფო ის სახელმწიფოა, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონულ დონეზე არ შეუძლია საკუთარი პოლიტიკური ნების სხვისთვის თავზე მოხვევა ან ეროვნული ინტერესების დაცვა ძალის პოლიტიკის გამოყენებით."[1] (არ ვსაუბრობ ტერიტორიულად პატარა სახელმწიფოზე) ამიტომ საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მშვიდობიანი განვითარებისათვის სჭირდება რომელიმე ორგანიზაციაში გაწევრიანება. მიუხედავად ამისა გაწევრიანება არ უნდა იყოს გაწევრიანების მიზნით. არამედ მან უნდა მისცეს ქვეყანას, როგორც შიდა ასევე გარე პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა. საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა საბოლოოდ კეთილისმყოფელი გავლენა კი იქონია საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, მაგრამ მრავალი პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას. მაგალითად: საქართველო აღმოჩნდა დაუცველი, პოსტსაბჭოთა სივრცის აგრესიული სახელმწოფოს წინაშე. როგორც ცნობილია ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში წარმოჩინდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სეპარატიზმის და სხვა პრობლემები. სწორედ ამიტომ, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ორიენტირი გაკეთდა დასავლეთზე. მითუმეტეს რომ ამ პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული იყო ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა NATO და ევროპული კავშირი, რომელთა წევრობაც ყველაზე მაღალი ხარისხის დაცულობის გარანტიას იძლევა ქვეყნისათვის და ამავდროულად ფასეულობებიც ძირითადად თანხვედრია. თუმცა იმისათვის, რომ საქართველომ მოახდინოს საკუთარი სურვილების რეალიზება საგარეო პოლიტიკური კუთხით, პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს სტაბილურობა და შეუქცევადი ეკონომიკური განვითარება. „სახელმწოფოს ეროვნული უსაფრთხოება ემყარება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სტაბილურობას. საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული საშინაო პოლიტიკასთან და ეს ორი რამ არა მარტო ემსახურება ერთმანეთს, არამედ ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს."[2]

თუმცა საქართველოს არჩევანის გზაზე აქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები. „საქართველოს სტრატეგული არჩევანის სირთულეს ორი უმთავრესი ფაქტორი განაპირობებს: პირველი არის რეგიონული უსაფრთხოება, განსაკუთრებით კი მეზობელ რუსეთზე დამოკიდებულება, მეორე კი ქვეყნის საშინაო პრობლემებია, რომლებიც მის თავისუფალ მოძრაობას ზღუდავს[3]: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ნახსენებია ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ და ევროპულ ალიანში „საქართველოს ეროვნული ინტერესები: 5. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია."[4]

სტრატეგიული არჩევანის პირველი დამაბრკოლებელი ფაქტორია კონფლიქტი რუსეთან, რომელიც საბჭოთა კავშირის სამართალ მემკვიდრეა. რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში მიიჩნევენ, რომ საქართველო და ზოგადად კავკასია მათი გავლენის სფეროა, ამ რეგიონის კონტროლი კი მათი უსაფრთხოების გარანტია. საქართველოს კონტროლირებით რუსეთი გავა როგორც აზერბაიჯანზე და ხელში ჩაიგდებს კასპიის ზღვის ნავთობს, ასევე სახმელეთო კავშირი ექნება მოკავშირე სომხეთთან და გარკვეულწილად შეაჩერებს თურქეთის ამბიციებს სამხრეთ კავკასიაში.

---

1 რონდელი ალექსანდრე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები (მეორე გამოცემა), გვ4, (1999).ნეკერი, თბილისი.

2 რონდელი ალექსანდრე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები (მეორე გამოცემა), გვ9, (1999), ნეკერი, თბილისი.

3 რონდელი ალექსანდრე. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.გვ299.(2009).ნეკერი.თბილისი.

4 საქართელოს უსაფრთხოების კონცეფცია

რუსეთის სამხედრო დოქტრინა ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ განიხილავს ,,NATO-ს და მის გაფართოებას რუსეთის საზღვრებთან . შესაბამისად ყველა შესაძლებლობას იყენებს იმისათვის, რომ დაბლოკოს და ხელი შეუშალოს NATO-ს წინსვლას. რუსეთი NATO-ს ნებისმიერ გადადგმულ ნაბიჯს საქრთველოს მიმართულებით მწვავე რეაქციით ხვდება. 2008 წელს, ბუქარესტში ჩატარებულ NATO-ს სამიტზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა NATO-ს წევრი, მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ამ სამიტზე ველოდებით MAP-ს, რასაც რუსეთმა უპასუხა სამხედრო აგრესიით და მოახდინა საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონის უკოპაციის აღიარება, რომლებიც 1993 წლიდან უკვე ოკუპირებული იყო, უბრალოდ რუსეთის მიერ არ ხდებოდა აღნიშნული ფაქტის აღიარება. საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შეძლო რუსეთის იძულება გაეყვანა ჯარები ოკუპირებული ტერიტორიიდან, პირიქით რუსეთმა ოფიციალურად შექმნა სამხედრო ბაზები გააძლიერა მისი სამხედრო წარმომადგელობა ამ ტერიტორიებზე და აქვს პლაცდარმი ქვეყნის სრული ოკუპაციისათვის. თუმცა ასევე აღსანიშნავია რომ არა საერთაშრისო ზეწოლა რუსეთზე 2008 წლის აგვისტოში და შავი ზღვის აკვატორიაში ამერიკული ხომალდების გამოჩენა რას მოიმოქმედებდა რუსეთი და სად გაჩერდებოდა ანუ სადამდე წავიდოდა?! მოახდენდა რუსეთი საქართველოს დედაქალაქის აღებას?! სამწუხაროდ საქართველოს არ ააქვს არანაირი მყარი გარანტია რუსეთის შემდგომი აგრესიისაგან დასაცავად. ეს კიდევ უფრო ცხადი გახდა 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ. **„რუსეთის ფედერაციის მთავარ სამიზნეს საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანის რეალიზაციისთვის ხელის შეშლა და საქართველოს რუსულ ორბიტაზე ძალადობრივი გზით დაბრუნება წარმოადგენს“[5] -ნახსენებია საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტში.**

თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ კონფლიქტი რუსეთან არ დაწყებულა 2008 წლის აგვისტოში, კონფლიქტი რუსეთან საბჭოთა კავშრის დაშლამდე დაიწყო. 1991 წლის გაზაფხულ ზაფხულზე სამაჩაბლოს რეგიონში. კონფლიქტი არ დასრულებულა არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წლის დეკემბერში, პირიქით კონფლიქტებმა იმატა საქართველოში და მეორე კონფლიქტის კერა უკვე აფხაზეთია. 90-იანების კონფლიქტი რუსეთან 1993 წლის ნოემბერში სრულდება, უფრო სწორედ რომ ვთქვათ დროებით ჩერდება, პაუზას იღებს, როდესაც შავი ზღვის ფლოტის დახმარებით რუსული სამხედრო ძალები 1993 წლის 4 ნოემბერს ფოთში შემოდიან. 1991 წლიდან დღემდე რუსეთი აღნიშნულ კონფლიქტებს მაშინ ააქტიურებს როდესაც ეს მისთვის ხელსაყრელია და მის პოლიტიკას ეს აწყობს და მის ინტერესის სფეროს ემსახურება, გავიხსენოთ თუნდაც უკანასკნელი მოვლენები როდესაც რუსეთ კვლავ ააქტიურებს და მცდელობა აქვს, მცოცავ ოკუპაციის საკითხს და ეხლა უკვე ქარელის რაიონ კოდას და მის დამაკავშირებელ გზას ეხება და ამ გზასთან განლაგებულ ქვიშის კარიერს, ვითომ ეს ტერიტორია 1931 წლის სამხრეთ ოსეთის რუქის მიხედვით მისი ტერიტორიაა.

დღეს საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა ამ გამოწვევებთან ბრძოლაში მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული ნება-სურვილი, მტკიცედ გავაგრძელოთ სვლა ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ, რომელიც იქნება საქართველოს უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების გარანტი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს ურთიერთობა მოიცავს სწორედ ისეთ პროექტებს, რომელიც ამაღლებს ქვეყნის უსაფრთხოების კოეფიციენტს, აძლიერებს და ავითარებს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ეხმარება, ზრდის და გვერდში უდგას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და კულტურას. საქართველო უკვე მონაწილეა საერთო ევროპული უსაფრთხოების, ჩვენ ვმონაწილეობთ ევროპული კავშირის ეგიდით მიმდინარე მისისა ცენტრალურ აფრიკაში და მალიში. საქართველო ამ მისიების საფუძლვეზე არა მხოლოდ მომხმარებელია ევროპული უსაფრთხოების არამედ უკვე მონაწილეა, რაც მის ცნობადობას და საჭიროებას დიდ ევროპულ ოჯახში ამყარებს.

გზა ევროპული სახლისკენ საქართველოსთვის რთულად სავალი და შორი აღმოჩნდა, თუმცა ჩვენ

---

[5] საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი

გვჯერა დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვების, რომ „ისტორია და წარმატება - მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია “

სწორედ მსგავსი ტიპის მიდგომით, სტრატეგიული თმენით, დაკისრებული საერთო ვალდებულებების შესრულებით მივისწრაფით დასახული მიზნისაკენ, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწეული წარმატებებით, ერთად ვიზეიმოთ საქართველოს ინტეგრაცია უსაფრთხო და ძლიერ ევროპულ ოჯახში.

მას შემდეგ რაც საქართველომ დემოკრატიის განვითარებისა და ევროპულ ოჯახში გაწევრიანების რთულ გზაზე აღმასვლა დაიწყო, არ წყდება ევროპული კავშირის მხრიდან ჩვენი ქვეყნის მუდმივი მხარდაჭერის პროცესი.

ამ განსაკუთრებული თანამშრომლობის პროცესში უმნიშვნელოვანესია ყურადღება გამახვილდეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებაზე, რომელიც ზუსტად მოიცავს იმ სფეროებს სადაც საქართველომ ევროპული კავშირის დახმარებით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები. ესენია:

- საერთო ევროპული ფასეულობების განვითარება და დაცვა - რაც უპირველეს ყოვლისა, მოიცავს ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გავრცელებას, კარგ მმართველობას, ადამიანის უფლებების დაცვას. საერთაშორისო სამართლის პრინციპებით ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას. ამასთან კონფლიქტების მოგვარებას მშვიდობიანი გზით.

- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა - პოლიტიკური დიალოგის და თანამშრომლობის გაღრმავება შიდა სახელმწიფოებრივი რეფორმების, რეგიონში სტაბილურობის და საერთაშორისო მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობის კუთხით.

- მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება - რომელიც გულისხმობს, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდას, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, გაძლიერებულ სამიგრაციო პოლიტიკას, ანტიტრეფიკინგულ, ანტიკორუფციულ, ანტიტერორისტულ ოპერაციებს, ამასთან ბრძოლას ორგანიზებული დანაშაულისა და უკანონო ნარკოტიკბრუნვის წინააღმდეგ და რაც დღევანდელობაში უმნიშვნელოვანესია პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

- დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა - თანამშრომლობა ისეთ სფეროებში როგორიც არის: ქვეყნის რეგიონალური განვითარება, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა.

- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები - რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბებას. ასოცირების ხელშეკრულების ვაჭრობის პუნქტი, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს ევროპულ ოჯახში ეკონომიკური ინტეგრაციისათვის.

# სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელობა და აუცილებლობა საქართველოში


## ლერი სარაიდაროვი

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი



#### აბსტრაქტი

სამწუხარო რეალობას წარმოადგენს საქართველოში არსებული ნეგატიური და არასერიოზული დამოკიდებულება სამხედრო სავალდებულო სამსახურის მიმართ. მაშინ, როდესაც საქართველო მსოფლიოს წინაშე ამაყობს  დამოუკიდებლობითა და სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებებით, ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა სამხედრო უსაფრთხოების კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ მთლად სახარბიელო არ არის.

საქართველოში ახალგაზრდებს არასწორი წარმოდგენა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მიმართ, ისინი ჯარში გატარებულ ერთ წელს ფუჭად, ანუ დაკარგულად მიიჩნევენ, რადგან ვერ იღებენ დახარჯული დროის პროპორციულ და შესაბამის ცოდნასა და უნარებს. შესაბამისად აუცილებელია, მეტი ყურადღება მიექცეს წმინდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის პოპულარიზაციას, იმ უნარ-ჩვევების შესწავლასა და გამომუშავებას, რაც აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისათვის. ჯარის გავლა უნდა გახდეს პრესტიჟული და საამაყო, წვევამდელების შერჩევისა და რეკრუტირების კრიტერიუმები უნდა გამკაცრდეს და დაიხვეწოს, ჯარში მსახური უნდა ასოცირდებოდეს ფიზიკურ, კულტურულ და ინტელექტუალურ განვითარებასთან და არა დროის ფუჭ ხარჯვასთან, ჩაგვრასთან და მხოლოდ ვალდებულების მოხდასთან.


# SIGNIFICANCE AND NECESSITY OF MANDATORY MILITARY SERVICE IN GEORGIA


## LERI SARAIDANOVI

### PhD student of the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University



#### ABSTRACT

The negative and unserious attitude towards the mandatory military service in Georgia is an unfortunate reality. While Georgia prides in independence and other important values before the world, the situation with the military security in our country is, softly speaking, concerning.

Youth in Georgia has misconceptions about the mandatory military service: they view one year of military service as a time lost, because they do not receive adequate amount of skills and knowledge, proportional to the time spent. Therefore, it is essential to pay more attention to popularization of the mandatory military service, development of the knowledge and skills, essential for security and defense of the country. Military service must be prestigious and must be a source of pride; the criteria for selection must be improved to raise the standards. Military service must be associated with the physical, cultural and intellectual development, rather than futile loss of time, oppression and a mere obligation.

უდავოა, რომ სამწუხარო რეალობას წარმოადგენს საქართველოში არსებული ნეგატიური და არასერიოზული დამოკიდებულება სამხედრო სავალდებულო სამსახურის მიმართ. მაშინ, როდესაც საქართველო მსოფლიოს წინაშე ამაყობს დამოუკიდებლობითა და სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებებით, ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა სამხედრო უსაფრთხოების კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ მთლად სახარბიელო არ არის. ვფიქრობ, რომ ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რაც უკავშირდება მცოცავ ოკუპაციას, არასტაბილურ მდგომარეობას სამეზობლოში, ასევე სხვა არაკეთილმოსურნე ქვეყნებიდან მომდინარე საფრთხეებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამხედრო სიძლიერესა და თავდაცვით უსაფრთხოებას, რაც წარმოადგენს ქვეყნის სტაბილურობისა და განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს [2].

საქართველოს მოქალაქეების მხრიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის მიმართ არსებული მიუღებელი მიდგომა გარკვეულწილად განპირობებულია შესაბამისი უწყებების მხრიდან არასაკმარისი და არასათანადო ინფორმირებით, რაც გულისხმობს სტრატეგიული კომუნიკაციის არასრულფასოვნებას.
ახალგაზრდებს არასწორი წარმოდგენა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მიმართ, ისინი ჯარში გატარებულ ერთ წელს ფუჭად, ანუ დაკარგულად მიიჩნევენ, რადგან ვერ იღებენ დახარჯული დროის პროპორციულ და შესაბამის ცოდნასა და უნარებს. წვევამდელობის პერიოდში ჯარისგან თავის დასაღწევად (18-27 წლამდე) ახალგაზრდები იძულებული ხდებიან, 18 თვეში ერთხელ გადაიხადონ გადავადების მოსაკრებელი თანხა 2000 ლარის ოდენობით, მიიყენონ თვითდაზიანება, დატოვონ ქვეყანა, უკეთეს შემთხვევაში გააგრძელონ სწავლა უმაღლესი სასწავლებლის სხვადასხვა საფეხურზე [6].

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა, გარდა იმისა, რომ ვალდებულების მოხდასთან არის დაკავშირებული, იგი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა აღიქმებოდეს, ვინაიდან როდესაც სამშობლოზე ზრუნვას გამოხატავ ამ ფორმით, მით უფრო გიყვარდება შენი ქვეყანა და ხდები მასზე დამოკიდებული. სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მოზარდების ერთმანეთთან ურთიერთობა და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიში მსახური არის კარგი საშუალება ერის გამთლიანებისა და გაერთიანების, ასევე ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლების.

ვფიქრობ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წმინდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის პოპულარიზაციას, იმ უნარ-ჩვევების შესწავლასა და გამომუშავებას, რაც აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისათვის. ჯარის გავლა უნდა გახდეს პრესტიჟული და საამაყო, წვევამდელების შერჩევისა და რეკრუტირების კრიტერიუმები უნდა გამკაცრდეს და დაიხვეწოს, ჯარში მსახური უნდა ასოცირდებოდეს ფიზიკურ, კულტურულ და ინტელექტუალურ განვითარებასთან და არა დროის ფუჭ ხარჯვასთან, ჩაგვრასთან და მხოლოდ ვალდებულების მოხდასთან.

დაახლოვებით ერთ წელზე მეტია, რაც საქართველოში შეიქმნა „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის" დოკუმენტი 2017-2020 წწ. საანგარიშო პერიოდისათვის, სადაც სხვა პრიორიტეტულ საკითხებთად ერთად განხილულია „ტოტალური თავდაცვის" კონცეფცია. დოკუმენტის მიხედვით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის პროცესი მოიცავს სამხედრო კომპონენტს-ეროვნული ძალისხმევის სახით და საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას სამოქალაქო რესურსების გამოყენების კუთხით. დოკუმენტში ასევე გათვალისწინებულია სამხედრო სავალდებულო სამსახურის სისტემის განახლებისა და გაუმჯობესების საკითხი, რაც გულისხმობს წვევამდელთათვის საბრძოლო მომზადების სრულფასოვანი კურსის გატარებას, შესაბამის სოციალურ და ფინანსურ უზრუნველყოფასთან ერთად [1].

აქვე მსურს, დავაფიქსირო, რომ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია სამხედრო სავალდებულო სამსახურის ქონა, რომლითაც შეივსება ქვეყნის მუდმივი და ღირსეული სამხედრო რეზერვი, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საჭირო სამხედრო

და მომიჯნავე უნარების შესწავლისათვის არ არის საკმარისი 1 წელი და უნდა მოხდეს სამსახურის ვადის გაზრდა და არა შემცირება, როგორც ეს ახალ თავდაცვის კოდექსის პროექტში არის წარმოადგენილი. გასათვალისწინებელია, რომ რაც, უფრო მარტივია, სამხედრო სამსახურის მოხდის ფორმა, მით უფრო დაბალია მისი რეპუტაცია და პრესტიჟულობა [1].

მიუხედავად ორგანიზაცია „გირჩის" კრიტიკისა, რომელმაც აღმოაჩინა კანონში არსებული ლაფსუსი და აღნიშნულს იყენებს საკუთარი ორგანიზაციის პოპულარიზაციისათვის, ბევრი ახალგაზრდა მათი დახმარებით, კონფესიური და რელიგიური კუთვნილების გაუთვალისწინებლად ცდილობს, თავი აარიდოს სავალდებულო სამსახურს და ეკურთხოს „მღვდელმსახურად". მოგეხსენებათ აღნიშნულ საქმიანობას არავითარი კავშირი არ აქვს რელიგიასთან და აღმსარებლობასთან, თუმცა გონივრული გამოსავლის პოვნაში დახმარების გამო სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. ხსენებულ ორგანიზაციას, 2017 წლიდან დღემდე, ახალგაზრდებში პოპულარული და „წარმატებული" პროექტის საფუძველზე სამხედრო სავალდებული სამსახურისგან „გარდარჩენილი" ყავს 6300-ზე მეტი ახალგაზრდა (საქართველოს ინფრასტუქტურის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაცია). დამეთანხმებით, ორგანიზაციაში გაწევრიანებულ პირთა რიცხოვნობა თვალში საცემია და სოლიდური. შესაბამისად ღირს, დაფიქრება კანონში არსებული ხვრელის ამოვსების თაობაზე საჭირო ზომების მისაღებად.

ამავდროულად უნდა შეიქმნას ორგანიზაციები, რომლებიც ჯარის პოპულარიზაციისა და მისდამი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად, ასევე ცნობიერებს ასამაღლებლად შექმნიან კლიპებსა და რეკლამებს, რაც გაანეიტრალებს მოზღვავებულ უარყოფით პროპაგანდას სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმებასთან და მის დისკრედიტაციასთან დაკავშირებით.

ჯარის პოპულარიზაციის მიზანს უნდა ემსახურებოდეს სკოლებში საინფორმაციო კამპანიის გამართვა და პროფილური სწავლების აღდგენა. საგნის საინფორმაციო კამპანიის გამართვა ორიენტირებული უნდა იყოს მოზარდებში პატრიოტული სულისკვეთებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაზე. გაწვევა არ უნდა იყოს დაფუძნებული ძალადობასა და მოსალოდნელი დასჯის შიშზე, წვევამდელებში უკვე არსებული იდეოლოგია უნდა იყოს უპირობო საფუძველი ვალდებულების მოხდის სურვილის და არა თავის არიდების გზების გამონახვის.

მიმაჩნია, რომ სამხედრო სავალებული სამსახურის გავლის კიდევ ერთი პოზიტიური წახალისების ფორმა იქნება, თუ მაღალი რანგის პოლიტიკოსებისა და თანამდებობის მქონე პირების შვილები მაგალითს მისცემენ სხვა არაპრივილეგირებული ოჯახიდან გამოსულ ახალგაზრდებს, ჯარის პოპულარიცაციის მიზნით თავად ჩაერთვებიან მათთან კომუნიკაციაში სავალდებულო სამსახურის მოხდასთან დაკავშირებით.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდები მომავალი კარიერის დაგეგმვის პროცესში თავად ცდილობენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდას იოლი ფორმებით და სამხედრო უნარჩვევების შეძენის ნაცვლად, ვალდებულებას ქვეყნის წინაშე იხდიან ნაკლებად სამხედრო პროფილის მქონე სამსახურებში მსახურით.

ალბათ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მცირე ნაწილისთვის არის ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის ბრძანებულებისა და მთავრობის 2014 წლის დადგენილების შესახებ, სტუდენტების მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემთხვევაში პრივილეგიების მინიჭების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა სტუდენტების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და ნებაყოფლობით სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემთხვევაში, სახელმწიფო დაფინანსებას ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ეს ეხებოდა სამსახურის გავლას მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში, რაც პირდაპირ მოქმედებდა მისი პრესტიჟის ამაღლებაზე და ხაზს უსვამდა მის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისთვის, თუმცა, როგორც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი სახის დოკუმენტი აღარ შექმნილა [4], [5].

ასევე სასიკეთო იქნება, თუ ნებისმიერი სახეობის იარაღის გაფორმების უფლება შეეზღუდებათ იმ პირებს, ვისაც არ ექნებათ გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური, ამით ამაღლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის პრესტიჟულობის დონე, მეორე მხრივ კი შეიზღუდება იარაღის გაფორმება იმ პირებზე, ვისაც არ ეცოდინებათ იარღთან მოპყრობის ტექნიკური და პრაქტიკული წესები, რაც მინიმუმამდე დაიყვანს უბედური შემთხვევების რიცხვს და რისკს. ამ შეზღუდვას ექნება კიდევ ერთი ეფექტი, რაც ჯარს უფრო მიმზიდველს და რეიტინგულს გახდის, კერძოდ ის, რომ ვისაც არ ექნება იარაღის გაფორმების უფლება, მას არ ექნება ნადირობის უფლება, ნადირობის კულტი კი, მოგეხსენებათ, საქართველოში გათანაბრებულია მხედრულ ტრადიციებთან და ისტორიულად წვრთნის ერთგვარ სახეობასაც კი წარმოადგენდა. თუმცა ამათ ფონზე არ უნდა დაიჩაგრონ ნადირობის მოყვარული ის პირები, ვინც სხვადსხვა პოზიტიური საფუძვლით  თავისუფლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისგან, მათთვის უნდა დაწესდეს სავადებულო სწავლების გავლა სამონადირეო უნარების ათვისების კუთხით.

ასევე აქტუალურად მიმაჩნია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოზარდთათვის ქართულ ჯარში სამსახურის გავლისა და თანმდევი პოზიტიური შედეგების  თაობაზე შეთავაზების გაკეთება, რაც შეიძლება, უკავშირდებოდეს საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებას და დასაქმების პერსპექტივას. ჩვენთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული უნდა იყოს აფხაზეთთან და ოსეთთან კავშირის აღდგენა და სწორი და ლამაზი ფორმით ხელის გაწვდენა. აღნიშნული კი უნდა განხორციელდეს ჩვენი ქვეყნის  სპეცსამსახურებთან შეთანხმებით და მათი კონსულტაციებისა და რეკომენდაციების საფუძველზე.

რაც შეეხება ქალების ჯარში გაწვევას, მოგეხსენებათ, საქართველოში ისინი არ ექვემდებარებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას, თუმცა სურვილის ქონის შემთხვევაში შეუძლიათ საკონტრაქტო სამსახურში მსახური. ვთვლი, რომ არ იქნება ურიგო თუ სავალდებულო გახდება სამხედრო სამსახურის მოხდა ქალების იმ კონტინგენტისათვის, ვისაც გადაწყვეტილი აქვს საჯარო გასამხედროებულ სამსახურში დასაქმება, განსაკუთრებით მათთვის ვისაც სურს კარიერული წინსვლა და მასთან დაკავშირებული პრივილეგიების მიღება.

სამხედრო სავალებულო სამსახურისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭებისთვის და პრიორიტეტულობის ამაღლებისთვის ასევე აუცილებელია, რომ არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური საგრძლობლად ხანგრძლივი იყოს ვიდრე, სამხედრო სამსახური და წვევამდელს არ გაუჩნდეს სურვილი ალტერნატიული სამსახურის გავლის გზით რეზერვში ჩარიცხვის. აქვე უნდა ითქვას, რომ ღირსეული რეზერვის შექმნისთვის და შენარჩუნებისთვის, აუცილებელია მისი პერიოდული და რეგულარული გადამზადება [3].

მაგალითისთვის, პარალელის გასავლებად შევეხები რამოდენიმე ქვეყნის, მათ შორის ისრაელის სახელმწიფოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის სისტემას.

ისრაელში სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიცავს წვევემდელების გაწვევას და რეზერვში მსახურს, განსხვავებით საქართველოსგან, სადაც სავადებულო სამსახურის გავლა შესაძლებელია, როგორც გაწვევით ერთი წლის ვადით, ასევე საკონტრაქტო სამსახურში მსახურით, რომლის ხანგრძლივობა აღემატება გაწვევის შემთხვევაში დადგენილ ვადას.

ისრაელის ჯარში მსახური სავალდებულოა ქვეყნის ყველა 18 წელს მიღწეული მოქალაქისთვის, განურჩევლად სქესისა, გამონაკლისების გარდა. განსხვავება მხოლოდ მოხდის ხანგრძლოვობაში მდგომარეობს, ვაჟებისთვის 3 წელამდე, გოგონებისთვის კი 2 წლამდე პერიოდია დადგენილი. გაწვევისგან თავისუფლდებიან დაქორწინებული ქალბატონები, მამაკაცები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას სამსახურის გავლის. ახალგაზრდებს რელიგიური მოსაზრების გათვალისწინებით უფლება აქვთ გაიარონ ალტერნატიული სამსახური, თუმცა მსგავსი საქციელი მოწონებას არ იმსახურებს ადგილობრივ ახალგაზრდებში [7].

გარდა თავდაცვის ძალებისა, სამხედრო სამსახურის გავლა ასევე შესაძლებელია ისრაელის პოლიციის გასამხედროებულ დანაყოფში-სასაზღვრო პოლიციაში-მაგავი (ივრ. מִשְׁמַר הַגְּבוּל მიშმარ ჰა გვულ-სასაზღვრო მცველი). სამსახური ორგანიზებულია „ჟანდარმერული" სისტემის შესაბამისად, ანუ სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს გააჩნიათ საპოლიციო უფლებამოსილება, თუმცა ქვეყნის მიმართ აგრესიის შემთხვევაში დანაყოფი მოქმედებს, როგორც სამხედრო ორგანიზაცია. სასაზღვრო ძალებში გაწვევით სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს და უტოლდება ისრაელის თავდაცვის არმიაში მსახურს [7].

ისრაელის არმიასა (ცახალი-ცვა ხაგანა ლე-ისრაელ, ისრაელის თავდაცვის არმია) და ისრაელის პოლიციას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე „ცახალის" წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი ძალები მოსინჯონ და სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარონ სამოქალაქო პოლიციის (მიშტარა კხულა) რიგებში, სხვადასხვა დანაყოფებში, კერძოდ, საპატრულო პოლიციასა და საექსპერტო ლაბორატორიაში, სისხლის სამართლის საქმეებზე ინფორმაციის შეგროვებისა და პოლიციის სატელეფონო-საინფორმაციო ცენტრებში [8].

2008 წლიდან ისრაელის არმია სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად ახდენს აუტისტების რეკრუტირებას, არამარტო დამხმარე პოზიციებზე, არამედ ელიტარულ სადაზვერვო დანაყოფებშიც, სადაც ხდება მათი განსაკუთრებული უნარების გამოყენება სამსახურის სასარგებლოდ. აუტისტი-ჯარის კაცები კომპიუტერის მონიტორებზე დაკვირვებით სწავლობენ თანამგზავრიდან და უპილოტო აპარატების მეშვეობით მოპოვებულ ფოტო ინფორმაციას. მათ გააჩნიათ ბუნებრივი თანდაყოლილი მიდრეკილება განსაკუთრებული ხედვითი ანალიზისკენ, რაც მოითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას და გონებრივ მანიპულაციას რთულ სამგანზომილებიან ობიექტებზე დაკვირვებისათვის [9].

ალბათ თვალნათელია, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობს ისრაელის სახელმწიფო წვევამდელების რეკრუტირებასა და მათ მომზადებას სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას და ჩამოყალიბებაზე, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მათ უპირობო მსახურს სამშობლოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება ევროპას, მის რიგ ქვეყნებში, კერძოდ ესპანეთში, პორტუგალიაში, პოლონეთსა და ჩეხეთში, უნგრეთსა და სლოვაკეთში, ასევე სხვა რამდენიმე ქვეყანაში ახალგაზრდები სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას აღარ ექვემდებარებიან, დასახელებული ქვეყნებისთვის მისაღები აღმოჩნდა მხოლოდ პროფესიული ჯარის მოდელი, თუმცა ავსტრიაში, ნორვეგიაში, დანიაში, შვეიცარიაში, საბერძნეთში, კვიპროსსა და ესტონეთში, ასევე რიგ ქვეყნებში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა ისევ ინარჩუნებს მნიშვნელოვან სტატუს, სახელმწიფოებისთვის სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად.

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, 2017 წელს არჩეული საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუილ მაკრონის საპრეზიდენტო კამპანიის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენდა ქვეყანაში ეროვნული სავალდებული სამსახურის აღდგენა, რომელიც გაუქმდა 90-იან წლებში ჟაკ შირაკის მმართველობის პერიოდში. მისი თქმით აღნიშნულ სამსახურს გააჩნდა ახალგაზრდების აღმზრდელობითი, დისციპლინირებისა და შრომისმოყვარეობის უნარის გამომუშავების ეფექტი [11].

ნატოს სამხედრო ბლოკის ქვეყნებიდან, რომელსაც ასევე განეკუთვნება საფრანგეთი, უმეტეს ქვეყნებში სავალდებულო სამსახურში გაწვევის ტრადიცია და პრაქტიკა შენარჩუნებულია. დანიაში სავალდებულო ოთხთვიან სამხედრო სამსახურს გადის ყველა სრულწლოვანი მამაკაცი, რომელიც სამედიცინო მონაცემებით ვარგისია მსახურისათვის. ნორვეგიაში, ჯარში სამსახურს გადის ყველა მოქალაქე 19 წლის ასაკიდან, მიუხედავად სქესისა. ესტონეთში ყველა მამაკაცი 18-28 წლის ასკის ექვემდებარება სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას 11 თვის ვადით. საბერძნეთში მამაკაცები სავალდებულო სამსახურს გადიან 19-დან 45 წლის ასაკამდე პერიოდში. 2016 წელს სავალდებულო

სამსახური აღადგინეს ლიეტუვაში, რომელიც გაუქმებული იყო 2008 წლიდან. 2017 წელს სამხედრო გაწვევა განაახლა ნატოს არაწევრმა ქვეყანამ შვედეთმა, რომელმაც მიზნად დაისახა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, მას შემდეგ რაც რუსული აგრესიის საფუძველზე უკრაინაში აღმოცენდა კონფლიქტის კერები. თუმცა ევროპის კონტინენტზე არის ქვეყნები, კერძოდ ავსტრია და შვეიცარია, სადაც სავალდებულო გაწვევის გაუქმებასთან დაკავშირებით 2013 წელს გამართეს რეფერენდუმი, რა დროსაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა მისი მოქმედების შერაჩუნებას [10].

2013 წელს ნორვეგიის პარლამენტმა, რომლის 40%-საც ქალები შეადგენენ, მხარი დაუჭირა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ქალების გაწვევას. ნორვეგია აღმოჩნდა პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც მოიწონა და დანერგა ებრაული მოდელი სავალდებულო სამსახურში გაწვევის. რამდენიმე წლის წინ სავალდებულო გახდა ქალების გაწვევა ჩრდილოეთ კორეასა და ბოლივიაშიც. შვედეთის მთავრობამ ნორვეგიის მსგავსად 2018 წელს მიიღო გადაწყვეტილება, სავალდებულო სამსახურის გასავლელად მამაკაცებთან ერთად ქალების გაწვევის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა „შეჩერებულია“, ანუ 1973 წლიდან აღარ ხდება გაწვევა, 18-25 წლის მამაკაცებს იქ არსებული კანონი ავალდებულებს რეგისტრაცია გაიარონ ფედერალურ სააგენტოში, რათა სამხედრო საჭიროების შემთხვევაში მარტივად მოხდეს მათი მობილიზება. რაც შეეხება გერმანიას, სადაც 2011 წლიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ამერიკის მსგავსად შეჩერებულია, ქვეყნის კონსტიტუციის მე-12ა მუხლის შესაბამისად, სავალდებულო სამხედრო სამსახური კვლავ რჩება სავალდებულო ნორმად საომარი ან სხვა კრიტიკული მდგომარეობის შემთხვევებში [11].

და ბოლოს, ვთვლი, რომ შევეცადე, მკაფიოდ წარმომედგინა დღეს არსებული მდგომარეობა სამხედრო სავალდებული სამსახურთან მიმართებაში. სახელმწიფომ უნდა შეძლოს და გაუქარწყლოს ახალგაზრდებს ჯარის მიმართ არსებული არასახარბიელო დამოკიდებულება, აღნიშნული კი უნდა განხორციელედეს საქმიანი სტრატეგიული კომუნიკაციის წარმოებით, პრივილეგიების დაწესებით, საფრთხეების გონივრული და დროული შეფასებითა და ცნობიერების ამაღლებით. ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდის ხარჯზე, უნდა დაიძლიოს ის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც გააჩნია მოსახლეობას სამხედრო სამსახურის ამ კონკრეტული ფორმის მიმართ.

## გამოყენებული ლიტერატურა.


1. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017–2020 წწ.-ის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/document/view/3646114?publication=0
2. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1555410?publication=0
3. სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ https://matsne.gov.ge/document/view/31780?publication=75
4. სტუდენტების მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემთხვევაში პრივილეგიების მინიჭების შესახებ https://matsne.gov.ge/document/view/2304512?publication=0
5. სტუდენტების მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემთხვევაში პრივილეგიების მინიჭების შესახებ https://matsne.gov.ge/document/view/1745812?publication=0
6. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ https://matsne.gov.ge/document/view/13834?publication=8
7. Штереншис, М., ЦАХАЛ. АРМИЯ ОБОРОНЫ ИЗРАИЛЯ, изд. Isradon, 2005 г. Израиль;
8. ильштейн, У., РАБИН–ПАЛЬМАХ–ЦАХАЛ, изд. Алия, 1995 г. Москва;
9. Зачем Израильская армия набирает аутистов, 01.02.2016 г. https://inosmi.ru/military/20160201/235235068.html
10. Глазунов,Н. Масленников Е. Войска капиталистических государств (участников Североатлантического союза) изд.Воениздат, 2018 г.
11. Обязательная служба, https://www.gazeta.ru/army/2018/03/03/11670205.shtml?updated

# ძირითადი გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე


ნიკა ჩიტაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობები/პოლიტიკა / მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი ქავთარაძე
ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტი / მაგისტრანტი



### აბსტრაქტი

ნაშრომში ძირითადი ყურადღება ექცევა ერთის მხრივ იმ მთავარ გამოწვევებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც არსებობს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე და უკავშირდება დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტეს, ქვეყანაში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, საქართველოს გლობალურ პროცესებში ინტეგრაციის დონეს და ა.შ.

მეორეს მხრივ, გაანალიზებულია ის პერსპექტივები, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაციის პროცესს, კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორებიც გახლავთ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, ვაჭრობის მოცულობის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებთან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამხედრო თანამშრომლობა, მოსახლეობის უმრავლესობის დადებითი განწყობა ევროკავშირის მიმართ და ა.შ.


# MAIN CHALLENGES AND PERSPECTIVES ON THE WAY OF GEORGIA'S INTEGRATION INTO EUROPEAN STRUCTURES


NIKA CHITADZE
International Black Sea University
International Relations/Politics / Ph.D. in Geography

GIORGI KAVTARADZE
The George Washington University
International Relations/Politics / Mastermind



### ABSTRACT

In the research paper, the main attention is paid to the basic challenges and obstacles that are on the way of integration into the European structures by Georgia and are connected with the weaknesses of democratic institutions, the socio-economic development in the country, the level of integration of Georgia to the global processes and so on.

On the other hand, there are analyzed the prospects of the further integration of Georgia to the European structures, particularly, there are discussed such factors as the country's geopolitical location, increasing the trade volume with the EU countries, the EU-Georgia military cooperation, a positive attitude towards the European Union by the majority of population of Georgia etc.

## შესავალი

როგორც ცნობილია, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია დამოუკიდებელი საქართველოს მთავარ პრიორიტეტს და სუვერენულ არჩევანს წარმოადგენს. ევროპულ სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაცია ქვეყანას მისცემს საშუალებას გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტები და უზრუნველყოს საქართველოს შემდგომი სოციალ-ეკონომიკური განვითარება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ ხელშეკრულება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მრავალ სფეროს მოიცავს. შეთანხმება აყალიბებს იმ შესაბამის მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლება, თავისუფალი ვაჭრობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა. საქართველოსთვის ამ შეთანხმების განსახორციელება მარტივ ამოცანას არ წარმოადგენს, რადგან ის საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივ ჰარმონიზაციას გულისხმობს და აღნიშნული ეტაპის ფარგლებში კონკრეტულ კრიტერიუმებს განსაზღვრავს (გოლეთიანი, 2015).

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი გამოხატავს მზადყოფნას, დაეხმაროს ქვეყანას ტრანსფორმაციის პროცესში, საქართველოს ხელისუფლების და საზოგადოების მოვალეობაა, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა შეასრულოს შესაბამისი ვალდებულებები. აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს კანონის უზენაესობის, დემოკრატიული რეფორმებისა და ადამიანის უფლებების დაცვის, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზების პრინციპებს, საქართედლოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის ზრდას, რაც მის ევროპის 600-მილიონიან ბაზარზე ექსპორტის მოცულობის ზრდას უზრუნველყოფს.

ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ მტკივნეულ სფეროს სასამართლო სისტემა წარმოადგენს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრების პროცესს. ამავდროულად, ნებისმიერი რეფორმა, რომელიც გავლენას მოახდენს სასამართლოს სისტემის ფუნქციონირებაზე, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში უნდა მომზადდეს. (გოლეთიანი, 2015).

ამავე დროს, სასამართლო სისტემის ძირითადი პრინციპების განხილვისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის წარმოებული მოლაპარაკებების დღის წესრიგში ყოველთვის დგას შერჩევით სამართალთან დაკავშირებული საკითხები (გოლეთიანი, 2015).

გარდა ამისა, ძლიერი ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ხელისუფლების საქმიანობის დაბალანსების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს წარმოადგენს.

ევროპული საზოგადოება საქართველოს ერთ-ერთი მთავარი წარმატების გარანტად ინფორმაციის თავისუფლებას - განსაკუთრებით თავისუფალი მედიის ფუნქციონირებას განიხილავს.

**საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე არსებული ძირითადი დაბრკოლებები:**

ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების გზაზე მიმდინარე დისკუსიის ფარგლებში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ შიდა თუ საგარეო ფაქტორებზე, რომლებიც მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენენ ქვეყნის ევროპულ სტრუცტურებში ინტეგრაციის გზაზე, კერძოდ:

**დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე** - მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი პირველ რიგში ეკონომიკური მიმართულების ორგანიზაციას წარმოადგენს, იგი გახლავთ ის საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში დემოკრატიულ ქვეყნებს აერთიანებს - ევროკავშირი წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოების თანამეგობრობას, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების, სამართლებრივ კულტურულ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია აღინიშნოს, რომ დემოკრატიის სტანდარტების განსაზღვრის საკითხებში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის, Freedom House - ის ანგარიშის თანახმად, 2018 წლის ანგარიშის მიხევით, 7-ბალიანი სისტემის ფარგლებში (უმაღლესი მაჩვენებელი 1 ქულა, ყველაზე დაბალი - 7 ქულა) საქართველოში თავისუფლების ხარისხი 4,68 ქულით განისაზღვრება. აღნიშნული პარამეტრით ქვეყანა შედის ნაწილობრივ თავისუფალი - და არა სრულად თავისუფალი ქვეყნების ჩამონათვალში.

სხვადასხვა სტანდარტების მიხედვით, რომლებიც ქვეყანაში დემოკრატიის დონის განსაზღვრავს, 2009-2018 წლის განმავლობაში „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი ცხრილი მივიღოთ (Freedom House, 2018):

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დემოკრატიული მმართველობა | 6.00 | 6.00 | 5.75 | 5.75 | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.50 | **5.50** |
| საარჩევნო პროცესი | 5.25 | 5.25 | 5.00 | 5.00 | 4.75 | 4.50 | 4.50 | 4.50 | 4.50 | **4.50** |
| სამოქალაქო საზოგადოება | 3.75 | 3.75 | 3.75 | 3.75 | 3.75 | 3.75 | 3.75 | 3.75 | 3.75 | **3.75** |
| დამოუკიდებელი მედია | 4.25 | 4.25 | 4.25 | 4.25 | 4.25 | 4.00 | 4.00 | 4.00 | 4.00 | **4.25** |
| ადგილობრივი თვითმმართველობა | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.25 | 5.25 | 5.25 | **5.25** |
| სასამართლოს დამოუკიდებლობა | 4.75 | 4.75 | 5.00 | 5.00 | 5.00 | 5.00 | 5.00 | 4.75 | 4.75 | **5.00** |
| კორუფცია | 5.00 | 5.00 | 4.75 | 4.50 | 4.50 | 4.50 | 4.50 | 4.50 | 4.50 | **4.50** |
| **დემოკრატიის საერთო დონე** | **4.93** | **4.93** | **4.86** | **4.82** | **4.75** | **4.68** | **4.64** | **4.61** | **4.61** | **4.68** |

საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით

Human Development Index - ის თანახმად, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში 30-ზე მეტი კატეგორიის მიხედვით სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიის, განათლებისა და სამედიცინო უზრუნველყოფის დონეს განსაზღვრავს, 2017 წლის მონაცემებით საქართველო მსოფლიოში, 0, 780 ქულით 70-ე ადგილს იკავებდა (HDI, 2017).

საქართველოს ადგილი გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით

გლობალურ პროცესში კონკრეტული ქვეყნის ჩართულობის ხარისხს გლობალიზაციის ინდექსი განსაზღვრავს. ამ პარამეტრების მიხედვით საქართველო 2018 წელს შემდეგ ადგილებს იკავებდა: 64.13 ქულით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას შორის საქართველო 65-ე ადგილზე იმყოფებოდა, მათ შორის: ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით - მე -19 ადგილზეა 83.01 ქულით; სოციალური პარამეტრების მიხედვით 57.44 ქულით 70-ე ადგილზე; პოლიტიკური ჩართულობის მიხედვით - 146-ე ადგილზე (გლობალიზაციის ინდექსი, 2018)

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გაძლიერების გზაზე განხოციელებული რეფორმების მიუხედავად, 2017 წლის მდგომარეობით, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 4 290.17 აშშ დოლარის ფარგლებში განისაზღვრა. რაც ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიო მშპ-ის 34 პროცენტს წარმოადგენს (Trading Economics, 2017).

საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის დადებითი (ძლიერი) მხარეები

გეოპოლიტიკური და გეო-ეკონომიკური მდებარეობა: საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. ქვეყანას ევროპის - კავკასია - აზიის სატრანსპორტო მონაკვეთის ფარგლებში გამოკვეთილი ადგილი უკავია. შესაბამისად, იგი მნიშვნელოვან ენერგეტიკულ და სატრანსპორტო დერეფანს (TRACECA), ასევე ევროპასა და აზიას შორის უმოკლეს სატრანზიტო ხაზს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, იგი “დიდი აბრეშუმის გზის” ფუნქციონირების პროცესში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს.

სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტები: საქართველო ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს კასპიის ზღვის და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან დასავლეთის მიმართულებით ენერგორესურსების ალტერნატიული მარშრუტების (რუსეთის გვერდის ავლით) მეშვეობით ტრანსპორტირების საქმეში. მაგალითად, საქართველოს შავი ზღვის პორტები (ფოთის ნავსადგურში ტვირთბრუნვა წელიწადში დაახლოებით 6-8 მილიონი ტონას შეადგენს ხოლო და ანაკლიის პორტის მომავალი სიმძლავრე დაახლოებით 40 მილიონი ტონა იქნება (დანელია, 2016).

ენერგეტიკული პროექტებიდან აღსანიშნავია ბაქო-სუფსის (გამტანუნარიანობა წელიწადში 5 მილიონი ტონა ნავთობი) და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (გამტანუნარიანობა წელიწადში 50 მილიონი ტონა ნავთობი) ნავთობსადენები და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი (გამტანუნარიანობა 8 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი). მნიშვნელოვანია აღინოშნოს მომავალში განსახოერციელებელი პერსპექტიული პროექტები, მათ შორის TANAP - ის (Treansanatolian Pipeline Project) პროექტი, რომლის ფარგლებშიც ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებამ წელიწადში შესაძლოა 16-დან 32 მილიარდ კუბურ მეტრამდე მიაღწიოს (Chitadze, 2015, 7) ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, როგორც TANAP-ის, ასევე TAP (Trans – Adriatic pipeline) (ეს უკანასკნელი TANAP-ის გაგრძელებას წარმოადგენს და თურქეთის ტერიტორიიდან სამხრეთ ევროპის მიმართულებით დაახლოებით 10 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს) და სხვადასხვა სატრანსპორტო პროექტები ხელს შეუწყობენ საქართველოს შემდგომ ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, რაშიც გადამწყვეტი როლი დასავლეთის ქვეყნების მხრიდან საქართველოსადმი გეოპოლიტიკური ინტერესის მოსალოდნელ გაზრდას ენიჭება. კერძოდ, ევროპული სახელმწიფოები, პირველ რიგში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო დაინტერესებულნი იქნებიან საქართველოს გავლით როგორც გაზის, ასევე და სხვადასხვა სახის საქონლის ტრანსპორტირების პროცესში, რაც გაზრდის პირველ რიგში ევროპის ინტერესს საქართველოში სტაბილურობის დამყარების საქმეში და გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მიმართულებით. ენერგეტიკულ პროექტებთან ერთად საქართველო აქტიურადაა ჩართული ისეთ მნიშვნელოვან სატრანსპორტო პროექტში, როგორიც გახლავთ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი. ინიციატივა მიზნად ისახავს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიებზე ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას. ამავდროულად, რკინიგზის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომი ეტაპი იქნება ჩინეთის, ცენტრალური

აზიის, კავკასიისა და ევროპის რკინიგზის სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება. მაგალითად, 2015 წლის ბოლოს, საცდელი მატარებელი სამხრეთ კორეიდან სტამბულში 15 დღეში ჩავიდა. რკინიგზის ამოქმედების პირველ ეტაპზე დაგეგმილია წელიწადში დაახლოებით 6.5 მილიონი ტონის მოცულობის ტვირთების ტრანსპორტირება, მეორე ეტაპი კი ტვირთების მოცულობის გაზრდას 17 მლნ ტონამდე ითვალისწინებს (Chitadze, 2015, 12).

**საქართველოს წვლილი ევროკავშირთან ურთიერთობებში თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში საქართველომ ჯერ კიდევ 2015 წელს აიღო პასუხისმგებლობა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში პირველ ეტაპზე 150 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნის შესახებ. საერთო ჯამში, დაახლოებით 800-1000 ქართველი სამხედრო მოსამსახურე განახორციელებს საკუთარ მისიას ევროკავშირის მიერ სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების ფარგლებში, რომელმაც აფრიკის კავშირის დაახლოებით 6000 სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად ერთობლივ სამშვიდობო ოპერაციის განახორციელება დაიწყო (Chitadze, 2015, 10). ცენტრალურ აფრიკაში ჯარის გაგზავნის გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა პრაქტიკულად კონსენსუსის პრინციპით დაამტკიცა. გარდა ამისა, ევროკავშირის ეგიდით სამხედრო მომზადების ფარგლებში, რამდენიმე ქარტველი ოფიცერი აფრიკის მეორე ქვეყანაში - მალიში იქნა მივლინებული.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ევროკავშირის როლი : 2018 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 12 484.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებს 17.0% -ით აღემატება. იმპორტი 14.9% -ით გაიზარდა და 9 122.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და ხოლო ექსპორტი 22,9%-ით გაიზარდა და 3 362.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მნიშვნელოვანია ევროკავშირში ექსპორტის მოცულობის გაზრდა. 2018 წელს ექსპორტი გაიზარდა 11,5% - ით, შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე 730.3 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ქართული პროდუქცია იქნა რეალიზებული. ამავდროულად აუცილებელია აღინიშნოს, რომ ევროკავშირზე მოდის საქართველოს ექსპორტის 21.7%, ხოლო დსთ-ს წევრი ქვეყნების წილი 49,9% -ია. იმპორტის შემთხვევაში ევროკავშირის წილი 28,8%-ია, ხოლო დსთ-ს ქვეყნების წილი 29,6%-ს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019).

**ეკონომიკური თავისუფლება და კორუფციის აღთქმის ინდექსი**

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, კვლევის თანახმად, რომელიც ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ “Heritage Foundation” - მა განახორციელა, 2018 წელს საქართველომ თავისი პოზიცია გააუმჯობესა და “ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის” ფარგლებში, 68.6 ქულით მსოფლიოს ქვეყნებს შორის მე - 16, ხოლო ევროპის ქვეყნებს შორის მე - 8 ადგილი უკავია (Heritage Foundation, 2018). ამავე დროს, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ წარმოდგენილი მასალის - კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო 57 ქულით 44-ე ადგილზეა (CPI, 2018).

**საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები**

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველო უკრაინასთან ერთად პრაქტიკულად ერთადერთი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით), რომელიც ღიად აფიქსირებს თავის ძირითად მიზანს, განახორციელოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში მაქსიმალური ინტეგრაცია. დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის (როგორც ზემოთ აღინიშნა) მიუხედავად, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობასთან შედარებით (პირველ რიგში რუსეთისგან განსხვავებით) - რომლებიც „ფრიდომ ჰაუსის“ მონაცემების მიხედვით არათავისუფალი ქვეყნებში რიგებში არიან შეყვანილნი, საქართველო ნაწილობრივ თავისუფალ სახელმწიფოს წარმოადგენს. საქართველოს მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, ასევე ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით, შეგვიძლია განვაცხადოთ რომ საქართველო ევროპის შემადგენელ ნაწილია. აქედან გამომდინარე, ევროპულ და ევროატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სისტემებში ინტეგრაცია

ქართველი ხალხის მტკიცე ნებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განვიხილოთ იმ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის განწყობას ასახავს.

ევროკავშირის ინტეგრაციის საზოგადოებრივი მხარდაჭერა: 2019 წლის იანვარში ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 83% მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, როდესაც გამოკითხულთა 78% მხარს უჭერს ნატოს წევრობას. აშკარაა, რომ 2013 წლის შემდეგ ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანების მხარდამჭერთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა (ქართული ჟურნალი, 2019). საინტერესოა იმის ხაზგასმა, რომ 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ევროკავშირში გაწევრიანების მოსურნეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ ის კვლავ გაიზარდა ევროკავშირის მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ.

## დასკვნა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება არ იყო მარტივი პროცესი, თუმცა, ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველომ შეძლო ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან, რამაც ქვეყანა ევროპულ სტრუქტურებთან კიდევ უფრო დაახლოვა. მაგრამ პროგრესის მიუხედავად, მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების გათვალისწინება, რომელთა წინაშეც დღევანდელ ეტაპზე დგას საქართველო და რომელთა დაძლევაც სახელმწიფოსთვის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივების ფარგლებში ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს. ამდენად, ევროპული ინტეგრაციის პროცესი გრძელი გზაა, ხოლო თუ როგორ იქნება ქვეყანა წარმატებული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, დამოკიდებული იქნება სახელმწიფოს - ზოგადად ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ ევროკავშირთან დაახლოების გზაზე შემდგომი პოლიტიკის შემუშავებაზე და მის წარმატებულ განხორციელებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა.


1. დანელია, ირაკლი, ანაკლიის პორტი და მისი პერსპექტივები. ფორბსი. 18 აპრილი, 2016. მასალა გამოყენებულია შემდეგი ვებ-გვერდიდან: https://forbes.ge/news/1309/anakliis-porti-da-misi-perspeq-tivebi

2. Chitadze, Nika (2015). Main aspects of the Georgia`s Energy Policy and Energy Independence. Journal of Social Sciences. International Black Sea University. Volume 4. Issue 2. Tbilisi, Georgia. pp. 23-32. Retrieved from: file:///C:/Users/n.chitadze/Downloads/730-2410-1-PB%20(1).pdf

3. Chitadze, Nika. EU-Georgia Cooperation in the field of Defense and Security. 10th International Silk Road Conference on EU Association Agreement: Perspectives and Challenges. PROCEEDINGS. International Black Sea University. Tbilisi, Georgia. May 22-23, 2015. Pp. 37-47

4. Georgian Journal (2019). 83% of Georgians support integration into the NATO, 78% into the EU – NDI. Retrieved from: https://www.georgianjournal.ge/politics/35499-83-of-georgians-support-integra-tion-into-the-nato-78-into-the-eu--ndi.html

5. GHN (2014). Georgia to participate in EU’s peacekeeping operation in Central Africa Republic. Re-trieved from: http://eng.ghn.ge/news-7480.html

6. Gogolashvili, K. (2017). Georgia-EU Relations and Future Perspectives. Tbilisi: Georgian Center for Security and Development (GCSD) .

7. Goletiani, T. (2015). Georgia’s progress and challenges on the path to the EU . Tbilisi: The Georgian Institute for Strategic Studies.

8. Havlik, P., & Adarov, A. (2017). Challenges of DCFTAs: How can Georgia, Moldova and Ukraine succeed? Vienna: The Bertelsmann Stiftung.

9. Freedom House (2019). Georgia in 2018. Retrieved from: https://freedomhouse.org/country/Georgia

10. KOF (2017). Index of Globalization. Retrieved from: https://www.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/dual/kof-dam/documents/Globalization/rankings_2017.pdf

11. M2B (2019). The number of supporters of EU membership increased (In Georgian). Retrieved from: https://m2b.ge/post/244478-natosa-da-evrokavsirsi-gawevrianebis-momxreta-ricxvi-gaizarda

12. National Statistics Office of Georgia (2019). External Trade. Retrieved from: http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=134&lang=eng

13. The Heritage Foundation, 2018. Index of Economic Freedom Retrieved from: https://www.heritage.org/international-economies/commentary/2018-index-economic-freedom

14. Trading Economics (2017). Georgia GDP per capita. Retrieved from: https://tradingeconomics.com/georgia/gdp-per-capita

15. Transparency International (2018). Corruption Perception Index 2018. Retrieved from: https://www.transparency.org/cpi2018

16. United Nations Development Program (2018). Human Development Reports. Retrieved from http://hdr.undp.org/en/content/human-development-index-hdi

# ევროპულ-ქართული სამხედრო ურთიერთობის გავლენა ახალი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე


**გვანცა მღვდელაძე**

**ივ. ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დოქტორანტი**



**აბსტრაქტი**

ისტორიულად, საქართველო ყოველთვის მიილტვოდა ევროპასთან სიახლოვისკენ და ამის ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება. 2003 წლიდან საქართველომ ოფიციალურად აღიარა, რომ სურს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანება და ქვეყნის პოლიტიკა ამ მიმართულებით წარიმართა. საქართველო და ევროპა უფრო მეტად დაუახლოვდა ერთმანეთს არამარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური, კულტურული და საზოგადოებრივი თვალსაზრისით. საქართველოში სამხედრო განათლება და წვრთნები ნატო-ს სტანდარტებით ხორციელდება და ჩვენი ქვეყნის მრავალი ჯარისკაცი აქტიურად არის ჩართული ნატო-ს საერთაშორისო მისიებში. ამან მოითხოვა და განაპირობა სათანადო ლიტერატურის არსებობა და, შესაბამისად, დოქტრინის შექმნა. რუსული სამხედრო ლიტერატურიდან ინგლისურენოვან ლიტერატურაზე გადასვლამ ბევრი სირთულე წარმოშვა, განსაკუთრებით ახალი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის თვალსაზრისით. საჭირო გახდა ბევრი ახალი ტერმინის გადმოღება, ადაპტაცია, გადმოქართულება და დამკვიდრება. ეს პროცესი იმდენად დაჩქარებულად მიმდინარეობს, რომ არ რჩება დრო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის და ტერმინოლოგიის სიღრმისეულად შესწავლისთვის. ამის გამო ბევრი ტერმინი არასწორად არის დამკვიდრებული ან პირიქით, უჭირს დამკვიდრება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ტერმინოლოგიის კვლევა და თანამშრომლობა სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან.


# THE IMPACT OF EUROPE-GEORGIA MILITARY RELATIONS ON THE ESTABLISHMENT OF A NEW GEORGIAN MILITARY TERMINOLOGY


GVANTSA MGHVDELADZE

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctoral student**



ABSTRACT

Historically, Georgia has always been striving to get closer to Europe and we may name plenty examples of this. Since 2003, Georgia has officially acknowledged the desire of joining the North Atlantic Treaty Organization (NATO) and the state policy went this direction. Georgia and Europe have come closer to each other not only in military but also in political, cultural and public viewpoints. Military education and training in Georgia is conducted in accordance with NATO standards and many soldiers of our country are actively involved in NATO international missions. This demanded and led to the existence of appropriate literature and, therefore, the creation of doctrine. The transition from Russian to English military literature created many difficulties, especially in terms of the new Georgian military terminology. It was necessary to introduce, adapt, translate and establish many new terms. This process is so rapid that there is no time for scientific-research activities and in-depth study of terminology. That is why, many terms are incorrectly established or contradictory, the process is complicated. To solve this problem, it is necessary to research the terminology and cooperate with the state language department.

## შესავალი

სხვადასხვა ეპოქაში საქართველო ყოველთვის განიცდიდა სხვა ქვეყნების გავლენას, რაც განპირობებული იყო ქვეყნის შიდა თუ საგარეო პოლიტიკით. საქართველოს სურვილს - ახლო ურთიერთობა ჰქონოდა ევროპასთან - ეწინააღმდეგებოდნენ და ხელს უშლიდნენ შიდა თუ გარე ძალები. თანამედროვე ეპოქაში ისტორიულ ფაქტად იქცა 1999 წლის 27 იანვარს ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომაზე საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას გამოსვლა, სადაც მან განაცხადა: ,,მე ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელი“. ,,ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კიდევ უფრო დაუახლოვდა საქართველო ევროპას. ევროპულ-ქართული სამხედრო ურთიერთობის გაღრმავებამ ახალი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის შექმნა მოითხოვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია თავდაცვის სამინისტროში 2003 წელს შექმნილი დოქტრინების განვითარების სამმართველო (2015 წლიდან დოქტრინების განვითარების ცენტრი). სამწუხაროდ, სათარგმნი და დასამუშავებელი სახელმძღვანელოების სიმრავლის გამო ვერ ხერხდება ამ მასალის საფუძვლიანი კვლევა. ერთბაშად უამრავი ახალი ტერმინის შემოდინება უკონტროლოა, რაც იწვევს ბევრი მათგანის არასწორად დამკვიდრებას. ეს კი საფრთხეს უქმნის ჩვენს ენას და არღვევს ნორმალიზაციის წესებს.

ნაშრომის მცირე მასშტაბის გამო შეუძლებელია ამ ტერმინთა სათითაოდ განხილვა, ამიტომ განხილული იქნება მხოლოდ ერთი სადაო ტერმინი და მიმოხილული იქნება ვითარება.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი: საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის შესწავლა და ინტერვიუები დოქტრინების განვითარების ცენტრის უფროსსა (კახაბერ ჭაფოძე) და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შეფასების ცენტრის თანამშრომელთან (თამაზ გეგელია).

## ევროპულ-ქართული სამხედრო ურთიერთობა და ახალი ქართული სამხედრო ტერმინოლოგია

საქართველოსა და ნატო-ს დაახლოების შემდეგ აუცილებელი გახდა ბევრი ინგლისურენოვანი სამხედრო ლიტერატურის თარგმნა. ეს ლიტერატურა არის ყველა მიმართულებისა და ყველა დონის სამხედრო მოსამსახურეებისთვის, ასევე იმ ახალი ტექნიკის შესახებ, რომლითაც ანაცვლებენ ძველ, საბჭოთა კავშირის დროინდელ ტექნიკასა და აღჭურვილობას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დოქტრინების განვითარების ცენტრს 2017 წელს დაემატა ფრანგულენოვანი მთარგმნელი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მჭიდრო ურთიერთობას ევროპასთან.

ცენტრში ითარგმნება სამხედრო ლიტერატურა, სტილისტურად სწორდება და კაბადონდება. ცენტრში არიან სამხედრო კონსულტანტები, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა დოქტრინას და ჩართულნი არიან ლიტერატურის თარგმნისა და ადაპტირების პროცესში. ცენტრის ხელმძღვანელობის სურვილის მიუხედავად, ვერ ხერხდება ახალ ტერმინოლოგიაზე სიღრმისეული მუშაობა, რადგან ხშირად წიგნის გამოცემის ვადები შეზღუდულია. ამის შედეგად ბევრი ტერმინი არის ქაოტურად შემოსული და ხშირად არასწორი ფორმით დამკვირდებული და სადაო (მაგ., ინფილტრაცია, ექსფილტრაცია, არაკომბატანტი, მილიტარული, პარამილიტარული და სხვ.), ზოგი ტერმინი მოძველებულია და საჭიროებს ცვლილებას/განახლებას (მაგ. დაჭილიბყურება, ჭილიბყურა), ზოგი ტერმინი არ მიესადაგება ჩვენს რეალობას და სჭირდება ადაპტაცია (მაგ. არმია, კორპუსი, პოლკი) და სხვ.

თავდაცვის ძალებში ერთ-ერთი სადაო ტერმინია ,,ლიდერი“ (leader). ეს არის ინგლისური სიტყვა და ითარგმნება, როგორც წინამძღოლი, ხელმძღვანელი. 1986 წელს გამოცემულ ,,ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (არნ.ჩიქობავას რედაქციით, ერთტომეული) ლიდერის განმარტება მხოლოდ ორ კონტექსტშია მოცემული: 1. პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივ-პროფესიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 2. რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული პირი ან გუნდი. მას შემდეგ ამ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა და დღეს თითქმის ყველა სფეროში აქტიურად გამოიყენება. მიუხედავად ამისა, სამხედრო სფეროში გაჭირდა ტერმინის დამკვიდრება. თანამედროვე ,,ქართულ სამხედრო

ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ (2017) საერთოდ არ არის ტერმინი ,,ლიდერი“. სამხედრო ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (თინა მარგალიტაძის რედაქციით) ორგვარად არის ნათარგმნი leader: 1. ლიდერი (მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით. მაგ.: პოლიტიკური ლიდერი). 2. მეთაური, ხელმძღვანელი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სახელმძღვანელოში სხვადასხვა სიტყვით არის გამოყენებული ეს ტერმინი. მაგალითად, ,,სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადებისა და შეფასების პროგრამაში“, რომელიც არის სხვადასხვა მიმართულებისა და დონისთვის გათვლილი და გაერთიანებულია რამდენიმე მსხვილტანიანი წიგნი, ამერიკულ წიგნებში მოცემული ,,leader“ ჩაანაცვლეს ტერმინით ,,მეთაური“ ან ,,ხელმძღვანელი“. რეალურად, ოცეულის დონეზე შეიძლება დაემთხვეს ლიდერისა და მეთაურის ფუნქცია-მოვალეობები, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე ეს შეუძლებელია. ზოგ შემთხვევაში, ლიდერის ფუნქციას ითავსებს სერჟანტი და ვერ დავწერთ მასზე ვერც ,,მეთაურს“ და ვერც ,,ხელმძღვანელს“. შესაბამისად, არასწორია ამ ტერმინის თარგმნა, როგორც ,,მეთაური/ხელმძღვანელი“ ან თუნდაც ,,სერჟანტი“, რადგან მეთაური არის თანამდებობა, სერჟანტი - წოდება, ლიდერი კი არის სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ავტორიტეტული პირი. ეს ტერმინი თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთ უწყებაში უკვე მიღებულია. როგორც ცნობილია, ახლა თავდაცვის ძალებში ინერგება მართვის ახალი მეთოდი, რომელიც ,,ამოცანით მართვის“ სახელით არის ცნობილი. ეს არის დეცენტრალიზებული მართვის მეთოდი და განსაკუთრებული როლი აკისრია სწორედ ლიდერს. მეთაური თავის ქვედანაყოფში ქმნის მცირე ჯგუფს და მასში ნიშნავს ლიდერს. შესაბამისად, უკვე აღარ გამოდის ამ ტერმინის გვერდის ავლა და სხვა ტერმინით ჩანაცვლება, ამიტომ ამ მიმართულების სახელმძღვანელოებში უკვე გამოიყენება ტერმინი ,,ლიდერი“. ეროვნული თავდაცვის აკადემიაში იუნკერთა შეფასების სქემაში, რის მიხედვითად გამოჰყავთ კოეფიციენტი, 2014 წელს დაამატეს კომპონენტი - ლიდერობის უნარის დაუფლება და ამ კომპონენტშიც ფასდებიან იუნკრები. საბოლოოდ, ტენდენცია ისეთია, რომ ტერმინის გამოყენების არეალი გაფართოვდება და ყველა უწყება და მიმართულება გამოიყენებს მას.

ტერმინოლოგია ამდიდრებს ენას და ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ ყოველთვის გახსნილი იყო, თუმცა ამის გამო ბევრჯერ დამდგარა ენა გადაგვარების გზაზე. ეს პროცესი არაერთხელ შეუჩერებიათ და დაურეგულირებიათ ჩვენს წინაპრებს.

ტერმინოლოგიის შედგენისა და გადმოტანის პრინციპები დეტალურად აქვს განხილული ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს, როგნედა ღამბაშიძეს ნაშრომში ,,ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“. ნაშრომში განხილულია მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებები ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. თუკი ნაწილი თვლის, რომ ტერმინოლოგია შეიძლება იყოს ორგვარი: ა) სპეციალური ტერმინოლოგია, რომელსაც აქვს ხმარების თავისი სფერო და რომელსაც იცნობენ მხოლოდ სპეციალისტები, და ბ) ენის ყველა მატარებლისათვის ცნობილი საერთო სახმარებელი ტერმინოლოგია (ღამბაშიძე,რ. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, ,,მეცნიერება“, 1986. გვ. 58), მეორე ნაწილი ამას ეწინააღმდეგება და მიაჩნია, რომ ტერმინოლოგია უფრო ზოგად ხასიათს უნდა ატარებდეს. თავად რ. ღამბაშიძე ,,გაუფერულებულს“ უწოდებს ტერმინოლოგიის როლს იმ შემთხვევაში, როდესაც ტერმინი გამოიყენება, როგორც დამოუკიდებელი და გარკვეული სისტემის მქონე ერთეული და ის დაყვანილია სპეციალისტთა პრაქტიკულ, კონსტრუქციულ საქმიანობამდე ((ღამბაშიძე,რ. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, ,,მეცნიერება“, 1986. გვ.62). ანუ, ტერმინოლოგია ფასს კარგავს, თუ ის მხოლოდ ვიწრო სპეციალობის ფარგლებში გამოიყენება.

სამწუხაროდ ძალიან გვიან, 2017 წელს შეიქმნა ოფიციალურად სახელმწიფო ენის დეპარტამენტი და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ,,ქრონიკა+“-თან ერთ-ერთ ინტერვიუში თეიმურაზ ღვინჯილია დეტალურად მიმოიხილავს იმ სირთულეებსა და თავგამოდებულ ბრძოლას, რაც თან ახლდა ,,სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის მიღებას. კანონში ვკითხულობთ: სახელმწიფო ენის დეპარტამენტი არის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა. იგი არის სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვისა და პოპულარიზაციის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და სპეციალურ ტერმინთა დადგენისა და დამკვიდრების უზრუნველმყოფი და სახელმწიფო ენის ერთიანი პოლიტიკის

განმახორციელებელი ორგანო“ (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მუხლი 3. ე). სწორედ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა ,,ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტის დამტკიცება, ასევე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის რეკომენდაციების მიცემა ენის გამოყენების სფეროში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. მუხლი 36. დ,ე,ვ). სახელმწიფო ენის დეპარტამენტი იცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს და ამ მიმართულებით მასთან თანამშრომლობა წინ და სწორად გადადგმული ნაბიჯი იქნება ახალი ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის დამკვიდრების საკითხში.

## დასკვნა

ევროპისა და საქართველოს მჭიდრო ურთიერთობის შედეგად მრავალ სფეროში (პოლიტიკა, ტექნიკა, კულტურა, იურიდიული, სამხედრო, სამოქალაქო განათლება, საბანკო-საფინანსო და სხვ.) შემოიჭრა ახალ-ახალი ტერმინოლოგია და მოიცვა ჩვენი ენა. ,,ტერმინოლოგიური ლექსიკა მუდმივი წყაროა საერთო-ენობრივი სემანტიკის, მისი ლექსიკური შედგენილობის გასამდიდრებლად“ (ღამბაშიძე,რ. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, ,,მეცნიერება“, 1986. გვ. 66), მაგრამ ეს უნდა მოხდეს კანონზომიერად და გარკვეული ნორმების დაცვით, რათა არ მიადგეს ზიანი სახელმწიფო ენას, რომელიც ჩვენი თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტია.

ახალი სამხედრო ტერმინოლოგია უნდა დამკვიდრდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად. საკითხი მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას. ამ მხრის აუცილებელია თანამშრომლობა სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან, რათა ერთობლივად იქნეს გადაწყვეტილება მიღებული სადაო ტერმინებთან დაკავშირებით. ამ ორი ინსტიტუტის კოორდინირებული მუშაობის შედეგად მივიღებთ ბევრად უკეთეს და ხარისხიან სამხედრო ლიტერატურას.

## გამოყენებული ლიტერატურა.

1. ამოცანით მართვა. დოქტრინული პუბლიკაცია 6-0. საქ. თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. დოქტრინების განვითარების ცენტრი. თბილისი, 2019წ.

2. ამოცანით მართვის სტრატეგია (2019-2021წლები). საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, დოქტრინების განვითარების ცენტრი, სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი), თბილისი, 2019წ.

3. ამოცანით მართვის ფილოსოფია. მხარდამჭერი დოქტრინული პუბლიკაცია 6-0. საქ. თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. დოქტრინების განვითარების ცენტრი. თბილისი, 2019წ.

4. რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, ,,მეცნიერება“, 1986.

5. სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადებისა და შეფასების პროგრამა. ქვეითი ათეული და ოცეული (ამოცანაზე ორიენტირებული საბრძოლო მომზადების გეგმა). მეორე შესწორებული გამოცემა. თბილისი, 2017წ.

6. სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადებისა და შეფასების პროგრამა. ქვეითი ასეული. 2018.

7. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი. ელგუჯა მეძმარიაშვილის რედაქციით. თბილისი, 2017.

8. Mission Training Plan for the Infantry Rifle Platoon and Squard. Army Training and Evaluation Program (ARTEP) 7-8-MTP.

9. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 29 september 1994.

10. Mission Training Plan for the Infantry Rifle Company. Army Training and Evaluation Program No. ARTEP 7-10-MTP. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 1 June 2002.

11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=3 საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო). საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1324 - ვებგვერდი, 19.10.2017წ.

https://wiktionary.org
www.eta.edu.ge
http://qronikaplus.ge/?p=11556

# ევროკავშირის გაფართოების თეორიული ხედვები და მათი პრაქტიკული იმპლემენტაცია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებში


ნინო ფავლენიშვილი

ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია იაკობიძე,

პროტოკოლის განყოფილების უფროსი

საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი



### აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს ევროკავშირის გარე მმართველობის პოლიტიკას არაწევრი ქვეყნის შიდა სტრუქტურების ინსტიტუციური განვითარების პროცესში. განხილულია გარე მმართველობის ძირითადი მექანიზმები. ნაშრომი მიმოიხილავს რაციონალურ და კონსტრუქტივისტულ თეორიებს ევროკავშირის გაფართოებასთან მიმართებაში. გარე-მართველობითი პოლიტიკის თეორიული საფუძვლები თეორიული ხედვების მნიშვნელოვანი ნაწილია. კვლევა ცდილობს, აჩვენოს არაწევრ სახელმწიფოში გარე მმართველობის ინსტიტუციური პოლიტიკის ფარგლებში იმპლემენტირებული ინსტიტუციური გარდაქმნები სხვადასხვა შიდა სტრუქტურებში. აღწერილია საქართველოში მიმდინარე ცალკეული ინსტიტუტუციური სისტემების (სასჯელაღსრულება, მართლმსაჯულება) ინსტიტუციური რეფორმირება. ნაშრომი ასკვნის, რომ ევროკავშირის სამომავლო გაფართოების პოლიტიკა განისაზღვრება ორგანიზაციის დამოკიდებულებით წევრობის მსურველი ცალკეული ქვეყნის მიმართ - გაფართოების სტრატეგია იცვლება ყოველი კონკრეტული ქვეყნისათვის.


# THEORETICAL VIEWS OF EU ENLARGEMENT AND THEIR PRACTICAL IMPLEMENTATION IN GEORGIAN STATE INSTITUTIONS


NINO PAVLENISHVILI

Associate Professor Faculty of Art and Science, Ilia State University

MAIA IAKOBIDZE,

Head of Protocol Division, Department for International Relations



### ABSTRACT

The paper presents the research on the European Union (EU) support to non-member countries` institutional development through the external governance control mechanisms. The effectiveness and importance of the domestic structural model, which stands out as a leading mechanism of the external governance are demonstrated. The rationalistic and constructivist theoretical approaches in terms of EU enlargement are overwiewed. For theoretical complimentarity is utilized Gänzle theory of the external governance policy of the EU enlargement. The work investigates institutional changes in non-member countries made in accoerdance with the institutional policy of the external governance of the EU that proceed unequally in the different policy making domestic structures. The paper depicts deeply the institutional development/transformation of the concrete institutions (domestic structures) in Georgia to show that the comparison demonstrates that the EU's enlargement policy prospects are determined by the EU's specific attitudes towards individual aspirant countries (difference in enlargement strategies for each).

## შესავალი

1990-იანი წლების შემდგომ, არაერთი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიური მოვლენის გამო ევროკავშირის პერიფერიების გაფართოების პოლიტიკა არაერთხელ შეიცვალა. ცვლილებები ძირითადად განპირობებული იყო სამი ძირითადი მიზეზის გამო (ასმუსი 2008). პირველი დაკავშირებულია ევროპაში მიმდინარე ცვლილებებთან, რომელიც განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღებისა და რესურსების ევროპიდან ახლო აღმოსავლეთში გადატანასთან 9/11-ის თავდასხმის შემდგომ. თავად ევროპაშიც დაიკვირვებოდა გაფართოებით გამოწვეული დაღლა დაკავშირებული ზოგიერთი ინსტიტუტის არასწორი რეფორმას ან ახალი წევრების მიღებისას გაუთვალისწინებელ ხარჯებთან. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ურყევი გადაწყვეტილება დასავლეთ ბალკანეთის (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკები, ალბანეთი) ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრირების შესახებ, პროცესი გაიწელა. თურქეთის შანსი, გამხდარიყო ევროკავშირის წევრი, საკმაოდ შემცირდა. დემოკრატიული სამყაროს გაფართოების "ფანჯარა", რომელიც „ცივი ომის" დასრულების შემდეგ გაიხსნა, დადგა დახურვის რისკის წინაშე (ასმუსი 2008).

მეორე ფაქტორი - სიტუაცია შეიცვალა აღმოსავლეთის მიმართულებითაც. 1990-იანი წლების ძირითადი გამოწვევა იყო დემოკრატიის კონსოლიდირება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. დღეს კი, ევრაზიის რეგიონის გამოწვევა სტაბილიზაციის შენარჩუნებაა შემდეგ სახელმწიფოებში: უკრაინა, თურქეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. კვლევების მიხედვით, უკვე გამოცდილმა გაფართოების პოლიტიკამ შეიძლება, გაამართლოს ბალკანეთის ქვეყნებში, მაგრამ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში გაფართოების პოლიტიკა ითხოვს მოდიფიცირებას ქვეყნების თავისებურებებიდან გამომდინარე. აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოებს აქვთ პრეტენზია, გახდნენ ევროპის ნაწილი და, შესაბამისად, მიიღონ დახმარება. ამბიცია შეუსაბამოა მათ ეკონომიკურ განვითარებასა და ღირებულებით ხედვებთან (სედელმაიერი 2003).

მესამე ფაქტორი რუსეთია - 90-იან წლებში სუსტი, ჰიბრიდულად დემოკრატიული სახელმწიფო სურვილით გამხდარიყო განვითარებული დასავლეთის ნაწილი. დღევანდელი რუსეთი ფლობს მეტ ძალაუფლებას, არის ნაციონალისტური, ავტორიტარიზმთან მიახლოებული ძალა. მოსკოვი საკუთარ თავს განიხილავს რეგიონულ, ევრაზიულ, ჰეგემონად და, შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობას განვითარების ავტორიტარულ კაპიტალისტურ მოდელს სთავაზობს ნაცვლად დემოკრატიული ლიბერალიზმისა. კრემლის მერკანტილისტური გეოპოლიტიკა გულისხმობს, ნებისმიერი მეთოდით შეინარჩუნოს გავლენის სფეროები. თვალსაჩინო გახდა, რომ რუსეთი ცდილობს შეაფერხოს ან სულაც მოსპოს დემოკრატიული წინსვლები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, საქართველო და უკრაინა. ის, როგორც წესი, იყენებს ენერგორესურსებს და ენერგომატარებლებს ზეგავლენის მოხდენის ინსტრუმენტად. სიტუაცია იძულებულს ხდის ევროპულ ქვეყნებს დაუპირისპირდნენ რუსეთს რიგ საკითხებში. სავარაუდოდ, მოსკოვის გავლენები შენარჩუნდება მანამ, სანამ ევროკავშირი ვერ შეძლებს ენერგომომწოდებლების დივერსიფიცირებას (სფექი 2014).

ცივი ომის დასრულების შემდგომ, დასავლურმა პოლიტიკამ მიაღწია ორ მნიშვნელოვნ მიზანს: (ა) დამკვიდრდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და (ბ) შექმნა სტაბილურობა ნატოსა და ევროკავშირს ფარგლებს გარეთ (ასმუსი 2008). გაფართოების წინა პერიოდში არსებობდა მოსაზრება, რომ გაფართოებას მოჰყვებოდა ევროკავშიის წევრებსა და არა-წევრ სახელმწიფოებს შორის დიდი პოლიტიკო-ეკონომიკური სხვაობა (შიმელფენიგი 2001). მოხდა პირიქით, ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება, კერძოდ კი, ბალტიის ქვეყნების მიერთება, გახდა პოზიტიური პრეცენდენტი სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შეასრულეს სადემონსტრაციო ეფექტის როლი. ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციების შემდგომ, საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლება მეტი ენთუაზიაზმით მოეკიდა მათი სახელმწიფოების დასავლეთთან დაახლოების თემას (ასმუსი 2008).

## ევროკავშირის გაფართოების თეორიული ხედვები.

სანამ უშუალოდ შევეხები გაფართოების თეორიებს, განვმარტავ ევროკავშირის გაფართოების კონცეფციას. ის ეხება, როგორც ორგანიზაციის ფორმალური წესებისა და ნორმების ეტაპობრივი ჰორიზონტალურ ინსტიტუციონალიზაციას, ასევე სოციალურად აქტიური ინდივიდების ნორმატიულ ქმედებებსა და ურთიერთქმედებებს. ჰორიზონტალური ინსტიტუციონალიზაციის პროცესში ინსტიტუტები აფართოებს ორგანიზაციას წევრებით, რომელთა ღირებულებები და ქმედებები თანხმობაშია ორგანიზაციის წესებთან. ორგანიზაციაში ყოფნა განსაზღვრულია საკანონმდებლო ბაზით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ჰორიზონტალური ინსტიტუციონალიზაციის ფორმალურ და მიზანმიმართულ ქმედებებზე. ასეთია, მაგალითად, ასოცირების შეთანხმებება ან გაწევრიანების ხელშეკრულებება - მათი გაფორმება, ხელმოწერა და ძალაში შესვლა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ორგანიზაციული ნორმები შეიძლება, გავრცელდეს არაფორმალურად ორგანიზაციის საზღვრებს გარეთ, როგორც აპლიკანტ ქვეყნებში, ასევე სახელმწიფოებშიც, რომელნიც ევროკავშირის წევრობას არ გეგმავენ. პროცესი სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან ნორმების (ორგანიზაციის ინსტიტუციური მოდელების) არაფორმალური გავრცელება, შესაძლოა არაწევრი ქვეყნების მიერ იმპლემენტირებული იყოს ფართო სისტემურ გამოწვევებზე რეაგირებისთვის; წარუმატებლობის შემთხვევაში იქმნება ევროკავშირისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. მნიშვნელოვანია, ორგანიზაციულ წესებთან, როგორც მიკრო-ჰარმონიზაცია (შიდა სტრუქტურა), ისევე მაკრო, როდესაც ინსტიტუციური რეფორმები მოჰყვება რეგიონულ ინტეგრირებას (სედელმაიერი 1998).

გაფართოების ძირითადი თეორიული ხედვები მოიცავს რაციონალურ და სოციოლოგიურ/ კონსტრუქტივისტულ ინსტიტუციონალიზმს შორის დისკუსს და ეყრდნობა ინსტიტუციონალიზაციისა და ინსტიტუციური განვითარების თეორიულ კვლევებს. რაციონალური და კონსტრუქტივისტული ინსტიტუციონალიზმის საფუძველი განსხვავებულია. თუ რაციონალური ინსტიტუციონალიზმი ეყრდნობა ინდივიდუალიზმისა და მატერიალიზმის სოციალურ ონტოლოგიას, კონსტუქტივისტულის წამყვანი ონტოლოგია - სოციალური და იდეურია (Ideational). შესაბამისად, არსებობს გადაწყვეტილების მიღებისა და შემდგომი ქმედების ორგვარი ლოგიკა - რაციონალური და კონსტრუქტივისტული (მარჩი, ოლსენი 1989).

რაციონალურ ინსტიტუციონალიზმში ინდივიდუალური, მატერიალური ინტერესები პირველადია ინსტიტუტების/ორგანიზაციების პრეფერენციებთან მიმართებაში. ორგანიზაცია განიხილება, როგორც შუალედური რგოლი, რომელიც აკავშირებს აქტორების მატერიალურ ინტერესებსა და მატერიალურ გარემოს მათ კოლექტიურ გადაწყვეტილებებთან და ქმედებებთან. ინსტიტუტებისათვის მნიშვნელოვანია სუბიექტის ქმედების შეზღუდვა და წახალისება, და არ ინტერესდება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიზეზით. ისინი აკორექტირებენ დანახარჯისა და სარგებლის კალკულაციას, მაგრამ არ ცვლიან თავად პრეფერენციებს.

კონსტრუქტივისტული მიდგომით, ინსტიტუტები ქმნიან, როგორც აქტორის იდენტობას, ისე ინტერესებს. სუბიექტები არ არიან კავშირში გარე შემზღუდველ/წამახალისებელ სტრუქტურებთან. ისინი მოქმედებენ წინასწარი გეგმით, რადგან ინსტიტუტები ადგენენ მათთვის უფლებებისა და ვალდებულებების კონტენტს და განსაზღვრავს სოციალურ გარემოს. ინსტიტუციურად დადგენილი ქცევის წესები თუ ნორმატიული ვალდებულები ხშირად გარდაიქმნება სუბიექტისათვის ჩვევად, ამიტომ მისთვის რთული აღარაა წესებისა და ნორმების დაცვა (სკოტი 1995).

ინსტიტუტების შესახებ კონცეფციები განსხვავდება ორგანიზაციების ფუნქციებისა და აქტორების მოქმედებების მიხედვით. შესაბამისად, ორივე თეორია საკუთარი კონდეპტუალური ხედვით აღწერს საერთაშორისო ორგანიზაციას. რაციონალური ინსტიუტუციონალიზმი თვლის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები არის დამხმარე ასოციაციები, რომელნიც ეხმარებიან სახელმწიფოებს დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელებაში.

სახელმწიფოებისათვის საერთაშორისო ორგანიზაცია საინტერესოა ორი მახასიათებლის გამო: ცენტრალიზაცია და დამოუკიდებლობა (ებოტი, სნაიდალი 1998). ისინი ეფექტურად ფუნქციონირებენ ერთობლივად, ხშირი შეხვედრების, მოლაპარაკებების, სხვადასხვა ფორმატის ფორუმების მეშვეობით. კოოპერაცია გაუმჯობესებს ნორმებს და ობიექტური ინფორმაციის მიმწოდების მექანიზმებს; მრავალფეროვანი ხდება წარმომადგენლობა და სამართლიანი არბიტრაჟი. ამ და სახელმწიფოები არჩევენ გაერთიანებას ქმედით საერთაშორიშო ორგანიზაციაში, მიუხედავად იმისა, რომ თმობენ გარკვეულად სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და უფლებას აძლევენ საერთაშორისო ორგანიზაციას, რათა „შეზღუდონ და აკონტროლონ ისინი" (მორავჩიკი 1998).

რაციონალური ინსტიტუციონალიზმი ფოკუსირებულია საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რომელნიც ეფექტურად ეხმარებიან, როგორც წევრ, ისე აპლიკანტ ქვეყანას ინსტიტუციური განცითარებისათვის აუცილებელი ნორმების დანერგვით. კონსტრუქტივისტები კი თვლიან, რომ ფაქტიურად, საერთაშორისო ორგანიზაციები, ერთის მხრივ, არიან „საზოგადოების წარმომადგენლები" (ებოტი, სნაიდალი 1998) და, მეორეს მხრივ, საერთაშორისო თუ ადგილობრვი საზოგადოების შემქმნელები. თუ საზოგადოებას, მათ შორის საერთაშორისოს, აქვს საერთო ინსტიტუციური ნორმები და წესები, ის ქმნის ლეგიტიმურობისა და ღირებულებების სტანდარტებს და განსაზღვრავს მის მიზნებს, დებულებს და პროცედურებს (ბარნეტი, ფინემორი 1999). ამგვარად, საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ, შესაძლებლობა იქცნენ ძალაუფლების ავტონომიურ წყაროდ, რომელსაც აქვს "რაციონალურ-სამართლებრივი უფლებამოსილება; და კონტროის მექანიზმი ტექნიკური ცოდნისა და ინფორმაციაზე" (ბარნეტი, ფინემორი 1999). მსგავსად სხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა, ევროკავშირი ფლობს ძალაუფლების მითითებულ წყაროებს და, შესაბამისად, შეუძლია, დაადგინოს ორგანიზაციაში გაწევრიანების სტანდარტები, წევრი-ქვეყნების საეთო მიზნები და მათი განხორციელების გზები (მაკნილი 1995, ფინემორი 1996).

## ევროკავშირის გარე მართველობა -<br>გაფართოების სპეციფიური ფორმატი

ევროკავშირის სამეზობლო ჰგავს ქვეყანათა ერთობლიობას მიერთებულს ამ ორგანიზაციასთან "ჭიშკრით", რამეთუ ევროპის სურვილია, ჰქონდეს სტაბილურობა ევროპის "უკანა ეზოში" (ზაიოტის 2007). ევროკავშირმა 2000-იანი წლების გაფართოების ტალღის შემდგომ, შეცვალა გაწევრიანების პოლიტიკა (კელი 2004, ტუპი 2003) და შეიმუშავა ახალი სტრატეგის - გარე მართველობა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებისათვის ბიძგის მიცემას. მართველობის სტილი მრავალდონიანია და მოიცავს ბევრ სფეროს, ცდილობს ძალაუფლებრივი ურთიერთობის ფორმის მიახლოებას ევროპულთან და ქვეყნის ინტეგრირებას ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების დღის წერიგში (კოფლერ-კოფი 2005).

გარე მართველობის იმპლემენტაციისას ევროკავშირი ითვალისწიებს საზღვრების სხვადასხვა ფორმატს: (ა) გეოპოლიტიკური საზღვარი, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჯერ შეიძინა ცივი ომის დასრულებისას და შემდგომ რუსეთის "ნეოიმპერალისტური" გაძლიერებისას (ფილტენბორგი, გენზლე, ჯოჰანსენი 2002); (ბ) კულტურული საზღვარი, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფოს პოლიტიკური, მათ შორის, დემოკრატიული ღირებულებებით; (გ) ტრანზაქციური საზღვარი, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი ქმნის ხელწვდომას მის ბაზარზე; (დ) სამართლებრივი საზღვარი, გულისხმობს ევროსტანდატრის კანონმდებლობის იმპლემენტაციას და სამართლებრივი ღირებულებების დამკვიდრებას; და (ე) ინსტიტუციური საზღვარი, რომელიც რეალურად არის ევროკავშირის მართველობითი კონტენტის მატარებელი (გენზლე 2010).

ამგვარად, ევროკავშირი გარე მართველობის მექანიზმით ცდილობს, გააძლიეროს ინტეგრაციის პოლიტიკა სხვადასხვა მიმართულებით. ზემოთ ჩამოთვლილი საზღვრებით, ის ახდენს ევროკავშირის მეზობელ სახელმწიფოებში ინსტიტუტების რეფორმირებას წევრობის ქვედონის (ასოცრების) ფორმის დამკვიდრებით. სტანდარტი არა-წევრ ქვეყნებთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისას არის

acquis[1] შესრულება. ის გულისხმობს არა-წევრი სახელმწიფო იმპლემენტაციას უკეთებს ევროკავშირის ნორმებს და ღირებულებებს (ლავენაქსი 2008). ინსტიტუციური თვალსაზრისით, გარე მართველობით იწყება ევროკავშირის მსგავსი ინსტიტუტების ამოქმედებას სახელმწიფოს შიგნით. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას საკანონმდებლო ბაზით შეცვალოს არსებული ინსტიტუტები და მოახდინოს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ ევროპული ნორმების ლეგიტიმაცია (შიმელფენიგი, სელემაიერი 2002).

გარე მართველობა ფოკუსირებულია სახელმწიფოს შიდა სტრუქტურებზე. გაფართოების ამ პოლიტიკის მიზანია, შესაბამისობაში მოვიდეს არაწევრი ქვეყნის შიდა-ინსტიტუციური სტრუქტურა ევროპულთან ანუ შიდა და გარე მართველობა უნდა იყოს ლეგიტიმური და განხორციელებადი.

და ბოლოს, გარე მართველობა ეფექტურია, თუ ის (ა) ითვალისწინებს არა-წევრი სახელმწიფოს შიდა-სტრუქტურულ აგებულებას; (ბ) თუ შიდა სტრუქტურა ახერხებს ევროკავშირის კანონებთან ჰარმონიზაციას; (გ) თუ სახელმწიფო საშინაო დონეზე ხდება თავსებადი ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებთან; (ე) სახელმწიფოში მცირდება ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა რიცხვი.

## ევროკავშირის გარე გაფართოება და ინსტიტუციური ცვლილებები საქართველოში

ევროკავშირის გარე მართველობის ეფექტურობა ცხადია, როცა სახელმწიფო ინსტიტუტების შიდა სტრუქტურები ცვლიან ფუნქციონირების წესებს. ევროკავშირის სტრუქტურებთან თავსებაადობის ზრდას ხელს უწყობს ორგანიზაციის მხრიდან მონიტორინგი და კონტროლი (ფრანკი 1990).

საქართველოს შემთხვევაში გარე მართველობის ეფექტურობა თვალსაჩინოა სასჯელაღსრულებისა/პენიტენციალური სისტემისა და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესში. ორივე სტრუქტურა, მართლაც, რომ ითხოვდა მნიშვნელოვან ცვლილებებს. ევროკავშირმა შეისწავლა ორივე ორგანიზაციის გამოწვევები და დაეხმარა საქართველოს ხელისუფლებას დონორ ორგანიზაციებთან ერთად. ყველა შემოთავაზებული ცვლილება ეფუძნებოდა ადამიანის უფლებების დაცვას. ფინანსური დახმარებასთან ერთად ორგანიზაციამ ხელი შეუწყო პროექტს, რომელიც პენიტენციური და პრობაციის სფეროების ინსტიტუციურ გაძლიერებას და პატიმართა პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა[2], მათ შორისაა მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია და პენიტენციური ჯანდაცვის მიღება. შედეგად, პატიმართა რაოდენობა 24,000-დან 10,000-მდე ჩამოვიდა. პარალელურად მოგვარდა საპატიმროების გადატვირთულობის საკითხიც.

გარე მართველობა თეორიით ითხოვს არაწევრი ქვეყნისგან კანონების დაახლოებას ევრო-სტანდარტებთან. პრაქტიკული პროცესი საქართველოში დაიწყო 2017 წელს. პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი "პატიმრობის კოდექსი" სხვა 19 კანონპროექტი პატიმრებისათვის პირობების გასაუმჯობესებლად.[3] ცვლილებები შეეხო დისციპლინური პატიმრობის ვადებს; სასამართლოს მიეცა უფლება მიიღოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის გათავისუფლებაზე რიგ შემთხვევებში.[4] გაიზარდა უფლებადამცველის, ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და სხვა.

პარალელურ რეჟიმში დაიწყო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ადაპტირებული გარემოს შექმნა პენიტენციალურ სისტემაში და დაბალი რისკი პატიმრების დააქმება მშენებლობებზე. გრძელდება ელექტრონული და ვიზუალური სამეთვალყურეო მოწყობილობების ეტაპობრივი ინსტალაცია. ყველა

---

1 The acquis - სავალდებულო უფლებები და ვალდებულებები სავალდებული ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის.

2 http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text_14461272421.pdf

3 http://www.moc.gov.ge/images/temp/2016/05/25/e5f33831c5284d959490086d83bf94c2.pdf

4 http://www.moc.gov.ge/images/catalog/items/zzzz.pdf

ცვლილება, რომელიც განხორციელდა პენიტენციალურ სისტემაში გამყარებული საკანონმდებლო ბაზით. "ადამიანთა უფლებათა დაცვის კუთხით ლამბრინიდისის ინიციატივით ა.წ. სექტემბერში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წელს პირველად საქართველო შევიდა ერთადერთი ქვეყანა რეგიონიდან გაეროს იმ 14 ქვეყანას შორის, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საუკეთესო გამოცდილებას გაეროს მასშტაბით მთელ მსოფლიოში" (ინტერვიუ ვიქტორ დოლიძესთან, 20.12.2018).

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება ევროკავშირისათვის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა. ორგანიზაციის მხარდაჭერის პაკეტი აძლიერებს სისტემის ინსტიტუციურად: სისტემის საკანონმდებლო ბაზის მისადაგება ევროპულთან, ეფექტიანი სტრუქტურების შექმნა და პროფესიონალების მომზადება. ასოცირების ხელშეკრულებამ გააღრმავა ქართველი და ევროპელი პარტნიორების ჰარმონიზაციისადმი დამოკიდებულება. პროცესი გაწერილია ეტაპობრივად. რიგი საკითხებში საქართველო და ევროკავშირი მჭიდროდ თანამშრომლობს (ინტერვიუ თამარ ბერუჩაშვილთან, 20.12.2018). სასამართლოს რეფორმირებისათვის უმნიშვნელოვანესია სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შექმნა, რომელიც მოსამართლეს და სასამართლო სისტემას გახდის დამოუკიდებელს.

2014 წლიდან იწყება საკანონმდებლო ცვლილებები მომავალ მოსამართლეთა შერჩევისა და კრიტერიუმების დასადგენად. კანონის მოთხოვნით, კანდიდატურების განხილვის პროცესი არის გამჭვირვალე და ობიექტური. ევროკავშირის ეგიდით მართლმსაჯულების სისტემაშიც მომზადდა პროფესიული კადრები: ჩატარდა სემინარები და ტრენინგები პროკურატურის თანამშრომლებისათვის.

"საქმეთა ელექტრონული გადანაწილების პრინციპის"[5] ამოქმედება (31.12.2017) მნიშვნელოვანი ნაბიჯია სასამართლოს რეფორმირების გზაზე. ამავე წელს იუსტიციის საბჭომ მიიღო 2017-2020 წლების სასამართლო სისტემის გარდაქმნის სამოქმედო გეგმა, რის საფუძველზეც დადგინდა რეფორმის ძირითადი პრიორიტეტები. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით გადაწყდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება დღესაც გრძელდება. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "შრომის უსაფრთხოების შესახებ", კანონი "სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ", კანონი "სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ".[6]

უკვე გატარებული, თუ მიმდინარე რეფორმები, როგორც სასჯელაღსრულების/პენიტენციალურ, ასევე მართლმსაჯულების/სასამართლო სისტემაში მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს შიდა სტრუქტურების ინსტიტუციური ცვლილებები საქართველოს აახლოებს ევროპულ ნორმებთან და წესებთან.

და ბოლოს, რაციონალური თეორია, რომელიც განსაზღვრავს წევრი და არა-წევრი სახელმწიფოების მოსალოდნელ ხარჯებს და სარგებელს, აჩვენებს, რომ ორივე აქტორი უპირატესობას ანიჭებს ჰორიზონტალურ გაფართოებას გარე მართველობის მექანიზმით. გარე ინტეგრაცია უნდა მიმდინარეობდეს ინსტიტუციური ცვლილებებით სახელმწიფოს შიდა სტრუქტურებში სექტორულად. კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს იდეურ "კონფლიქტს" არა-წევრ სახელმწიფოსა და ორგანიზაციას (ევროკავშირი) შორის, ემხრობა ისეთ გაფართოებას, რომელიც შეეხებს იდეურად მსგავს ქვეყანას. და თუ იდეოლოგიური განსხვავება თვალსაჩინოა, მაშინ გარე-მართველობითი პოლიტიკა, რომელიც გარდაქმნის სახელმწიფო სტრუქტურებს, ამავდროულად, ცვლის, ერთის მხრივ, სტუქტურებში მომუშავე ადამიანების ხედვებს და, მეორეს მხრივ,

---

5 http://hcoj.gov.ge/ge/reforms/judicial-reform/gankhortsielebuli-reforma

6 http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/parlamentis-riggareshe-sesiis-plenaruli-sxdoma3.page

მოქალაქეების (რომელთაც აღნიშნული ინსტიტუტები ემსახურებიან) დამოკიდებულებას ევროპული ღირებულებებისადმი. ცალკე რაციონალური ან კონსტრუქტივისტული თეორია ვერ ახსნის არა-წევრი საელმწიფოსა და ევროკავშირის ურთიერთობას, მაგრამ ორივე შეწყვილებულად აღქმადს ხდის გარე-მართველობითი პოლიტიკის ეფექტიანობას ევროკავშირის გაფართოების პროცესში.

## გამოყენებული ლიტერატურა.


Abbott K.W., Snidal D. 1998. "Why States Act through Formal International Organizations". The Journal of Conflict Resolution. Vol. 42. No. 1.

Asmus R.D., 2010. "Europe`s Eastern Promise: Rethinking NATO and EU Enlargement". Council of Foreign Relations

Barnett M.N., Finnemore M. 1999. "The Politics, Power, and Pathologies of International Organizations". International Organization. Vol. 53. No. 4

Filtenborge M. S., Ganzle S., Johansson E. 2002. "An Alternative Theoretical Approach to EU Foreign Policy 'Network Governance' and the Case of the Northern Dimension

Finnemore M. 1996. "Norms, Culture, and World Politics: Insights from Sociology's Institutionalism". International Organization. Vol. 50. No. 2

Franck, T. 1990. The Power of Legitimacy among Nations. New York: Oxford University Press.

Gänzle S. 2010. "EU Governance and the European Neighbourhood Policy: A Framework for Analysis". Europe-Asia Studies.

Kelley J. 2004. Ethnic Politics in Europe: The Power of Norms and Incentives. Princeton: Princeton University Press.

Kohler-Koch B. 2005. "European Governence აand System Integration". EUROGOV. European Governence Papers.

Lavenax S. 2008. "A governance perspective on the European neighbourhood policy: integration beyond conditionality?" Journal of European public policy

March J.G., Olsen J.P. 1989. Rediscovering institutions: The organizational basis of politics. New York. Free Press

McNeely C.L.1995. Constructing the Nation-State: International organization and perspective action. Greenwood Press

Moravcsik A., 1998. The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht. Cornell University Press

Schimmelfennig F., 2001. "The Community trap: liberal norms, rhetorical action, and the eastern enlargement of the European Union". /International Organization 55/.

Schimmelfennig F., Sedelmeier U., 2002. „Theorizing EU enlargement: research focus, hypotheses, and the state of research". /Journal of European Public Policy/.

Scott W.R., 2008. /Institutions and Organizations, Thousand Oaks/. Sage

Sedelmeier U. 1998. The European Union's association policy towards the countries of Central and Eastern Europe: collective EU identity and policy paradigms in a composite policy. Doctoral Thesis. University of Sussex

Smith K. 2001. "Western Actors and the Promotion of Democracy," Oxford University Press.

Speck U. 2014. "Russia's New Chellenge to Europe". Carnegie Europe. https://carnegieeurope.eu/2014/04/17/russia-s-new-challenge-to-europe-pub-55368 (30.05.19)

Tupy M. 2003. "EU Enlargement: Costs, Benefits, and Strategies for central and European Countries". Policy Analisys.

Zaiotti R. 2007. "Of Friends and Fences: Europe's neighbourhood policy aნd the 'gated community syndrome'". European Integration Initiative". Cooperation and Conflict: Journal of the Nordic International Studies Association

# ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელი

ლევან ოსიძე
პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სტუ სამართლისა და საერთაშორისო ურთერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი

**აბსტრაქტი**

ქართული დემოკრატიის თანამედროვე ნეოლიბერალი წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ იდეოლოგია სოციალური კონტროლის საშუალებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი თანხმობა და მორჩილება. ამ ფონზე ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და დემოკრატიული სოციალიზმი აღიქმება როგორც „ღია" სისტემები, რომლებიც უშვებენ და მოითხოვენ თავისუფალ აზროვნებას, კრიტიკასა და ოპოზიციას, მაგრამ იდეოლოგიის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებენ პრაგმატიზმს, ტრადიციას და ისტორიას. მარქსის აზრით, მისი იდეები ატარებდნენ არა იდეოლოგიურ, არამედ მეცნიერულ ხასიათს, ლიბერალებიც უარყოფდნენ თავიანთი ფილოსოფიის მსოფლიო იდეოლოგიისადმი მიკუთვნებას, ხოლო კონსერვატორები დღესაც პოლიტიკაში ემხრობიან არა იდეოლოგიურ, არამედ პრაგმატულ პოზიციას. ვერ მოინახა ნეიტრალური და ყოველმხრივ მისაღები კლასიფიკაცია, სწორედ ამიტომ უნდა განვთავისუფლდეთ წარმოდგენისაგან, რომ ის შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, ტყუილი ან მართალი, განმათავისუფლებელი ან დამმორჩილებელი. ეროვნული იდეოლოგიის იგნორირების მცდელობამ, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მიერ მექანიკურად გადმოტანილ დოქტრინას ეფუძნებოდა და მიგვიყვანა ანტიპოლიტიკამდე, -- ანუ ოფიციალური პოლიტიკითა და პოლიტიკური მექანიზმებით გამოწვეულ იმედგაცრუებამდე, რომელიც გამოხატული უნდა ყოფილიყო სისტემის ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერით, ან პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე უარის თქმით, ბოიკოტირებით. ქართული დემოკრატიის თანამედროვე მოდელის წიაღში მიმდინარე პოლიტიკურ - კულტურული პროცესების ანალიზი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების განხილვის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან თუ გინდა ერის გადაშენება და მოსპობა, განათლების სისტემა უნდა მოუსპო, ხოლო განათლებულ საზოგადოებას უფრო მეტი ბერკეტი გააჩნია საზოგადოების წიაღში წარმოშობილ პრობლემათა დაძლევის გზაზე.

# THE MODERN MODEL OF GEORGIAN POLITICAL CULTURE

LEVAN OSIDZE
Associate Professor of Faculty of Law and International Relations

**ABSTRACT**

Modern neoliberal representatives of Georgian democracy argued that ideology is a means of social control, which should provide public consent and obedience. Against this backdrop, liberalism, conservatism and democratic socialism are perceived as "open" systems that make and demand free thinking, criticism and opposition, but preference to pragmatism, tradition and history instead of ideology. According to Marx, his ideas were not ideological but scientific, liberals also deny their philosophy to the world ideology, and the Conservatives still adhere to politics in an ideological but pragmatic position. You can not see a neutral and fully acceptable classification, that is why you should be free from the idea that it may be good or bad, false or just, liberated or overwhelmed. The attempt to ignore the national ideology, which was based on the mechanics brought by our government, led to the antipolitics, or the frustrations caused by official politics and political mechanisms that were to be supported by systematic opposition parties or refusal to participate in political processes. Analyzing the political processes of the modern model of Georgian democracy is unimaginable without considering ongoing reforms in the field of education, because if you want to eradicate the nation and destroy it, the education system should be cut off, and the educated community has more leverage on the path of overcoming the problems in the society.

დემოკრატია საქართველოში, ამ ტერმინის კლასიკური გაგებით, ისე დაკნინებული და ტრანსფორმირებულია, რომ ძნელია მას სათანადო ადგილი მიაკუთვნო მსგავსი ტერმინების გვერდით. ჩვენი წინა ხელისუფლების მცდელობამ გამოიღო შედეგი და საქართველო მიზანმიმართულად მსოფლიო საცდელ ლაბორატორიადაა გადააქცეული, გადაიყვანა რა იგი ქართული ტრადიციებისა და კულტურისათვის უცხო ნეოლიბერალურ მოდელზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ამ ცნებასთან სოციალური ყოფისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რადგან ფაქტობრივად აღმოსავლური დესპოტიისა და დასავლური დემოკრატიის ( ისიც მხოლოდ სახელად!!! - ავტ.) სინთეზია, რაც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით წარმატებით მიიღო და მეთოდურად აგრძელებს და ახორციელებს ქართული ეროვნული მსოფლმხედველობის გეგმაზომიერ ჩაჩოჩება-იგნორირების პროცესს, ისტორიულად დამკვიდრებული ტრადიცების თანდათანობითი უარყოფით, რასაც შედეგად მოაქვს ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის ინდიფერენტული დამოკიდებულების ზრდა და გათითოკაცების ისეთი ტემპები, სადაც ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ოპონენტებისა და სხვა წევრების მისამართით გამოვლენილი ალტრუიზმი, რომელიც სხვათა კეთილდღეობაზე ზრუნვას და საერთო სიკეთის გააზრებას გულისხმობს, მიჩნეულია მიუღებლად, მითუმეტეს ისეთ უმძიმეს სოციალურ ფონზე, როდესაც მილიონობით ჩვენი თანამემამულე ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ იძულებით იმყოფება გადახვეწილი, რომლებსაც აქეთ დარჩენილი ოჯახის წევრები ხელში შესჩერებიან, რადგან იმყოფებიან საარსებო მინიმალური ზღვრის მიღმა. ამასთან, სასამართლო და პენიტენციალური სისტემა ვერ აღიქმება ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ შტოდ, ის „ერთგული გოშიის" როლშია, რადგან ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობიდან მოყოლებული დღემდე გადააქციეულია ხელისუფლების დასაყრდენ ზეპარტიულ ორგანოდ, იმ პირობებშიც კი, როდესაც კანონით მსგავსი ქმედება დანაშაულია და დასჯას ექვემდებარება. ფაქტობრივად ერთპარტიულ საკანონმდებლო ორგანო -- პარლამენტს ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია მიუკერძოებელის სახელი და ავტორიტეტი, რადგან ის გადაქცეულია დემაგოგი პოლიტიკური ლიდერებისა, უარეს შემთხვევაში, მათი მეპატრონეების, პოლიტიკური მიზნების რეალიზების სამჭედლოდ, მისი წევრები უმთავრესად პარტიული ინტერესების სადარაჯოზე დგანან და ლიდერთა ნებისმიერი ახირების საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მსახურებად არიან გადაქცეულნი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება კი ყურმოჭრილი ყმის როლში უნდათ ჩააყენონ და აკონტროლონ. ის ხალხი, რომელსაც საკუთარი კეთილდღეობის გარდა არაფერი აწუხებს, ამ დავალებას დიდი რუდუნებით ასრულებენ, ხოლო განსხვავებული პოზიციების დაფიქსირება კი საჯარო სამსახურში ყოფნის შანსს ამცირებს სათანადო პოლიტიკური კულტურის უქონლობის გამო... მასმედია და მისი მსახურნი ორ არათანასწორ ბანაკადაა გაყოფილი, ერთნი, -- მთავრობისა და მისი გარემოცვის გუნდრუკის კმევითა და კეთილდღეობის მიღებით არიან დაკავებულნი, ხოლო მეორე მხარე კი -- ნაცმოძრაობის მიერ ფარულად გამოცხადებული ტოტალური და მასიური საინფორმაციო ტერორით ცდილობს ელექტორატის გაზრდას და სატელევიზიო ეთერის თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებს ჩასაფრებულნი მხოლოდ პოლიტიკური მიზნით იყენებენ და დაკავებულნი არიან საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების მათთვის არასასურველ ცალკეულ პირთა მიერ ჩადენილი მორალურ-ზნეობრივი თუ მატერიალური გადაცდენების თუ დარღვევების აღრიცხვით და ძირითადი აქცენტები გადატანილი ჰქონდათ უარყოფით რაკურსზე და მოსახლეობას მიეწოდებოდა მხოლოდ ნეგატიური მასალა. თოქ-შოუებში ერთი და იგივე სახეები ცდილობდნენ ნაციონალური მოძრაობის ინტერესების დაცვას და ყველა სხვა დანარჩენის, საუკეთესო შემთხვევაში იგნორირებას, ხოლო უარესში - მათი საზოგადოებრივი ასპარეზიდან ჩამოშორებას. ეფექტური პიარი იწვევდა გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების დიდი ნაწილის დემორალიზებას და ანტისახელისუფლებო პოზიციებზე გადაყვანას (მოქმედებდა ლოზუნგი - ქვეყანაში ყველაფერი ცუდადაა და რა დიდი დანაშაული ჩაიდინეთ, ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკის ავანსცენიდან რომ ჩამოიყვანეთ!!! - ლ. ო.)... სამწუხაროდ, ამ პრობლემის მოწესრიგებას კარგი პირი არ უჩანს. ის დროში საკმაოდ გაიწელება. ფაქტია, რომ ცალკე აღებული საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2", „იმედი", „მაესტრო", „ტვ-პირველი", „კავკასია" და სხვ. არ ქმნიდნენ აბსოლუტურად ობიექტურ მასალას. ისინი აშუქებდნენ მხოლოდ იმას, რაც მათ მესვეურებს აწყობდათ. მიუხედავად ამისა, საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში (2018 წ.) წინასაარჩევნოდ მოსახლეობამ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან მეტ-ნაკლებად სწორი ინფორმაცია მაინც მიიღო და თავად გამოიტანა დასკვნები.

სამწუხაროდ, ძალზე ხშირად ირღვეოდა მორალურ-ზნეობრივი სტანდარტები და ადგილი ჰქონდა შეურაცხმყოფელ ეპითეტებს. ვიხილეთ დემოკრატიის ერთგვარი ზედოზირება - გადაჭარბების არა ერთი ფაქტი. შავი პიარის გამოყენებით სახეზე იყო ოპოზიციური ძალების ზღვარგადასული ლანძღვა-გინება სახელისუფლებო ძალების მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ. ძირითადი მიზანი იყო რეალობისაგან ჩამოშორებული და კონტექსტიდან ამოგლეჯილი დაცინვასა და უხამს გამონათქვამებზე დამყარებული სატელევიზიო რეკლამები, რომლითაც ხდებოდა სასურველი რეალობის დამახინჯება და ფსიქოლოგიური ზეწოლა, უმრავლესობის დაშინებასა და უსიტყვო მორჩილებაზე გამიზნული... ნაციონალური მოძრაობა მოქმედებდა დამღუპველი პრინციპით: „ან ყველაფერი, ან არაფერი!“ მაქსიმალურად აღდგენილი და პრაქტიკულად რეალიზებული იყო ყოფილი საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის მიზანი: „ყველაფერი კარგადაა, წინ მივდივართ, იყუჩეთ ხალხო!“ თქვენ არ გჭირდებათ ფიქრი, ამას ხელისუფლება თუ არა, ჩვენ უთქვენოდაც შესანიშნავად მოვახერხებთ, თქვენი მისიაა - გააქტიურდეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც დემოკრატიის სახელით, თქვენივე კეთილდღეობისათვის, მორიგი არჩევნების დრო მოვა და საჭირო გახდება „კარტ-ბლანშის“ ხელახალი მიცემა, ესეც სხვათა დასანახად, ფასადური, მოჩვენებითი დემოკრატიული მოდელის სადემონსტრაციოდ, რადგანაც ვიმყოფებით გლობალიზაციის დაუნდობელ პროცესში, რის შედეგადაც ნაციონალურ სახელმწიფოთა საზღვრები ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთობებსა და ა.შ. სულ უფრო გამჭვირვალე ხდება და ეროვნული სახელმწიფო კვდება!!! ანუ რა გამოდის, ჩვენ უნდა ვისხდეთ და მშვიდად დაველოდოთ ისტორიული და კულტურული მეობის მქონე, საერთო წარმომავლობის ერი როგორაა მოქცეული დეტერმინიზმის ტყვეობაში, რომელიც თავის თავში მოიცავს მხოლოდ იმის რწმენას, რომ ყოველი ქმედება თუ არჩევანი გარე ფაქტორების ზემოქმედებითაა განპირობებული და ამდენად, ადამიანის, ეთნოსის, ერი-სახელმწიფოს თავისუფალი ნება -- ფიქციაა? ვფიქრობთ, პირიქითაა. ე.წ. ევროცენტრიზმი, კულტურის თვალსაზრისით მიკერძოებული მიდგომა, რომლის თანახმადაც ევროპული თუ დასავლური იდეები და ფასეულობები უკომენტაროდ ჭეშმარიტებად მიიჩნევა, ხოლო მისი საპირისპირო -- ევროსკეპტიციზმი, ევროპასთან შემდგომი ინტეგრაციისადმი წინააღმდეგობა, ძირითადად დამოუკიდებლობასა და ეროვნულ თვითმყოფადობაზე აქცენტირებით მყარი არგუმენტებისა და ეკონომიკური დაუსაბუთებლობის შემთხვევაშიც კი ემბარგოს სახეს მიიღებს!.. მაშ, რა უნდა ვაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ არ გავქრეთ მსოფლიო-პოლიტიკური რუკიდან და ჩვენი ქვეყნის თითქმის სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა არ გაიწიროს და არ გადაიყოლიოს ე.წ. ვესტერნიზაციის ძლიერმა ტალღამ!!!... აი ის ძირითადი პრობლემა, რომელიც ანტიგლობალისტებს გვაწუხებს!!!...[1]

მიმდინარე პროცესების ანალიზი უპრიანია დავიწყოთ განათლების სფეროდან, რადგან ჩვენი ქვეყნის გადარჩენის საქმეში „ლომის წილი“ განათლების სისტემის სწორმა ორგანიზებამ უნდა შეიტანოს და განსაზღვროს! სინამდვილეში კი რას ვაწყდებით: საქართველოს ბიუჯეტის 2 %-მდე გამოყოფილია მთელი საგანმანათლებლო სფეროსათვის, მაშინ როდესაც წარმატებულ ქვეყნებში განათლების სისტემის სრულყოფისათვის გამოიყოფა მთლიანი შიდა პროდუქტის 6 %. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ეს მაჩვენებელი მინიმუმ სამჯერ და სინამდვილეში კიდევ უფრო მეტჯერ აღემატება ჩვენს რეალურ მაჩვენებელს. იცის ჩვენი ერის მტერმა, რომ განათლების სისტემის მოშლა „აქილევსის ქუსლისა“ და „ტროას ცხენის“ ფუნქციას შეასრულებს ქართული ეროვნული სულის ჩაკვლის საქმეში, სწორედ ამიტომაა, რომ ბოლო 28 წელია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს თანამიმდევრულად ხელმძღვანელობენ შემთხვევითი, არაპროფესიონალი, ძირითადად არაქართული მენტალიტეტის მატარებელი პირები, როგორებიცაა: მიშას მიერ აღზევებული პროფესიით კანალიზატორი, სკოლაში ჩარჩენილი კახა ლომაია, იეღოველების „მარქსი“ - გია ნოდია, გენერალური პროკურორის მოადგილე ნიკა გვარამია, ამჟამინდელი ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი, რომლის მაშინდელი დონე არ მოეწონათ და განათლების აპრობირებული მინისტრი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ გააგზავნეს, ასევე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ანათემას გადაცემული ქალბატონი მაია მიმინოშვილი რამდენიმე თვით ასრულებდა მინისტრის მოვალეობას. მისი ადგილი დაიკავა ქართული მეცნიერებისა და თავდაცვის „მანათობელმა ვარსკვლავმა“ დიმიტრი შაშკინმა, რომელმაც პირველი მანდატურის მანტიის შემდეგ ორი რადიკალურად [1]

განსხვავებული სამინისტროს პორტფელი გამოიცვალა და დროებით ეს პოსტი პოლიციის აკადემიის ყოფილ რექტორ ხატია დეკანოიძეს გადააბარა, მერე კი აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ასრულებდა ამ ფუნქციას, რომელიც გადაჯდა რა პრეზიდენტის სავარძელში, ეს პორტფელი ჩააბარა თავისსავე ყოფილ ბუღალტერს უნივერსიტეტ „ჯიპადან“ - თამარ სანიკიძეს, იგი შეცვალა ალექსანდრე ჯეჯელავამ, რომლის ფუნქცია დამკვიდრებული გეზის შენარჩუნება და განათლების სისტემის ჩიხში შეყვანა მან ბრწყინვალედ შეასრულა. იგი თსუ-ს ვიცე-რექტორმა მიხეილ ჩხენკელმა ჩაანაცვლა, რომელიც კერძო უნივერსიტეტ ბთუ-ს რექტორ პროფესორ მიხეილ ბატიაშვილით ჩანაცვლდა. ჯერჯერობით ვერაფერ ინოვაციურს მის ქმედებებში ვერ ვხედავთ და ვერც დავინახავთ, თუკი სისტემა რადიკალურად არ შეიცვალა.

რაც შეეხება სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღებას, არავითარი ცუდი იმაში არ არის, რომ სკოლაში წესრიგი იყოს და ნამდვილად ამოიკვეთოს იქ ქურდული მენტალიტეტი და ჩვენი ბავშვები უსაფრთხო გარემოში სწავლობდნენ, ეს იდეა მისასალმებელია, მაგრამ ის თავდაპირველი მისია, რომელიც დაუსახეს მანდატურებს, ოპოზიციურად მოაზროვნე პედაგოგების სკოლებიდან უპირობო დათხოვნა, რეალურად დიდი შეცდომა იყო. მასწავლებელმა მანდატურში დაინახა არა მისი უმთავარესი ფუნქციის, სწავლების პროცესის დამმხმარე, ხელშემწყობი, გულშემატკივარი, არამედ ჩასაფრებული მტერი, რომელსაც შექმნილი ჰქონდა რა ჯაშუშ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ქსელი, ე.წ. „მოენეების“ სახით, რომლებიც „ანგარიშს აბარებდნენ“ მას და უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის მასწავლებელი იყო დამნაშავე და არა მის მიერ წაქეზებული, უზრდელი და საგაკვეთილო პროცესის წინასწარგანზრახულად ჩამშლელი მოზარდი. მანდატურის მხოლოდ დირექტორის რანგში კი არა, მინისტრად აღზევების პრეცენდენტმა, თანაც პედაგოგის დიპლომის გარეშე, დირექტორს მარტო პოლიციელი-მენეჯერის ფუნქცია დაუტოვა სკოლაში და პოლიტიზირებული გახადა საგანმანათლებლო სფერო. ასევე ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა მასწავლებლების დამონების მცდელობამ. სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ მყოფ მასწავლებელს ეკრძალებოდა ჟურნალისტისათვის ინტერვიუს მიცემა განათლების სამინისტროს სპეციალური ნებართვის გარეშე, სწორედ ასეთი „დემოკრატიის“ აშენება იყო „მიზანი“ და უმთავრესი „პრობლემა“ და არა მოსწავლის მომზადების ხარისხი. [2]

ანალოგიური ზეწოლა მიმდინარეობდა უმაღლეს სასწავლებლებში. ჯერ კიდევ ადრინდელი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, პოლიციელს ეკრძალებოდა უმაღლესი სასწავლებლის კარიბჭის გადალახვა საზოგადოებისათვის საშიში დამნაშავის დევნის დროსაც კი, თუკი ის შეასწრებდა უნივერსიტეტის შენობაში. მის გამოსაყვანად საჭირო იყო რექტორის ნებართვა და კეთილი ნება. ჩვენ სინამდვილეში დაინერგა ე.წ. „ოდეერის“ ინსტიტუტი და დაწესდა თითოეულ არა სანდო პროფესორ-მასწავლებელზე ზეწოლის ირიბი მექანიზმი, რომელმაც თავისი გამოხატულება ძირითადში კონკურსების დროს ჰპოვა. პროფესიონალიზმთან ერთად უმთავრესი პრინციპი სამსახურში დარჩენა ბრმა იდეურ ერთგულებაში უნდა გამოხატულიყო. უმაღლესი სკოლა ტრადიციულად აპოლიტიკური ორგანო იყო, მაგრამ ეროვნული ღირებულებები და ტრადიციების ერთგული და ასეთად უნდა დარჩეს...

ჩვენ შემოგთავაზებთ განათლების სისტემაში გატარებული არასწორი პოლიტიკით გამოწვეულ უამრავ პრობლემათაგან ზოგიერთს, სახელდობრ:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა უმრავლესობა სააკაშვილის დროს ძირითადში დაიკეტა, რაც დარჩა, ფასიანი გახდა. დედაქალაქის ე.წ. ყოფილ სახელმწიფო ბაღებში საფასური ზონების მიხედვით ერთ ბავშვზე მერყეობდა თვეში 30 - დან 120 -150 ლარის ფარგლებში. ამან სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობა ძალზე აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო. შემდგომში ქართული ოცნების ჩანაცვლების დროს ბაღები და სასკოლო სახელმძღვანელოები უფასო გახდა, მაგრამ ეს იყო გარეგნული ფასადისა თუ იერის მოსაწესრიგებელი ღონისძიება. ამ ფაქტორით გადაიფარა ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემების მთელი კასკადი. საინტერესოა რა დღეშია და როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცესი. რა შეიცვალა და რატომ!!! სახარბიელოს ვერაფერს ვიტყვი, რადგან ბოლო წლეებში საბავშვო ბაღებში მოიშალა საგნობრივი და წრეობრივი მუშაობა, (ზოგან ფასიანი გახდა!) რამაც უინტერესო და მონოტონური გახადა სწავლების პროცესი და შემდგომ ეტაპზე გადასული

მოზარდი მოუმზადებელი დატოვა. ეს შეეხება გაკვეთილებზე ჯდომის, ქცევისა და მოსმენის უნარის გამომუშავების კულტურას, კოლექტიური თანაცხოვრების წესებისა და საზოგადოებაში შემდგომი ინტეგრირების პროცესებს, გუნდური მუშაობის პრინციპებს და ა. შ. ცალკე კვლევის საგანია სწავლების შინაარსი და მეთოდების გადააზრება ლიბერალური ღირებულებების დანერგვის მოთხოვნით და რამდენად შეესაბამება იგი ერი-სახელმწიფოს სტანდარტებს.

დაწყებით კლასებში პირველი კლასიდან ქართული ენის პარალელურად დაინერგა ინგლისური ენის შესწავლა, რაც არასწორია, რადგან წაშლილია ზღვარი მშობლიურ და უცხო ენას შორის, ამასთან ერთდროულად ორი განსხვავებული ანბანისა და ენის შესწავლა უჭირთ ბავშვებს, რაც მნიშვნელოვანწილად ასუსტებს მშობლიური ენისა და ეროვნული თვითმყოფადობის გამორჩეულობის შეგრძნებას, რასაც შედეგად მოსდევს მთელი რიგი პრობლემები, რომელიც გამოხატულებას პოულობს ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთების თანდათანობითი დეგრადირების სახით, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია უცხო ენის შესწავლა დაიწყოს მეორე - მესამე კლასიდან.

რაც შეეხება მეორე და მესამე საფეხურს, აქ სწავლება, შეიძლება ითქვას, ფაქტიურად მოშლილია. სახელმძღვანელოები ვერ პასუხობენ განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე და ქვეყნის ბედ-იღბალზე მოამაგე მომავალი თაობის აღზრდას. ნებისმიერი საგნის პედაგოგი რეალური ვითარებით უკმაყოფილოა, რადგანაც სახელმძღვანელოების შინაარსი და სტრუქტურა ეწინააღმდეგება ერთმანეთს. სასწავლო მასალა არ შეესაბამება (არ ასახავს) მოსწავლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რაც იწვევს სწავლის პროცესისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას და სასწავლო პროცესის ფაქტიურ ჩაშლას. საბოლოო ჯამში, ვიღებთ სკოლის კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს, რომლებიც მზად არ არიან უმაღლეს საფეხურზე სწავლებისა და დაწესებული მინიმალური მოთხოვნების გადასალახავადაც კი. ამიტომ ძალზე შემაშფოთებელი უარყოფითი სტატისტიკის გამო ხელოვნურად იქნა დაწეული გამსვლელი ქულის თამასა უფრო დაბალ ნიშნულზე. საერთოდ ამოგდებული იქნა კლასის ატესტატის მისაღები საგამოცდო ქულის დაფიქსირება, რადგანაც მინიმალურ ზღვარსაც (10 - დან 5 ქულა !!!) კი ვერ ლახავენ და ეს იჩქმალება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, მშობლებს თავისი ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გაწევა უწევთ რეპეტიტორთა სასარგებლოდ. დავძენ, რომ უკანასკნელი 28 წლის განმავლობაში საქმე სულ უკან-უკან მიდის. კატასტროფულად დაიწია ცოდნის საერთო დონემ და დღევანდელი სკოლის წარჩინებულთა უმრავლესობა, ორიოდე გამონაკლისის გარდა, საბჭოთა პერიოდის სკოლის საშუალო დონესაც ვერ უტოლდება. ანდა, რა სიძლიერის მიმანიშნებელი შეიძლება იყოს საგნობრივი ტესტები, რომლებიც მინიმალური ზღვრის გადასალახად არ მოითხოვენ კონკრეტულ ცოდნას და ორიენტირებული არის ზოგადი უნარების ცოდნაზე. ერთადერთი, რასაც დღევანდელ ახალგაზრდობას ვერ დავუკარგავთ, ეს არის კომპიუტერისა და ინტერნეტის ცოდნა, თანაც ისიც ძირითადად გასართობ თამაშობათა დონეზე და არა პროგრამირების და ახალი ინოვაციური მიღწევების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები პროგრესულ მოვლენად მიგვაჩნია, ამასთანავე, ვთვლით, რომ მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობანი, თუმცა ამ ეტაპზე, ასე ერთი ხელის დაკვრით, მისაღები გამოცდების გაუქმება ნაადრევად მიგვაჩნია და ეს საკითხი მოითხოვს გულმოდგინე მსჯელობასა და ანალიზს. ასევე დასაშვებია უგამოცდოდ ჩარიცხვის პრეცენდენტიც, თუმცა, ვფიქრობთ, რომ იგი ვერ აამაღლებს სკოლაში სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა მოტივაციას, რამეთუ ევროპისა და ამერიკის არა ერთი ქვეყანა უბრუნდება ჩვენ მერ იგნორირებულ და ანათემას გადაცემულ სწავლების პრუსიულ-გერმანულ მოდელს და უარს აცხადებენ განათლების სისტემის დღევანდელ ფორმაზე, რომელსაც ჩვენ ასე დაჟინებით გვაძალებენ. მან თითქმის ყველგან ფიასკო განიცადა თავისი უვარგისობის გამო, მაგრამ ჩვენთან კვლავაც ჯიუტად გრძელდება ექსპერიმენტთა გრძელი ჯაჭვი, საკითხავია სანამდე... ასევე, ჩვენის აზრით, სასწრაფოს შესაცვლელია განათლების რეფორმის ეროვნული კონცეფცია. ასევე უნდა დაუბრუნდეს რეფორმამდე არსებულ დონეს საქართველოს ისტორიის სწავლება სკოლაში და იგი ცალკე აუცილებელ საგნად ბარდებოდეს ყველა ჰუმანიტარული პროფილისა და მასწავლებლის კვალიფიკაციის მიმნიჭებელ უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო -- მსოფლიოს ისტორიის საკითხები დარჩეს ისტორიისა და სამართალმცოდნეობის პროფილზე და ახალი

საგნებისა სწავლება სკოლაში არ უნდა ხდებოდეს საქართველოს ისტორიის საათების ხარჯზე, როგორც დღესაა, რადგანაც ამ საგნის უპირველესი დანიშნულება მომავალ თაობაში ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბებაა და არა ნიჰილიზმის, ინდიფერენტიზმის გაღვივება, როგორსაც ახლა ვაწყდებითა...

ფაქტია, ასე გაგრძელება არ შეიძლება. სამწუხაროდ ნუ გვაფიქრებინებენ, რომ როგორც წინა, ასევე ახლანდელ ხელისუფლებას არ სჭირდება კონკურენტუნარიანი განათლების სისტემა და მომავალი თაობა, რაზეც აშკარად მეტყველებს ადრე არსებული კვლევითი ინსტიტუტების გაუქმება, მეცნიერებათა აკადემიის სტატუსის დაკნინება. ამიტომამ კუთხით საჭიროა მუშაობის რადიკალურად შეცვლა და სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ახალი სახელმწიფო საყოველთაო სტანდარტების მიღება, მეცნიერებათა აკადემიის სტატუსის აღდგენა და მისი ფუნქციური დატვირთვა, სპეციალური ეროვნული სახელმწიფო პროგრამის მიღება ახალგაზრდობის როლსა და სამომავლო ამოცანების თაობაზე. სკოლას უნდა დავუბრუნოთ პოლიტიკური ნიშნით დევნილი პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები და პროფესორ-მასწავლებლები და საერთოდ უნდა აიკრძალოს პოლიტიკური ნიშნით მათი დევნა.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არისტოტელე დიდ ყურადღებას ანიჭებდა პროფესიონალიზმს, რადგანაც ასეთ ადამიანებს შეეძლოთ თავისი მიზნის მიღწევა, მაგრამ ერთადერთი სავალდებულო სფერო ყველასათვის იყო პოლიტიკა. ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ღებულობს ცოდნას და ამ ცოდნით შეიარაღებული როგორც კი მოექცევიან სახელმწიფოს სათავეში, მათ მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ყალიბდება სახელმწიფო იდეოლოგია, ხოლო პროგრესული, მუდმივად მაძიებელი გონება ვერ ეგუება იდეოლოგიურ არტახებს, რაც ქმნის გამხელილ თუ გაუმხელელ წინააღმდეგობას ასეთი კატეგორიის ადამიანებსა და ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ელიტას შორის. საქმე იმაშია, რომ ასეთ პროგრესულ ადამიანებს უდიდესი როლი ენიჭებათ მომავალი თაობის აღზრდასა და საზოგადოებრივი განწყობის შექმნაში და ვისაც ეს ესმის, გონიერ ხელისუფლებად ითვლება, ხოლო თუ ხელისუფალი თავადაა ინტელექტუალი, ამას არაფერი სჯობია და იგი ყოველთვის თავის გარშემო შემოიკრებს არა მარტო მმართველი პარტიის მაქებარ მედროვეებსა და ყვარყვარე თუთაბერებს, ურომლისობაც არ გამოდის, არამედ ნამდვილ პროფესიონალებს და მათ ფუნქციურად დატვირთავს, ქვეყნის სამსახურში ჩააყენებს და მტრად არ შერაცხავს, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს იყო. დღევანდელ ხელისუფალს უნდა გააჩნდეს მაგიური ძალა მოკეთეების გამრავლების საქმეში. მისი პრაქტიკული პოლიტიკა უნდა გასცილდეს ვიწრო პარტიულ ინტერესებს და მის ერთგულ წევრობას. პიროვნების დაწინაურებისას არ უნდა იყოს განმსაზღვრელი ბრმა მორჩილება, არამედ - პროფესიონალიზმი და საქმის ცოდნა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიგრძნოთ თავი მთელი ჩვენი საზოგადოების ღირსეულ წევრად და წარმომადგენელად. [3]

ქვეყნის არსებობა ეროვნული იდეოლოგიისა და პრიორიტეტების გარეშე წარმოუდგენელია. სიტყვა „იდეოლოგია" პირველმა გამოიყენა ფრანგმა ფილოსოფოსმა დესტიუტ დე ტრესიმ (1754 -1853), როგორც მეცნიერება იდეათა შესახებ, თუმცა მე-19 საუკუნეში კარლ მარქსმა იდეოლოგია განიხილა „მმართველი კლასის" იდეების ერთობლიობად, საიდანაც გამომდინარეობდა კლასობრივი დაყოფა და ექსპლოატაციის გარდაუვალობა. მე-20 საუკუნეში ლიბერალური ორიენტაციის მეცნიერებმა კარლ პოპერმა, ჰანა არენდტმა და ჯ. ლ. თალმონმა იდეოლოგია სოციალური კონტროლის

საშუალებად წარმოგვიდგინეს, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საზოგადოებრივი თანხმობა და მორჩილება, ამიტომ ფაშიზმი და კომუნიზმი განიხილებოდა როგორც დახურული აზროვნების ორი ვარიანტი, რომელიც არ უშვებდა განსხვავებული აზრის არსებობას. ამ ფონზე ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და დემოკრატიული სოციალიზმი აღიქმებოდა როგორც „ღია" სისტემები, რომლებიც უშვებდნენ და მოითხოვდნენ თავისუფალ აზროვნებას, კრიტიკასა და ოპოზიციას, მაგრამ იდეოლოგიის ნაცვლად (მაიკლ ოუკშოტი) უპირატესობას ანიჭებდნენ პრაგმატიზმს, ტრადიციას და ისტორიას. მარქსი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მისი იდეები ატარებდნენ არა იდეოლოგიურ, არამედ მეცნიერულ ხასიათს, ლიბერალებიც უარყოფდნენ თავიანთი ფილოსოფიის მსოფლიო იდეოლოგიისადმი მიკუთვნებას, ხოლო კონსერვატორები დღესაც პოლიტიკაში ემხრობიან არა იდეოლოგიურ, არამედ პრაგმატულ პოზიციას, ამიტომ დღეისათვის ვერ მოინახა ნეიტრალური და ყოველმხრივ მისაღები იდეოლოგიის

კლასიფიკაცია, სწორედ ამიტომ უნდა განვთავისუფლდეთ იმ წარმოდგენისაგან, რომ იდეოლოგია შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, ტყუილი ან მართალი, განმათავისუფლებელი ან დამმონილებელი. ჩემი აზრით, იდეოლოგია უნდა აიხსნას როგორც იდეების მთლიანობა, რომელიც ამა თუ იმ მეთოდით მართავს და ამართლებს პოლიტიკურ ქმედებებს. [1]

შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული იდეოლოგიის იგნორირების მცდელობამ, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მიერ მექანიკურად გადმოტანილ ნეოლიბერტარიანულ დოქტრინას ეფუძნებოდა, მიგვიყვანა ანტიპოლიტიკამდე, -- ანუ ოფიციალური პოლიტიკითა და პოლიტიკური მექანიზმებით გამოწვეულ იმედგაცრუებამდე, რომელიც ძირითადში უნდა იყოს გამოხატული სისტემის ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერით, ან პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე უარის თქმით, ანდა ბოიკოტირებით.

ამჟამინდელი ჩვენი პოლიტიკური და მატერიალური ყოფა ერთი შეხედვითაც ვერ პასუხობს ელემენტარულ საერთაშორისი სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან თუ ე.წ. სააკაშვილისეული „ქართული დემოკრატია“ თავსდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ ჩარჩოში, რაც მას უნდოდა და აწყობდა, ხოლო სხვა ყველაფერი არ უნდა არსებულიყო, ეს საკმარისი არაა და მისი განსჯა საზოგადოებისათვის მიგვინდვია, მაგრამ არც იმისი მოსალოდნელი საშიშროებაა სახარბიელო, რომ მის [4] ადგილს ვიღაცა სხვა დაიკავებს. ამით პრობლემები არ მორჩება. თუ გვსურს მსოფლიო ხალხთა ოკეანეში მყარი და მკვიდრი ადგილის შენარჩუნება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, მსგავს რყევებს და პოლიტიკურ წყალქვეშა რიფებს თავი უნდა ავარიდოთ და ფეხი წინსვლასა და პროგრესს ავუწყოთ.

## გამოყენებული ლიტერატურა.

1. ლევან ოსიძე, „პოსტსაბჭოთა საქართველოს დემოკრატიული მშენებლობის პერსპექტივები“, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, N27, 2013 წ.

2. ლევან ოსიძე, „პოსტსაბჭოთა საქართველოს დემოკრატიული მშენებლობის პერსპექტივები“, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, N27, 2013 წ.

3. ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა, 2009. გვ. 129-140

4. თენგიზ გრიგოლია, ანტიგლობალური მოძრაობები: სათავეები, თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები, თბ., 2011

2019